ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან



ილორი

www.ilori.ge

№ 89 (150) 19 ოქტომბერი 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

ილორი ლიდერობს, მიუხედავად...

მეტად სასიხარულო ცნობა მოგვივიდა ამას წინათ ქალაქ ზუგდიდიდან, სადაც ახალგაზრდა სტუდენტ-მკვლევართა ჯგუფმა, სახელმწიფო მართვის მაგისტრის, ბატონ არჩილ თოდუას ხელმძღვანელობით ჩაატარა სამეგრელოს რეგიონში გასავრცელებელი ჟურნალ-გაზეთების რეიტინგული გამოკვლევა.

გამოიკითხა გაზეთების ჯიხურების გამყიდველები და 140-ზე მეტი მოქალაქე. გამოყენებული იქნა კვლევის ინტერვიურების მეთოდი, რომლებიც გამოსაკითხ პირებს უსვამდნენ ორ შეკითხვას: "რომელ გაზეთზეა მეტი მოთხოვნა" და "რატომ ყიდულობთ ამ გაზეთს".

50 წელს გადაცილებულ ინტერვიუერთა 55-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ მათი არჩევანია გაზეთი "ილორი", და მიაჩნიათ, რომ ამ გაზეთის მკითხველთა დიდი ნაწილი აკადემიური განათლების მქონე ("ნაკითხი") ადამიანები არიან. ინტერვიუერები ასევე თვლიან, რომ გაზეთი ობიექტურად აშუქებს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და უაღრესად საინტერესოა დამატებითი (არაპოლიტიკური) ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით.

შემდეგ მოდის გაზეთი "საქართველო და მსოფლიო", რომელზეც არჩევანი გააკეთა გამოკითხულთა 35-მა პროცენტმა. მკითხველთა აზრით მათ ინტერესს ეს გაზეთი იწვევს მისი გამოკვეთილი მემარცხენე პოლიტიკური პოზიციის გამო.

გაზეთ "ასავალ-დასავალს" მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 30-მა პროცენტმა იმის გამო, რომ გაზეთი მკაცრად ოპოზიციურადაა განწყობილი.

მკითხველთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ "კვირის პალიტრა" ყველაზე ობიექტური გაზეთია საქართველოში და ამიტომაც მასზე არჩევანი გააკეთა გამოკითხულთა 20-მა პროცენტმა.

გამოკითხულთა 5 პროცენტი მიემხრო გაზეთს "24 საათი". ისინი თვლიან, რომ იგი ყველაზე თანამედროვეა საქართველოში გამოცემულ გაზეთებს შორის, ახლოა დასავლურ სტანდარტებთან და მის მკითხველთა ძირითად კატეგორიას ახალგაზრდები შეადგენენ.

ამრიგად, უაღრესად გაგვახარა იმ გარემოებამ, რომ მკითხველმა სათანადოდ დააფასა "ილორელთა" გარჯა და პირველი ადგილი მიაკუთვნა მას. შედეგი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, რომ არა ერთი სამწუხარო გარემოება. სათანადო ხელშეკრულების თანახმად მთელ საქართველოში გაზეთი "ილორი" უნდა გაევრცელებინა გაზეთ "კვირის პალიტრას" საკუთარი საცალო ქსელის მეშვეობით, რომელიც მთელ საქართველოსაა მოდებული. ჩვენ, ყოველ კვირას, აკურატულად ვაწვდიდით მათ გაზეთის 700 ეკზემპლარს 50-50 ცალიანი შეკვრებით, რომელიც მათ უნდა დაეშალათ, რადგან ზოგიერთ რაიონში გაზეთის 10 ან 15 ეკზემპლარი იგზავნებოდა. როცა დაბრუნებული გაზეთების უკან წამოსაღებად მივდიოდით, გვიბრუნებდნენ იგივე დაუშლელ შეკვრებს, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ისინი რაიონებში გაზეთებს ფაქტიურად არ აგზავნიდნენ და იმ მიზეზით, რომ მისი რეალიზაცია არ ხდებოდა, უკან გვიბრუნებდნენ. არა და, დარწმუნებით ვიცით, რომ გაზეთ "ილორზე" საკმაოდ დიდი მოთხოვნაა არა მხოლოდ სამეგრელოს რეგიონში. ალბათ "კვირის პალიტრის" სარეალიზაციო სამსახურის მესვეურებს ოპოზიციური გაზეთის გავრცელების შეეშინდათ, რასაც შეიძლებოდა ხელისუფლების რისხვა მოჰყოლოდა და ამიტომაც მოგვიშორეს თავიდან.

მაგრამ, როგორც დიდი რუსთაველი ამბობდა: "ვერ დაიჭირავს..."

ინტელექტუალური ვანდალიზმის ნაციონალური ინტერპრეტაცია

კიდევ ერთი გამაოგნებელი ნაბიჯი გადადგა საქართველოს ხელისუფლებამ – ბათუმში არსებულ "ნონა გაფრინდაშვილის" სახელობის მოჭადრაკეთა კლუბს სახელი გადაარქვეს და ახლა თურმე "ვეტერანთა კლუბი" ეწოდება.

არ ვიცით, რა ვუწოდოთ ამ მართლაც ამაზრზენ ფაქტს – პოლიტიკური თავხედობა თუ ჟიდომასონურ-სომხური უმადურობის თვალნათელი გამოვლინება.

ჩვენ დიდი ხანია მიგვაჩვიეს "ნაციონალებმა" შუასაუკუნეობრივი ბარბაროსობის გამოკიაფების მაგალითებს – იქნება ეს ისტორიულ გმირთა ძეგლების ქალაქში უთავბოლოდ პროწიალი, ღირშესანიშნაობათა ამსახველი მემორიალების დინამიტებით აფეთქება თუ სახელოვან ადამიანთა სახელობის ქუჩების ერთპიროვნულად გადანათვლა. მაგრამ, ნონა გაფრინდაშვილის სახელის უგულვებელყოფა – ეს უკვე თავხედობის ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ერისათვის შეურაცხყოფის მიყენებაა.

საინტერესოა, რა დაუშავა ნონა გაფრინდაშვილმა სომხებს ისეთი, რომ სომეხმა სააკაშვილმა და მისმა სომხურ-სოროსულმა გარემოცვამ ასე აითვალწუნეს მსოფლიოს ჭადრაკის ეს უდიდესი ფიგურა!

ნონა გაფრინდაშვილი ჩვენი ერის (და მთელი მსოფლიოს) სიამაყეა, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა ჭადრაკის ისტორიაში. სწორედ მისი გამარჯვებით გაიცნო მსოფლიომ საქართველო და 15 წლის ცქრიალა გოგონას წარმატება ლამის დაუჯერებლად მიაჩნდათ მსოფლიო ჭადრაკის კორიფეებს. და დღეს მის სახელს აშკარად ებრძვიან ეს პოლიტიკური უდღეურები, რომლებიც უკვე განწირულები არიან პოლიტიკურ სანაგვეზე მოსასროლად.

გული არ გეტკინოთ, ქალბატონო ნონა!

დღეს საქართველოს ნებისმიერი ოჯახის კარი ღიაა თქვენთვის, ყველაზე გაჭირვებული ადამიანიც კი წელზე ფეხს დაიდგამს და სიხარულით გიმასპინძლებთ, მაშინ, როცა თქვენს სახელთან მებრძოლ არარაობებს მალე შეიძლება საკუთარი ოჯახის კარიც კი არ გაუღონ!

მერე რა, თუ თქვენი სახელი ბათუმის რომელიღაც კლუბს გადაარქვეს, იმ ბათუმის, რომელიც ჰომოსექსუალებისა და სხვა უჯიშოთა საჯიროთოდ აქვთ გახაზირებული "ნაციონალებსა" და მათ მარადღიმილიან ბელადს.

იქნებ არც ღირდეს, რომ ასეთ ქალაქში თქვენი სახელი ეწოდოს რომელიმე დაწესებულებას!

თანაც, ხომ იცით, "ვირისაგან წიხლი საწყენი არ არის"!

თქვენი სახელი დღეს სრულიად საქართველოს ჰქვია, რადგან სწორედ თქვენს სახელს უკავშირდება ქალთა ჭადრაკის აღორძინება საქართველოში და ის, რომ ჭადრაკში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ლამის თბილისის უბნების ჩემპიონატად იყო ქცეული!

თქვენი სახელი ოქროს ასოებითაა ტატუირებული საქართველოს გულში!

ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო ჭადრაკის ლეგენდაა!

პრეზიდენტები (მით უმეტეს, შეურაცხადები და არაადექვატურები) წავლენ და წამოვლენ, ნონა გაფრინდაშვილის სახელი კი ისევე სამარადისო იქნება, როგორც დღისა და ღამის ცვალებადობა!

მარად თქვენი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით აღფრთოვანებული

"ილორელები".

გულახდილი საუბარი
ნინოწმინდის სომხური
ეკლესიის ნათლიმამა
ხაჩატურ ბდოიანთან

დავით ქობალია

2

ვითარცა აფხაზეთისთვის ანთებული სანთელი...

3

სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერება უკვე გახდა მმართველ გუნდში დაპირისპირების მიზეზი

11

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.

ივანე ჯავახიშვილი

ქართველ ერის ისტორია

9

გულახდილი საუბარი ნინოწმინდის სომხური ეკლესიის ნათლიმამა ხაჩატურ ბდოიანთან

არაერთხელ დამიწერია და მითქვამს – თუ რომელიმე გაზეთს ან ტელეარხს სათქმელი შემოელია, საკუთარი მკითხველის და მაყურებლის გამოსაფხიზლებლად აუცილებლად ჯავახეთს უნდა მიადგეს. ყველა მათგანმა (არ არის აუცილებელი, იქ ნამყოფია თუ არა), ისეთი რამ უნდა დაწეროს და მოყვეს, ქვეყანას რომ ააფორიაქებს, მტერს გულს გაუხარებს და მოყვარეს კიდევ გულს გაუხეთქავს!

რა მოჰყვება ამას სულაც არ ადარდებთ, მთავარია კიდე ერთხელ ახმაურდა პრესა და ტელევიზია ჯავახეთზე, რომლის ხარჯზეც სხვა, უფრო **„მნიშვნელოვანი“** რამ გადაფარა და განმუხტა ხელისუფლებამ!.. ჯავახეთი კი, კვლავინდებურად – **ღვთისანაბარად რჩება მიგდებული!**

ამ ზახულზე **„ილორი“** ესტუმრა ჯავახეთს, მთელი ნომერი მიუძღვნა ამ სწორუპოვარ კუთხეს და ამიერიდან, პერიოდულად დაიბეჭდება მასალები, როგორც ისტორიულ, ასევე ყოველდღიურ ყოფით თემებზე, ქართველ-სომეხთა თანაცხოვრებაზე და ყველა იმ საჭირბოროტო საკითხზე, ბუნებრივის გარდა – ქვეყნის უგუნურმა მთავრობამ რომ მოგვახვია თავს!

ახლა შევეშვათ ამ ამბავს და მთავარს მივუბრუნდეთ, რისთვისაც „ნინოწმინდაში“, როგორც თვითონ ამბობს – „180 წლის წინ ერზრუმიდან სიკვდილსგამოქცეული სომხების“ შთამომავალს, გონებამახვილ და საინტერესო მოსაუბრეს, ბატონ ხაჩატურ ბდოიანს ვესტუმრეთ. სანამ საუბრის ჩაწერას დავაპირებდი, მრავალ საკითხს შევეხეთ და ყველაზე მეტად, ამ ბოლო დროს ქვეყანაში გამეფებულმა არაკომპეტენტურობამ და ქვეყნისადმი უგულო დამოკიდებულებამ დაგვწყვიტა გული!

– ბატონო დავით, მე არ ვაპირებ ასე ღრმად ჩავეძიო დღევანდელ ქართულ სახელმწიფო პოლიტიკაში, მაგრამ ბევრი რამე რომ ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს, ამას დიდი მიხვედრა არ უნდა!

ისეთ რეგიონში, როგორიც ჯავახეთია, რაღაც საგანგებო კრიტერიუმი უნდა არსებობდეს, როცა ადგილობრივი ხელისუფლება ინიშნება (არ მითხრათ ახლა ირჩევო!), რადგან აქაური მოსახლეობის შემადგენლობა აბსოლუტურად განსხვავებულია ვიდრე, რომელიმე სხვა რეგიონში. რასაც ახლა ვამბობ – თქვენ შეიძლება იფიქროთ – სომეხი ამას არ უნდა ლაპარაკობდესო და შეიძლება ჩემს ნათქვამში ეჭვიც შეიტანოთ, მაგრამ მე უპირველეს – ჩემი კუთხის და ჩემი ხალხის პარტრიოტი ვარ და აქედან გამომდინარე ვიტყვი: ის სომეხი, რომელიც ცდილობს მისი შვილი აუცილებლად სომხეთში წავიდეს სასწავლოდ და საცხოვრებლად, ჯავახეთში ხელმძღვანელ თანამდებობაზე არ უნდა ინიშნებოდეს! ასეთი ადამიანი, რასაც იშოვის გარეთ გაიტანს და არასოდეს იფიქრებს საქართველოში, ჯავახეთში შემოიტანოს რაიმე!

სწორედ ასეთი ადამიანების შვილები მონაწილეობენ სომხების რადიკალურად განწყობილი მცირერიცხოვანი ნაწილის მიტინგებში, სადაც, აქა იქ, მართლა გაისმის მოწოდებები ჯავახეთის საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნებით!

იცით რისთვის აკეთებენ ისინი ამას? აქედან ერევანში სასწავლოდ წასული ახალგაზრდა ძნელად თუ გაეჯიბრება ადგილობრივ თანატოლებს და თვითდამკვიდრებისათვის სჭირდებათ რადიკალიზმისკენ მიდრეკილი – **„ვითომ პატრიოტის“** როლი ითამაშონ!

სხვა შემთხვევაში, არცერთი ნორმალური, ჯავახეთში დაბადებული და გაზრდილი სომეხი არ იტყვის – საქართველოს გამოვეყოთ და სომხეთს შევუერთდეთო!

– ბატონო ხაჩატურ, არ გეშინიათ, რასაც ახლა მელაპარაკებით, გაზეთში რომ გამოვაქვეყნო?

– რატომ უნდა მეშინოდეს? მე იმიტომ გელაპარაკებით, რომ დაწეროთ და ყველამ წაიკითხოს! მე ერთ ძველ ამბავს მოგიყვებით – პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, ზაფხულის არდადაგებზე ბოგდანოვკაში ჩამოვედი მშობლებთან. თბილისის **„დინამო“** ეთამაშეობდა ერევანში **„არარატს“**. ცინცხალი **„ოცდაოთხით“** წავედით ერევანში **„საბალელშიკოდ“**!

– თუ საიდუმლო არ არის ვის „ბალელშიკობდით“?

– რა თქმა უნდა **„არარატს“!** მახსოვს, ერევანში რომ ჩავედით, როგორი შურით უყურებდნენ იქაურები ჩვენს **„ნავაროჩენნი“** ქართულნომრებიან **„ოცდაოთხს“**. მანქანა **„რაზდანის“** სტადიონის სადგომზე დავაყენეთ და ჩვენიანებს შევუერთდით ყვირილით; **„არარატ ჰუპტურ! არარატ ჰუპტურ!“**

არ ვიცი ჩვენზე გაბრაზდა, თუ, რა მოხდა – **„დინამომ“** ისე ამოტენა **„არარატი,“** ტირილამდე ცოტა აკლდა გადავსებულ სტადიონს!..

ეს კიდევ არაფერი – გარეთ გამოსულებს ჩვენი **„ნავაროჩენნი ოცდაოთხის“** ყველა შუშა ჩამსხვრეული დაგვხვდა. საყვარელი გუნდის წაგებით გაბრაზებულმა მაყურებელმა ქართულნომრიან გაკრიალებულ მანქანაზე იყარა ჯავრი!

რას ვიზამდით, სანამ ბოგდანოვკაში ჩამოვედით, კარგად გავნიავდით სანახევროდ გაკაბრიოლეტებულ **„ოცდაოთხში“**!

ხომ გაგიგიათ – **„რაც არ გერგება არ შეგერგებაო!“** მგონი ქართული ანდაზაა ხომ?!.

– რატომ მიყვებით ამ ამბებს ბატონო ხაჩატურ?

– ბატონო დავით, ჯერ იმაზე შევთანხმდეთ, ბატონოს ნუ მეძახით და მეორეც, ხაჩიკ დამიძახეთ – მე არ მეწყინება!

– როგორც გენებოთ ჩემო ხაჩიკ!

– ხო და ძალიან კარგი! იმის თქმა მინდა – თუ საქართველოში ცხოვრობ, ვინც არ უნდა იყო – **ის არის შენი სამშობლო და ის უნდა გიყვარდეს ყველაზე მეტად! სულ სხვა საქმეა, როცა უსამართლობას დაინახავ, დაუფიქრებლად უნდა დადგე სიმართლის მხარეს! ამიტომაც ხშირად – სასომხეთში საქართველოს გამო მომდის უსიამოვნება – საქართველოში კიდევ სასომხეთის გამო! გამოგიტყდებით – მე ეს არ მწყინს, პირიქით ამაში ვხედავ ჩემს ღირსებას!**

როგორც ზემოთ ვთქვი – ჩემი წინაპარი 180 წლის წინ ჩამოსულა ერზრუმიდან ჯავახეთში. ისინი სასულიერო პირები ყოფილან და რამდენიმე ეკლესია მათი ინიციატივით აშენებულა ამ კუთხეში, მათ შორის **„ნინოწმინდაშიც“**.

ჩვენთან, ეკლესიის წესია – ყოველი წლის დასაწყისში მრევლი ნათლიმამას ირჩევს ერთი წლის ვადით. ტრადიციულად, ამ საპატიო თანამდებობაზე დიდფულიან პირებს ირჩევენ. წელს დაირღვა ეს ტრადიცია და მე ამირჩიეს. ეს ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის დიდი პატივია!

– ალბათ რადაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობაც აკისრია მრევლის რჩეულ ადამიანს!

– რა თქმა უნდა, ვისაც რა შეუძლია იმას აკეთებს – ზოგმა გზა შეაკეთა თავის დროზე, ზოგმა წყალგაყვანილობა, უმეტესობამ კიდევ არაფერი არ გააკეთა!

– შენ რას აპირებ ხაჩიკ?

– მე მოგახსენეთ – ხალხმა წელს პირველად აირჩია უფულო ადამიანი ამ საპატიო თანამდებობაზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მე არაფერი გავაკეთო – პირიქით, მე ისეთი რამ დავისახე მიზნად, რასაც ვერანაირი ფულით ვერ შეიძლებს ადამის ძე!

– რას აპირებ ასეთს ჩემო ხაჩატურ?

– ადამიანებს შორის სიყვარული უნდა ვთესო (რასაც მე მუდამ ვაკეთებდი!), ჩვენი სოფლის წინამძღვართან ერთად. იგი ახალგაზრდა კაცია და მას თანადგომა სჭირდება!

„ნინოწმინდა“ პატარა ქალაქია, აქ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და ყველამ იცის ვის რა უჭირს და რა ულხინს. ამ დალოცვილ მიწაზე ჩვენი ყოფნა გაელვების ტოლია მხოლოდ და არაფერი არ ღირს იმად, რომ ერთმანეთს ვაწყენინოთ! ყველამ უნდა წარმოიდგინოს თუ რა უბედურებას და განსაცდელს გამოექცა 180 წლის წინ ჩვენი წინაპარი და როგორ მიიღო იგი საქართველომ და ქართველმა მიწამ. ჩვენ, სომხებიც და ქართველებიც, დროებითი სტუმრები ვართ ამ მიწის და მომავალ თაობებს მხოლოდ სიყვარული უნდა დავუტოვოთ ერთმანეთისადმი.

– შენ გადამრევ ჩემო ხაჩატურ! პირველად მესმის ასეთი გულახდილი აღსარება სომხისგან!

– რატომ ბატონო დავით? მე სიმართლეს გიყვებით, ეს ის ცხოვრების გამოცდილებაა, რაც ჩემს ასაკში ადამიანს აუცილებლად უნდა გააჩნდეს, თორემ, სხვა რამესაც მოგიყვებით თუ არ გამიბრაზდებით!

– მოყევი ხაჩიკ!

– სომეხი და ქართველი კამათობენ.

ქართველი ეკითხება სომეხს:

– ვის უფრო მეტი **„გოთვერანი“** ჰყავს სომხებს თუ ქართველებს?

– სომეხი დაუფიქრებლად პასუხობს – **რა თქმა უნდა ქართველებს!**

– კი, მაგრამ რითი ამტკიცებ, არც დაფიქრებულხარ!..

– მაგას ფიქრი რათ უნდა **„ელი“** – ყველა **„გოთვერანმა სომეხმა“** გვარი გადაიკეთა და ქართველი გახდა!..

– მაგარი ხარ ხაჩიკ! მაგრამ ქართველებს უფრო მაგარი რამე გვაქვს ასეთ ადამიანებზე – აკაკი წერეთლის ლექსი „დამურა“!

– მამაჩემისგან გამიგონია! ცხონებული შეესანიშნავად იცნობდა ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. სამწუხაროდ, მე იმ დონეზე არ ვიცი ქართული, მაგრამ მეც ბევრი მაქვს სომხურ და რუსულ ენებზე წაკითხული. ჩემთან რომ მოხვალთ სტუმრად, ჩემი ოჯახის ბიბლიოთეკას გაჩვენებთ. წიგნი ჩვენი ოჯახის ყველაზე დიდი სიმდიდრეა!

– თუ ასეა, ახლა არ მიკვირს რატომ იყავი კოკო გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი 2004 წლის არჩევნებზე!

– ბოდიშს გიხდით ბატონო დავით! **„კოკო“** არა, მე **ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას** ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი! იგი პატიოსანი და მართალი კაცია, თან დიდი ზვიად გამსახურდიას შვილი და დიდი კონსტანტინე გამსახურდიას შვილიშვილი! მამაჩემი რომ მოსწრებოდა ამ ამბავს – დარწმუნებული ვარ კიდევ დიდხანს იცოცხლებდა!

– როგორი შედეგით დამთავრდა ბ-ნი კონსტანტნეს არჩევნები „ნინოწმინდაში“?

– მესხეთ-ჯავახეთში ყველაზე მეტი **1.600 ხმა „ნინოწმინდაში“** მიიღო!

აქაური მოსახლეობა ნაკლებად პოლიტიზირებულია და თუ დაარწმუნებ მათ ადამიანის პატიოსნებაში თან გადაყვებიან!

– სად მუშაობ და რას საქმიანობ ხაჩატურ?

– „ენერგო პრო-ს“ უბნის მენეჯერი და **„ნაბეღლავის“** დისტრიბუტორი ვარ **„ნინოწმინდაში“.**

– შენ დიდი ფული გქონია ჩემო ხაჩატურ!

– არა დავით ბატონო! პატიოსანი გზით დიდი ფული არ იშოვება, თანაც ისეთ პატარა და დამშეულ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია!

წარმატება კი ნამდვილად მაქვს. ჩვენი რაიონი დახარჯული ენერგიის საფასურის ამოღების მხრივ ერთ-ერთი პირველია!

„ნაბეღლავმა“ კი ყველა კონკურენტი დაჩაგრა რეგიონში. ახლა სომხეთში ვაპირებ მის გატანას. სომხებმა უნდა ისწავლონ ხარისხიანი პროდუქციის დამზადება!

– პატიოსნად მუშაობა პრობლემებს ხომ არ გიქმნით?

– მე ვხედები თქვენ რას გულისხმობთ! კი, ხშირად გული მწყდება – თაღლითები უფრო ახერხებენ უფროსობას თავი მოაწონონ! ეს საქმეს და ქვეყანას აყენებს ზიანს, მაგრამ რას ვიზამთ ახალგაზრდობის და გამოუცდელობის ბრალია!

– ხაჩიკ, სად სწავლობდი უმაღლესში?

– ერევანში!

– რატომ თბილისში არა?

– მე რომ სკოლა დავამთავრე, სწავლისადმი სხვა დამოკიდებულება იყო. ჩვენს სკოლებში ქართული თითქმის არ ისწავლებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ – არ გამიმართლა. ამიტომაც არ ვიცი ქართული გამართულად. ვცდილობ შვილებმა შეავსონ ეს ხარვეზი!

– როგორც ვიცი „ნინოწმინდაშიც“ გაუხსნიათ სომხური უნივერსიტეტი!

– დიახ, როგორ არა!

– კარგად ასწავლიან?

– არა!

– აბა რას აკეთებენ?

– დიპლომებს ჩუქნიან!

– ხაჩიკ, ამდენი სიმართლის მართლა არ გეშინია?

– არა, მე ჩემი ხალხი მიყვარს და მათ წინაშე ვერ მოვიტყუებ! ამითი მათ მხოლოდ ზიანს მოვუტან. მე ხომ მოგიყევით წელს პირველად დაირღვა ჩვენი ეკლესიის ტრადიცია და იქ უფულო, მაგრამ მართალი ნათლიმამა აირჩიეს!

– მრევლი თუ ყავს ეკლესიას?

– ბოლო დროს იმატა მრევლმა. რამდენად ღრმად მორწმუნენი არიან ამას მე ვერ განვსჯი, მაგრამ ერთი რამ ცხადია – ეკლესიიდან გამოსული ადამიანი ბოროტებას არ ჩაიდენს!

– თქვენ, სომხებს, განსხვავებული რელიგიური დღესასწაულები გაქვთ, ამაზე სხვა დროს მინდა ვისაუბროთ თქვენს ახალგაზრდა წინამძღვართან ერთად! რაიმე განსაკუთრებული დღე ხომ არ მოდის ამ ახლო ხანებში?

– როგორ არა! ნოემბრის შუა რიცხვებში დიდი ზეიმი გვექნება – სომხეთის კათალიკოსი „გარეგინ მეორე“ და საქართველოს პატრიარქი **„ილია მეორე“** ჩამოდიან **„ნინოწმინდაში“.** ასეთი რამ საუკუნეში ერთხელ ხდება და განსაკუთრებით ბედნიერი ვარ, რომ ეს ისტორიული ამბავი ჩემი ნათლიმამობის ჟამს მოხდება!

ამ ზაფხულზე **„არარატის“** ვეტერანი ფეხბურთელები გვყავდა სტუმრად **„ნინოწმინდაში“.** ეს დიდი ზეიმი იყო. 30 წლის წინ **„არარატში“** ერთი **„ბოგდანოვკელი“** (ასე ერქვა მაშინ ჩვენს რაიონს) თამაშობდა, მართალია სულ 15 წუთი ითამაშა ძირითადში, მაგრამ იგი ერთადერთი **„ნინოწმინდელია“** ვისაც დღემდი სომხეთის პირველ გუნდში უთამაშია და ჩვენ ვამაყობთ მისით. სწორედ მან ჩამოგვიყვანა სომხური ფეხბურთის ლეგენდა ხორენ ოგანესიანი და მისი თანაგუნდელები. თამაშს უამრავი ხალხი დაესწრო. სტუმრების თხოვნით, თამაშის მერე, სუფრა არა რესტორანში, არამედ ნაძვნარში გაიშალა, სადაც დიდმა და პატარამ ყველამ ერთნაირად მოილხინა!

რა თქმა უნდა ამას სომხეთის ტელევიზია იღებდა და ხალხი დიდი ინტერესით უსმენდა ფეხბურთელების მოგონებებს. გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა ხორენ ოგანესიანი დავიმარტოხელეთ. თითქმის ერთი **„ტაიმი“** ისაუბრა ფეხბურთზე და დროის დიდი ნაწილი ქართველ ფეხბურთელებზე მოგონებებს დაუთმო – **„მე რომ ქართველები არ დამდგომოდნენ გვერდში, ნაკრებში ძალიან გამიჭირდებოდა. იქ ისეთი სიტუაცია იყო, როგორიც საბჭოთა ჯარში, სადაც ახალმოსული და მარტოკაცი სასტიკად იჩაგრებოდა! ჩემი ქართველი მეგობრების თანადგომით მე ეს არ განმიცდია!“**

– ჩემო ხაჩატურ, სასიამოვნოა ამას შენგან რომ ვისმენ! მე და ჩემი გაზეთის მთავარი რედაქტორი ოქტომბრის ბოლოს გესტუმრებით და შევეცდებით, მომავალ ზაფხულზე, თბილისის „დინამოს“ ვეტერანებიც ჩამოგიყვანოთ „ნინოწმინდაში,“ თქვენ ერევანში – „არარატის“ ვეტერანებთან მოილაპარაკეთ!

– ბატონო დავით, ესეც ერთი ისტორიული შემთხვევა, დიდი ზეიმი იქნება, არა მარტო **„ნინოწმინდელებისთვის“** – მთელი ჯავახეთისთვის!

– ახლა, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, ყველაფრით კმაყოფილი ხართ და არაფერი გიჭირთ? – მართალა ასეთი აპოლიტიკურია სომხური საზოგადოება, თუ, როგორც იტყვიან – სომხური ეშმაკობა იმალება ყოველი უთქმელი სიტყვის უკან?!.

– მე აქაც კარგად მესმის თქვენი! როგორ შეიძლება ადამიანი კარგად გრძნობდე თავს, იქ სადაც საკუთარი ინიციატივას – უკეთესი იყოს შენი კუთხე და უკეთესად ცხოვრობდეს შენი ხალხი – შეიძლება გადაგაყოლონ და ადრე რომ იტყოდნენ **„ციმბირი უკან დაგატოვებინონ“**!

თუმცა, ჯავახეთის მკვიდრს ციმბირით ვერ დააშინებ, აქ ისეთი სიცივეები იცის.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ – როცა დედაქალაქიდან ხელმძღვანელ კადრებს გვინიშნავენ, აქაური ძირი თუ არ ექნება, ის მაინც უნდა გაითვალისწინონ რამდენჯერმე ექკურსიაზე მაინც იყოს მესხეთ-ჯავახეთში ნამყოფი და, როგორც ამასწინათ **„ილორში“** წავიკითხე – ჯავახეთის რეგიონში ცხვრის სიმცირეს **„ნალების უქონლობას ნუ დააბრალებს“!**

და კიდევ ერთი – ადგილობრივი მნიშვნელობის კადრებს, ადგილზე უკეთესად შევარჩევთ, ამას არ სჭირდება **„ევრო-ამერიკული გამოცდილება“** და არც დედაქალაქიდან მოწოდებული რეკომენდაციები! ჩვენ **„საქმის ჩასაწყობად“** ნაცნობს არ უნდა ვეძებდეთ დედაქალაქში – იქ სხვაგვარი, ამაღლებული განწყობით უნდა ჩავდიოდეთ, რომ ჩვენმა შვილებმა მეზობელი ქვეყნის დედაქალაქისკენ არ იბრუნონ პირი!

– მიუხედავად ჩვენი შეთანხმებისა, მე მაინც ბატონოთი უნდა მოგმართო ჩემო ხაჩატურ, იმდენად აღმაფრთოვანა თქვენთან საუბარმა. ჩვენი გაზეთის ფორმატი მეტს ვერ იტევს და ჩვენი საუბარიც აქ უნდა დავამთავროთ. თუ შეგიძლიათ, მოკლედ მოგვითხროთ იმ საკითხებზე, რომლებიც საუბრისას გამოგვრჩა?

– რა თქმა უნდა! – მე როგორც ენერგეტიკოსს დიდად მახარებს ყოველი ელსადგურის – ჰესის მშენებლობა, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია – რასაც ამბობენ და ვისმენთ, თუ ამდენი ინვესტორი და ინვესტიციები მოეძალა საქართველოს, მაშინ **„ზაჰესის“, „ხრამჰესის“, „რიონჰესის“, „ჟინვალჰესის“ და ბოლოს – „ენგურჰესის“** ამშენებლებს, რა გაგვიჭირდა ისეთი, საქართველოში უცხოელებს და ისიც თურქებს არ ჩავბაროთ მათი მშენებელობა?!. პირიქით, ისინი ჩვენგან უნდა სწავლობდნენ ჰესების მშენებლობას?!. სად არის აქ საკუთარი კადრების და მათი ინჟინრულ-შემოქმედებითი ინტელექტის დაფასება და პატივისცემა?

საიდან იცის თბილისელმა ჩინოვნიკმა-ბიჭუნამ **„ნინოწმინდაში“** ვინ უფრო უკეთესად გაუძღვება სასწრაფო დახმარების და ჯანდაცვის სამსახურს? ყოველი მათი ნათქვამი **„ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ!“** აქ კორუფციად აღითქმება და იგი, უმეტეს შემთხვევაში მართლდება კიდეც, თბილისიდან რეკომენდირებული კანდიდატების სამარცხვინო საქციელით!

– ბატონო ხაჩატურ, მე საქმის კურსში ვარ ამ საკითხებთან დაკავშირებით და პირადად მინდა ვესაუბრო ქ-ნ ქრისტინე არზუმანიანს, რომელმაც მართლა შესაშური მონდომებით ააწყო „ნინოწმინდაში“ დანგრეული ე.წ. „03-ის“ სამსახური და სწორედ ამის გამო გაანთავისუფლეს სამსახურიდან!

ბოლო კითხვა მინდა დაგისვათ – როგორც სომხური ეკლესიისგან მიმდინარე წლის რჩეული ადამიანი, რის მოსწრებას აპირებთ დარჩენილ დროში და რას ურჩევთ მომავალი წლის რჩეულს?

– ქართველებს და ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს, რომელსაც საქართველო ჰქვია! მას უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ! მე მიფიქრია საქართველოდან წასვლაზე, მაგრამ, თუ ეს მართლა მოხდა – სომხეთი არ იქნება ის ქვეყანა, სადაც მე წავალ, რადგან მე იქ ვერავის ავუხსნი, რატომ დავტოვე ის ადგილი, სადაც ჩემი წინაპრების რამდენიმე თაობა დაიბადა და გაიზარდა. ზოგიერთებივით სულს ვერ წავიწყმიდავ და ქართველებს ვერ გავლანძღავ, რომ მათმა არ დამაყენეს და იძულებული გამხადეს სახლ-კარი მიმეტოვებინა!

თუ მე და ჩემს ოჯახს მართლა მოგვიწია საქართველოს დატოვება, მაშინ ასეთ საქართველოში არც ქართველს არ დაედგომება, რადგან ჩვენ, აქ მაცხოვრებელმა ქართველმა, სომეხმა და ყველა დანარჩენებმა მას ვერ მოვუარეთ!

ღმერთმა დაგვიფაროს, ეს ასე მოხდეს!

დიდი მადლობა გულახდილი საუბრისთვის. უფალი იყოს ჩვენი და შენსავით მოფიქრალი საქართველოს ყველა მოქალაქის შემწე!

ესაუბრა,
დავით ძოგალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებათა სკივრიდან

ორიგინალური გაზეთია „ილორი“, მარტო მტკივნეული საკითხების კრიტიკული გაშუქებით კი არ იქცევს ის მკითხველის ყურადღებას, არამედ ეროვნული თემატიკის სიუხვით, ისტორიულ ფაქტებზე დამყნობილი გულახდილობითა და მახვილგონიერებით. კრიტიკული პათოსი დღეს მოდად იქცა და რჩება შთაბეჭდილება, რომ სულ ეს ყოფილა დემოკრატია („მე ვარ და ჩემი ნაბადი“). როგორც ჩანს, დავიწყებას მიეცა, რომ კრიტიკა დემოკრატიის ნიშან–თვისებად მაშინ იქცევა, როცა ის ქმედითი იქნება, შედეგის მომცემ იარაღად მოგვევლინება.

სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე წავაწყდი ჩვენი ძველი მიწა–წყლის, ტაო–კლარჯეთის დღევანდელი ცხოვრების ამსახველ ვრცელ წერილებს; სხვათა შორის ასე დიდ მასალას ჟურნალისტები ზეწარს ეძახიან, მაგრამ ამ ეპითეტს ვერ იხმარ – როცა დიდი მოცულობის წერილში შინაარსიც დიდი მნიშვნელობისა და წასაკითხადაც მიმზიდველია. გაზეთის რედაქციას გადაუწყვეტია საექსპედიციო გასვლა მოეწყო ჩვენი ბედკრული ქვეყნის ნატანჯ რეგიონებში, სულიერი განწყობის მოსახილველად.

სამცხე–ჯავახეთთან ჩემი ახალგაზრდობის პირველი საქმიანი ნაბიჯებია დაკავშირებული და ისეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება მაქვს შემორჩენილი, რომ ვერ ვძლიე ნახევარი საუკუნის წინ დანახულისა და განცდილის მოგონებათა მმაფრი ემოციების მოძალებას, რამაც კალამი ამაღებინა ხელში.

როგორღაც მოხდა, უნივერსიტეტის გეოგრაფია–გეოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი მოვხვდი სამეცნიერო ექსპედიციის შემადგენლობაში, რომელიც მოეწყო სასკოლო გეოგრაფიის სახელმძღვანელოს შედგენასთან დაკავშირებით. ექსპედიცია 12 წევრისაგან შედგებოდა, ხელმძღვანელი იყო პროფესორი ლუარსაბ კარბელაშვილი. ჩემი და კიდევ ერთი სტუდენტის მოვალეობა კოლექციის შეგროვებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო ის, რომ ჯერ კიდევ უმწიფარ ახალგაზრდებს უშუალო კონტაქტის საშუალება გვქონდა ისეთ ცნობილ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ ჩვენი სათაყვანებელი კაცი, უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი, ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი, აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე, პროფესორები გეხტმანი, ზარიძე, კორძახია, ზარდალიშვილი, დობრინინი და სხვ. ისმენ მათ მსჯელობას როგორც ფიზიკური ისე ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხებზე, ყურს უგდებ მათთან ადგილობრივი მოსახლეობის საუბრებს, იღებ მათი ზნეობის მაგალითებს, იგებ ისტორიული ძეგლების აგების, მოჩუქურთმებისა და მოხატვის ისტორიას, რაც მთავარია, ეცნობი იმ კუთხეს, რომელიც მანამდე სრულიად უცხო იყო შენთვის.

ყველაზე სასიამოვნო მოგონებად დამრჩა მესხეთელი ხალხის სითბო და ყურადღება. მაშინ მე არ დავინტერესებულვარ ჩვენთან სუფთა ქართულით მოსაუბრე პირები რა ეროვნებისანი იყვნენ. რა დამავიწყებს იმ ყურადღებას, რომელიც ძველ ახალციხეში, რაბათში მცხოვრები გრიგორიანების ოჯახში ფუტკრით დაკბენილებს გულუხვად (მე და მძღოლ შაქარაშვილს) როგორ მოგვიარეს და როგორ დაგვასაჩუქრეს თაფლით, თითქოს, ეს ზნეკეთილი მწერი კი არა თვითონ იყვნენ **„დამნაშავენი“** ჩვენს წინაშე.

ბავშვობისას მეზობელ ოვანესიანების ჩემს ტოლ ბიჭთან ისე ვიყავი დაახლოებული, რომ უბედური შემთხვევით დაღუპული გოგა როგორც მკვიდრი ძმა ისე დავიტირე.

ახლა ვფიქრობ, ჩვენც ხომ არ ვტყუვართ სომხებთან ურთიერთობის საკითხში, მაშ, რატომ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენ შორის თუნდაც უმნიშვნელო გაუცხოებას? რა მოხდა მას შემდეგ? რა ღმერთი გაგვიწყრა? გარედან ხომ არ იწამლება ურთიერთობა? ბოროტი ძალა ხომ არ მოექცა ჩვენს შორის?

სოფელ უდეს (ადიგენის რაიონი) მიწისქვეშა საცხოვრებელში მასპინძელი რომ მიგვიღოდა დიდი ბოდიშები გვიხადა, ასეთ პირობებში რომ უხდებოდა ჩვენი მიღება (ამ სოფელში ადრე ხომ მიწისქვეშ, მიწურებში ცხოვრობდნენ თავდასხმებიდან დაცვის მიზნით). ახლა რომ ამოვიკითხე ბლოკნოტში ჩანიშნული ჩვენი კეთილი მასპინძლის გვარი ასლანიანი ყოფილა თურმე. ტყუილად არ აქვს პოეტს ნათქვამი – **„კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცევ“**. რა ჩემი საქმეა მას რა სწამს, ვინ სძულს და ვინ უყვარს?

უდეს იქით სოფელ მლაშეში (მდინარე ქვაბლიანის ხეობა) ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე, დიდებული ტაძარი ზარზმა (როგორც გადმოსცემენ) სერაპიონ ზარზმელს დაუარსებია. დღევანდელი ზარზმა კი შუა საუკუნეებში (VIII-IX საუკუნე) უნდა იყოს აგებული. მონასტერი ყურადღებას იპყრობს კედლის მოხატულობით და სამრეკლოთი, რომელიც უდიდესი ყოფილა საქართველოში. ფრესკები რომელზედაც ძირითადად ამ კუთხის მფლობელები – ჯაყელები და ხურციძეები არიან გამოსახულნი, მაღალი ოსტატობითაა შესრულებული და ამიტომ მეცნიერები თვლიან, რომ შესაძლოა ის ბე შქენ და ბექა ოპიზარების ნახელავიც იყოსო. სამწუხაროდ, მოგვიანებით ამ ძვირფასი მხატვრობის რესტავრაცია უცდიათ და ალექსანდრე მაკედონელის ქანდაკების არ იყოს, დაუმახინჯებიათ.

ხელოვნებათმცოდნენი თვლიან, რომ იოანე და ათანასე ოპიზარებსაც შეიძლება მიუძღოდეთ წვლილი არა მარტო მოხატვაში, არამედ აშენებაშიც. მკვლევარები იმასაც ამბობენ რომ ოპიზაში (რომელიც ახლა თურქეთის ტერიტორიაზე კლარჯეთშია მოქცეული) იმდენი ოპიზარები, ზარზმელები და სხვა საეკლესიო მოღვაწე მწიგნობარი ყოფილა თავმოყრილი (მათ შორის გრიგოლ ხანთელიც), რომ ძნელია დაადგინო, რომელ მათგანს ეკუთვნის ზარზმის მშენებლობა, თუ მოხატვა. მთავარი ისაა, რომ ზარზმა დღეს შემოგვრჩენია, როგორც ეპოქის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ქართველ წინაპართა ნაშრომ–ნამოღვაწარი.

ერთხელაც ბატონმა ნიკო კეცხოველმა ჩამოგვაკითხა ახალციხეში (ჩვენ იქ ვიყავით დაბანაკებული); ეს იყო დიდი ზეიმი – ვის სად დაეპატიჟა იგი არ იცოდნენ, მაგრამ მან ჩვენთან ერთად ისტორიული ძეგლების დათვალიერება არჩია. პირველად ქალაქთან ახლოს მდებარე (12 კმ) საფარის მონასტრისკენ წაგვიძღვა. ვუახლოვდებოდით საფარას, მაგრამ საფარა არ ჩანდა, ერთხელ კიდევ მოუხვია ჩვენმა ავტობუსმა და... სრულიად მოულოდნელად საფარის ეზოში აღმოვჩნდით (ის მთლიანად დაფარული იყო ტყით და სახელიც ალბათ აქედან დაერქვა). მონასტრის აღმოსავლეთის კედელთან ჩვენი ყურადღება მიიქცია ქვისგან გამოთლილმა ეკლესიის მოდელმა, რომელსაც ჰქონდა წარწერა, მაგრამ მარტო ერთი სიტყვა – **„ოსტატი“** ამოიკითხებოდა. გვერდზე სხვა ენაზეც იყო რაღაც ამოტვიფრული. ამასთან დაკავშირებით, ბატონი ნიკო მოგვიყვა ლეგენდას, რომელიც ერთი გლეხის ბიჭის (სახელი არ მახსოვს, არც ჩამიწერია) შესახებ მოგვითხრობს. საფარის მონასტრის მშენებელი ცნობილი სპარსელი ოსტატისთვის მიუმაგრებიათ ოცეიოდე წლის ქართველი ბიჭუნა, გვარად მგონი როსტომაშვილი. ის საყდრის მშენებლობის ტექნოლოგიით თავიდანვე ყოფილა დაინტერესებული. ყურადღებით ეცნობოდა თურმე მონასტრის პროექტს და მთელ სამშენებლო ჩანაწერებს.

მონასტერი სანახევროდ აშენებული რომ იყო ოსტატს შეგირდისთვის მოულოდნელად აუკრძალავს მშენებლობაზე მისვლა და დაუვალებია რაბათში (ძველი ახალციხე) შესგომოდა სამშენებლო ქვის თლას და მისი ურმით გამოგზავნის ორგანიზებას. ბიჭი ამ ფაქტმა ძალიან შეაშფოთა თურმე, მაგრამ რა უნდა ექნა – იჯდა, თლიდა ქვას და აგზავნიდა. ის ის იყო უნდა დამთავრებულიყო მშენებლობა და ოსტატმა შეამჩნია, რომ ურემზე მხოლოდ ერთი ქვა იდო. ტაძრის ქონგურზე მდგარმა ოსტატმა დასჭყიტვლა მეურმეს – ეს რა არის, ერთი ქვა მოგაქვსო?! მეურმემ ქვემოდან ასძახა – შეგირდმა მითხრა მეტი არ სჭირდებაო. ოსტატს მშენებლობაზე მართლა ერთადერთი ქვა უნდა დაედო. როგორც სჩანს, სპარსელ ოსტატს სწორედ ამან დასცა თავზარი და გულწასულს ძირს მოუდენია ზღარბანი. მშენებლობის შემკვეთებმა მაინც დაუფასეს ოსტატის ხელოვნება და შეგირდის მიერ ქვისგან გამოთლილი ეკლესიის მოდელი დაადგეს საფლავს, რომელიც მონასტრის კედელთანაა ამოთხრილი. ცოტნე დადიანისა და მონღოლი ნოინის არ იყოს, სიკეთეს და გმირობას დამფასებელიც სჭირდება. ძნელი სათქმელია, ეს პროფესიული პატივმოყვარეობის შედეგი იყო თუ ეროვნული შუღლის გამოვლინება, მაგრამ ქართველ ერს ძვირფასი ძეგლი რომ აჩუქა ამ უცხო ჯურის ოსტატმა მაინც უნდა დაფასებულიყო. არაერთი ისტორიული მაგალითი მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენს წინაპრებს ეს არ ეშლებოდათ.

მესხეთში, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ნანგრევებს, რომელთაც ბევრ საინტერესო ისტორიულ დეტალზე შეუძლიათ პასუხის გაცემა, იმ დროს არ ეტყობოდა მზრუნველი ხელი. წარსულის ისეთ გამორჩეულ ძეგლებს, როგორიცაა ვარძია, ხერთვისი, ალთონყალა, გიორგენყალა თუ სხვა მრავალი ძველი წარწერისა და ჩუქურთმის შემომნახველი საამშენებლო ქვების გროვა ღვთის ანაბარა ეყარა ღია ცის ქვეშ. მას შემდეგ შეიძლება ერთგვარი ყურადღება გამოიჩინეს, მაგრამ ჩვენი ხალხი ისეა განებივრებული ძვირფასი ექსპონატებით, რომ იქნება საჭიროდ არ მიიჩნიეს მათი მოვლა.

ჩვენ ჯგუფს მოვალეობის შესრულებასთან ერთად გვქონდა შესაძლებლობა ზემოაღნიშნულ წინაპართა ამ უტყვ მოწმეებზე შეგვეგროვებინა ინფორმაცია და ის ჩვენ არ დაგვზარებია, ჩვენი შეხედულებით, საჭირო ექსპონატებისათვის ზურგი არ შეგვიქცევია, მაგრამ ყველა მათგანი მაინც მოკლებული იქნებოდა პროფესიულ შეფასებებს და ამიტომ მკითხველთან მისი ამ წერილში მოტანისაგან თავის შეკავება ვარჩიეთ. რაც შეეხება ჩემს პირად განცდას, დაკმაყოფილებულია იმით, რომ მოგონებათა იმ სკივრიდან, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა, თითქოს განთავისუფლდი, გაზეთის მასალების გადაკითხვამ განმიახლა მონატრების ჟინი და ამიტომაც კიდევ ერთხელ მივესალმები ექსპედიციის იდეის ავტორებს.

ლევან ჩიქვანაია

ვითარცა აფხაზეთისთვის ანთებული სანთელი...

ჩვენი ეკლესიისათვის მამა ელისეს გარდაცვალება დიდი დანაკლისია. მაგრამ, როგორც ჩანს, მისი სული უკვე მზად იყო მომავალი ცხოვრებისათვის და ღმერთმა იგი თავისთან მიიწვია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II

ეს ლამაზი წიგნი ჩვენმა მეგობარმა, შესანიშნავმა ჟურნალისტმა და მოქალაქემ, აფხაზეთიდან დევნილმა, აფხაზური ოჯახის დედამ, ქალბატონმა **სვეტლანა კვიკვინიამ** შეადგინა. წიგნი დაიბეჭდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, რომელიც თავის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: **“მამა ელისეს ერთი განსაკუთრებული თვისება ჰქონდა – მასთან მისული ყოველი ადამიანის ტკივილს ითვისებდა და ამით მრევლს ჯვრის სიმძიმეს უმსუბუქებდა. მას ჰყავდა მრევლი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ვინც მასთან ერთხელ მაინც იტყოდა აღსარებას, აღარ უნდოდა მასთან განშორება”.**

წიგნი ფაქტიურად გახლავთ სხვადასხვა წრის წარმომადგენელი და განსხვავებული სულისკვეთების მქონე იმ ადამიანების მოგონებათა კრებული, რომლებიც ნათესაური, მეგობრული თუ რელიგიური ძაფვით იყვნენ დაკავშირებული იღუმენ ელისესთან (ბელქანია). წიგნი იღუმენის დედის, ქალბატონ ციალა ბერიძის მოგონებით იხსნება: **“ზური (ასე ვეძახდით ბავშვობაში) ძალიან თბილი, მოსიყვარულე, მეოცნებე და ფიქრიანი ბავშვი იყო. ამავე დროს სიტყვაძუნწიც. მისგან ვერასოდეს გაიგებდი, რა ხდებოდა სკოლაში თუ სკოლის გარეთ... მეუხერხულება საკუთარ შვილებზე საუბარი, მაგრამ ვინც მათ ბავშვობიდანვე იცნობდა, დამემოწმება, რომ საოცრად კეთილები და გულმოწყალენი იყვნენ...”**

“აფხაზეთის ომი საშინელი იყო თავისი შინაარსით, – იხსენებს მამა ელისეს ძმა, არქიმანდრიტი ბენიამინი (ბელქანია), – **ძნელი იყო მშვიდად გვეყურებინა, როგორ ხოცავდნენ ერთმანეთს ერთად გაზრდილი ბიჭები. მინდოდა, იმ რთულ პერიოდში მეც გამეკეთებინა რაიმე ჩემი ქვეყნისათვის, მაგრამ ძმათამკვლელ ომში ჩასაბმელად ძმებმა იარაღი ვერ ავიღეთ... ჩემი ძმა ჩემზე ადრე გახდა მრევლი და ჩემზე ადრე წავიდა მონასტერში. აფხაზეთის ტრაგედიამ უბიძგა ბევრს, რომ ღვთისმსახური გამხდარიყო. მათ შორის – მეც. ომი რომ არა, ბერობაზე არ ვიფიქრებდი”.**

მამა ელისე ყოველთვის იქ იდგა, სადაც საქართველოს სულიერად უჭირდა. ფოკაში უძნელეს საყოფაცხოვრებო პირობებში უწევდა ღვთისმსახურება, მაგრამ მისი დრტვინვა არავის გაუგია.

უწმინდესისა და მეუფე დანიელის კურთხევით მამა ელისე სულიერ ძმებთან ერთად კოდორის ხეობაში ჩავიდა მამათა მონასტრის გასახსნელად. ტყეში შეშას ამზადებდნენ. მოულოდნელად ტყიდან დაქანებული მორი პირდაპირ მამა ელისეს დაეჯახა... დარტყმა საშინელი ძალისა იყო – ბერი ხუთ წუთში დაიცალა სისხლისაგან, ცას შეაფრინდა სული წამებული. ზემოაფხაზეთის გულდაკოდილმა მოსახლეობამ საკუთარი ხელით გამოუჭედა კუბო წაბლის ხის ფიცრებისაგან. მამა ელისე კოდორის ხეობის ზეციურ მფარველად აღიარეს მორწმუნეებმა.

მრავალი დარდის ამშლელია ქალბატონ სვეტლანა კვიკვინიას მიერ შედგენილი და უხვად ილუსტრირებული წიგნი, რომელშიც სარკესავითაა აღბეჭდილი იღუმენ ელისეს ფერისცვალების ისტორია...

როლანდ ჯალაღანია



სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ამ ჩანაწერებშიც, რომელიც აგენტურის მეშვეობით იქნა მოპოვებული მოსკოვის დიპლომატიურ წრეებში, მკაფიოდ იყო მინიშნება მოახლოებულ მომავალ ომზე. ამასთან, მკითხველს ვთხოვ რომ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს ორი ფაქტის მიმართ.

უპირველესად იმას, რომ ომის დაწყების წინა დღეებში – 19 და 20 ივნისს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატიდან სტალინს შეტყობინებები მისდიოდა არა სახალხო კომისარ მერკულოვის, არამედ ქობულოვის ხელმოწერით. ამასთან, იგრძნობოდა სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატიდან შეტყობინებების არაბუნებრივი მოზდავება, რაც თვალნათლივაა ასახული აღნიშნულ კრებულში... ეს უკვე თავისთავად იყო იმის მიმანიშნებელი, რომ მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდებოდა.

მაგრამ, საყურადღებოა ის, რომ ამ კრებულში არ მოხვდა ბერიას მიერ 1941 წლის 5 ივნისის შემდეგ ხელმოწერილი არცერთი შეტყობინება, რომელიც მას სასაზღვრო ძალების სადაზვერვო სტრუქტურებიდან შემოსდიოდა. არა და, ბერიას უწყებიდანაც ხომ სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა ამგვარი შეტყობინებების გამოგზავნა და ლავრენტის არ შეეძლო სათანადო შეტყობინებები არ გაეგზავნა სტალინის მისამართით. როგორც ჩანს, კრებულის შემდგენლებს არ ეყოთ იმდენი სინდისი, რომ **"სადამსჯელო ბანაკების"** ინსინუაციებით ხელოვნურად გასვრილი ბერიას დამსახურება წარმოედგინათ მკითხველთა სამსჯავროზე, რაც ფაქტიურად მისი გამართლების ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ არ ჩანს არსად 1941 წლის ივნისის შუა რიცხვების შემდეგ ბერიას კვალი მოსალოდნელი ომისათვის მზადების საქმეში.

თუმცა, როგორც მე ვვარაუდობ, 1941 წლის 18 ივნისის შემდეგ ბერიას სტალინისათვის არავითარი შეტყობინება არ გაუგზავნია, რადგან სტალინი ამას აღარ საჭიროებდა. მას უკვე ჰყავდა ყველაზე **"საიმედო"** ინფორმატორი – თვით ადოლფ ჰიტლერი!

მერკულოვი (რომლის გაუჩინარება 19-20 ივნისს ჩემთვის დიდი ხანი რჩებოდა გაუგებარი) და ქობულოვი საქმის კურსში არ იყვნენ სტალინის მიერ ჩატარებული ზონდაჟის თაობაზე და სისტემატურად, პირველკლასელი ბავშვის მონდომებით უგზავნიდნენ ბელადს უკვე მისთვის არც თუ დიდი ღირებულების მქონე ინფორმაციებს.

ბერიამ კი, როგორც პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, როგორც სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და როგორც სტალინის ნდობით აღჭურვილმა პირმა ყველაფერი იცოდა. იგი დროს აღარ ჰკარგავდა უბრალო შეტყობინებების შედგენაზე და სტალინთან ერთად მომავალი ომისათვის ემზადებოდა. ისიც გასაგებია, თუ რატომ აღარ აქცევდა იოსებ სტალინი ყურადღებას ფიტინის **"კალენდარს"**. იგი მანამ მოძველდა მორალურად და სტრატეგიულად, ვიდრე მისი შედგენის სამუშაოები დასრულდებოდა. თუმცა, 1941 წლის 17 ივნისს შეტყობინებამ მაინც ითამაშა გარკვეული დადებითი როლი.

სიტყვისათვის, იმასაც აღვნიშნავ, რომ მერკულოვსა და ფიტინთან დაკავშირებული, 1941 წლის 17 ივნისს მომხდარი ეპიზოდი კარგად ჯდება სტალინის იმდროინდელ მოქმედებათა ჩემს მიერ წარმოდგენილ რეკონსტრუქციაში და რეალურად წარმოგვიდგენს სტალინის მოქმედებებს ომის დაწყების წინა და მომდევნო დღეებში. ორი ბერლინელი აგენტის მიერ გამოგზავნილ ინფორმაციებს სტალინი ადგილებიდან წამოსულ შეტყობინებებს უდარებდა და ამ გზით იღებდა არსებული სიტუაციის საერთო რეალურ სურათს. მაგრამ ფიტინ-მერკულოვის 17 ივნისის შეტყობინებამ სტალინს გადააწყვეტინა, რომ უშუალოდ ჰიტლერის ზონდირებით მოესინჯა უკანასკნელი ფაზა. სტალინთან, იმ დღეს, ჩეკისტები იყვნენ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ბელადის კაბინეტის კარს სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი ჟიგარევი შეაღებდა. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია ამგვარი ვერსია – სტალინმა ჟიგარევი გამოიძახა **"საშტაბო"** ინფორმაციის **"საველე"** მეთოდებით (საზღვრის ხაზზე გადაფრენით) გადამოწმების დავალების მისაცემად.

არის კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც გენერალ სუდოპლატოვისაგან მოდის. იგი არც თუ იშვიათად არ არის ხოლმე მთლად ზუსტი, მაგრამ ამჯერად, მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეიცავდა მეორეხარისხოვან მონაცემებს და იყო მხოლოდ სიმართლის მომცველი. მაშ ასე, პავლე ანატოლის ძე იხსენებს, რომ იმ დღეს, როცა ფიტინი კრემლიდან დაბრუნდა, ბერიამ სუდოპლატოვი თავისთან იხმო. მართალია მაშინ უწყებრივად სუდოპლატოვი ბერიას არ ემორჩილებოდა, მაგრამ ჩემს მიერ აგებული რეკონსტრუქციიდან კარგად ჩანს, რომ საქმით ისინი მაინც მყარად იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან, და თანაც, ლავრენტი ბერია მაშინ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო.

და გენერალმა სუდოპლატოვმა უკვე 1941 წლის 17 ივნისს მიიღო დავალება ბერიასაგან, რომ გამოცდილი მუშაკებისაგან შეექმნა ჯგუფი, რომელიც ომის დაწყების შემთხვევაში ჩაატარებდა სადაზვერვო-დივერსიულ აქციებს. გარდა ამისა, ჯგუფს მიეცა დავალება, რომ აღეკვეთა საბჭოთა კავშირის საზღვარზე იმგვარი დივერსიულ-პროვოკაციული ქმედება, რაც გერმანული რეიხის სპეცსამსახურებმა მოაწყვეს პოლონეთის საზღვართან 1939 წელს, სადაც გათამაშდა პოლონელთა მიერ გერმანიის ქალაქ გლაივიცში მდებარე რადიოსადგურზე თავდასხმის სცენა. სწორედ ეს ფაქტი იქცა გერმანელთა მიერ პოლონეთის ოკუპაციის მიზეზად.

ესე იგი, სუდოპლატოვის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ბერია (და რა თქმა უნდა, სტალინიც), ტიმოშენკოსა და ჟუკოვისაგან განსხვავებით, უკვე 1941 წლის 17 ივნისს იყვნენ მზად მოსალოდნელი ომისათვის. სიტყვისათვის, იგივე სუდოპლატოვი იხსენებდა, რომ სასაზღვრო ჯარების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, გენერალი მასლენნიკოვი უკმაყოფილო დარჩა, როცა შეიტყო, რომ მისი განსაკუთრებული რაზმი საბოლოოდ დაკომპლექტდებოდა მხოლოდ ათი დღის შემდეგ.

ახლა კი დავუბრუნდეთ ომის წინადღეებში მოსკოვიდან სსრკ უშიშროების სახალხო კომისარ მერკულოვის გაუჩინარების საკითხს, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა ბალტიისპირეთიდან. ჩემი ვარაუდით, ეს გაუჩინარება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ სტალინმა განკარგულება მისცა სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარს, რომ მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით მას კიდევ ერთი ინსპექცია ჩაეტარებინა საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრისპირა რეგიონებში.

საბოლოო დასკვნა კი ასეთია: 1941 წლის 18 ივნისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობა ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ გერმანია დღე-დღეზე ომს დაიწყებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს ცნობილი იყო საბჭოთა სამხედრო ისტებლიშმენტისათვის როგორც ოპერატიული, ასევე სტრატეგიული თვალსაზრისით. მე სრულიად ვეთანხმები ა.ბ. მარტიროსიანს, რომელმაც შესანიშნავი ანალიზის ჩატარებით გარკვეული ხაზი გააკეთა სტრატეგიულ და ტაქტიკურ მოულოდნელობებს შორის.

ძნელია არ დაეთანხმო მის მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ ომის დასაწყისში ადგილი ჰქონდა არა მარტო ოფიცერთა გარკვეული ნაწილის უთავბოლობას, არამედ მოღალატეობრივ ქმედებებსაც კი! ყოველი შემთხვევისათვის, ის, თუ როგორ შეხვდნენ ომს მარშლები და გენერლები, ბერიასაგან და სტალინისაგან, ოფიცერთა მხრიდან ღალატის გარდა სხვას ვერაფერს უწოდებ.

მარშალთა და გენერალთა მტკიცებას საკდესის განცხადების **"განმმაგნიტებელი"** თვისების თაობაზე, მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი მიამიტები თუ ირწმუნებენ! ნებიმიერი პოლიტიკური საჯარო განცხადება არ შეიძლება ორიენტირად იქცეს სამხედროებისათვის. ნამდვილი სამხედრო მოსამსახურისათვის ორიენტირს წარმოადგენს მხოლოდ ბრძანება! საბჭოთა მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერლებმა კი ვერ (ან **არ**) შეასრულეს სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატის მიერ გაცემული ბრძანება სამხედრო ქვედანაყოფებში შენიღბვითი სამუშაოების ჩატარების თაობაზე...

1941 წლის გაზაფხულის დასასრულისთანავე საბჭოთა საზღვრისპირა რეგიონების სამხედრო ნაწილებში მოსამსახურე ყოველი ოფიცერი შეკუმშულ ზამბარასავით უნდა ყოფილიყო ომის მოლოდინში. და ასეთი ბრძანება უნდა გაეცათ ტიმოშენკოსა და ჟუკოვს მოსკოვში, პავლოვს – მინსკში და კარპონოსს – კიევში. ჩვენ უკვე ვიხილეთ, თუ როგორი მონდომებით ემზადებოდნენ ისინი მოსალოდნელი ომისათვის...

კიდევ შემიძლია რაღაც-რაღაცეების გახსენება... **"რაღაც-რაღაცეები"** არა იმიტომ, რომ ძირითადი სათქმელი გამომელია, არამედ იმიტომ, რომ აწ წიგნს ვწერ არა მხოლოდ ომისწინა პერიოდში არსებული ჩავარდნების აღსაღწერად, არამედ იმიტომ, რომ ეს თემა ძირითადად მოერგოს ჩემს მოთხრობას ლავრენტი პავლეს ძე ბერიას თაობაზე.

და აი, რა შინაარსის პატაკს სწერს კიევიდან სსრკ შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს 1941 წლის 2 ივნარს კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი მ.ა. პურკიევი:

"კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის საცეცხლე მარაგი თითქმის უმნიშვნელოა. იგი ვერ შესძლებს ოლქის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას პირველი ოპერაციის დროსაც კი... მთავარი საარტილერიო სამმართველო ვერ ასრულებს დასახულ გეგმებს. თავდაცვის სახალხო კომისრის მიერ 1940 წლის 20 სექტემბრის №371649 ბრძანების თანახმად დაგეგმილი 3.684 ვაგონის ნაცვლად მოწოდებულია 1355 ვაგონი, ამასთან, ბევრი ვაგონი დატვირთული იყო იმ საბრძოლო მარაგით, რაც ჩვენ არ მოგვითხოვია" და ა.შ.

გენშტაბის ბიუროკრატმა გენერლებმა პურკაევის წერილი **"ტრადიციისამებრ"** გადააგზავნეს თავდაცვის სამინისტროს მთავარ საარტილერიო სამმართველოში, საიდანაც 1941 წლის თებერვალში მოვიდა წყალწყალა პასუხი:

"1940 წლის საარტილერიო დანადგარების და ჭურვების მოწოდება შესრულებულია წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით. ამიტომ, გეგმა ჯერჯერობით შესრულებულია მხოლოდ 34%-ით, მაგრამ 1941 წელს გეგმა მთლიანად იქნება შესრულებული..."

შეასრულეს!

საინტერესოა, რა კრიტერიუმებით აგენდნენ გენშტაბის ოფიცრები საარტილერიო დანადგარებისა და ჭურვების მიწოდების გეგმას, თუ 34 პროცენტით გეგმის შესრულებას ისინი ნორმალურ მოვლენად მიიჩნევდნენ. ისინი არავის აწუხებდნენ ამგვარი სიმახინჯის აღმოსაფხვრელად, არც ტიმოშენკოს, არც ჟუკოვსა და არც სტალინს, სამაგიეროდ თავმომწონედ ყელყელაობდნენ უმაღლესი ოფიცრობის წინაშე შემდეგი სიტყვებით: **"დახეთ, დახეთ, რა მაგარჯავშნიანი და სწრაფი ტანკები გვყავს!"**

სამშობლო მართლაც უზრუნველყოფდა ჯარის ნაწილებს მაგარჯავშნიანი და სწრაფმავალი ტანკებით **T-34** (ომამდე ჩვენს სამხედეო ნაწილებს 1.500 ერთეული ასეთი ტანკი ჰყავდა, რაც საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა). მაგრამ ჩვენი გენერლები ისე უტვინოდ გეგმავდნენ სამხედრო სწავლებებს, რომ საბჭოთა რიგით ტანკისტს არ ჰქონდა უკიდურესად შეზღუდულ ვადებში იმ დროისათვის ამ სრულიად ახალი სამხედრო ტექნიკის სრულყოფილად ათვისების საშუალება. იგივე სიტუაცია სუფევდა საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალებში, რომელსაც თავკაცობდნენ **"ბერიას მსხვერპლად"** ქცეული სმუშკევიჩი და რიჩაგოვი.

სხვათა შორის, კანცელარიის **"ვირთხებად გარდაქმნილი"** ოფიცრები ზუსტად იმგვარი მონდომებითა და სიმართლის ასხამდნენ ლაფს ბერიასა და სტალინის სახელს, თავიანთ კაპიტალურ ნაშრომებში, როგორი მონდომებითა და სიმართლითაც ემზადებოდნენ ისინი მომავალი ომისათვის. მოგვიანებით მე კიდევ ვიტყვი ამის თაობაზე...

სამწუხაროდ, მრავალი ბნელი მხარე აქვს დიდი სამამულო ომის დაწყების წინა რამდენიმედღიან პერიოდს. თუნდაც სამხედრო-საზღვაო ძალების სახალხო კომისარ კუზნეცოვის მიერ ფლოტის **"№1 მზადყოფნაში"** მოყვანას... ნიკოლოზ გერასიმეს ძე ყოველთვის დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ მან ეს გააკეთა საკუთარი ინიციატივით, სტალინის სანქციის გარეშე.

მაგრამ აშკარაა, რომ რაღაცას ეშმაკობს კუზნეცოვი...

ის რომ, საბჭოთა ფლოტი შედარებით მომზადებული დახვდა გერმანელთა პირველ შემოტევებს, ფაქტია. მაგრამ ის, რომ კუზნეცოვმა ყოველგვარი სანქციონირების გარეშე, პირადი ინიციატივით მოიყვანა ფლოტი მზადყოფნაში, ნამდვილად არ არის ფაქტი. არსებობს 1943 წლიდან გასაიდუმლოებული **"სევასტოპოლის დაცვის მონაწილის ჩანაწერები"**, რომლის ავტორია პირველი რანგის კაპიტანი ა.კ. ევსეევი, რომელიც ამტკიცებს, რომ სამხედრო ფლოტი სრულ საომარ მზადყოფნაში მოყვანილ იქნა მაშინ, როცა სევასტოპოლის ზღვისპირა ბულვარზე უკვე ფეთქდებოდა გერმანული ჭურვები.

კარგით, დავუშვათ, რომ კუზნეცოვმა ბრძანება დროულად გასცა, მაგრამ შავი ზღვის ფლოტმა მისი დროულად შესრულება ვერ შესძლო. მაგრამ, შეეძლო კი სახალხო კომისარს ამგვარი ნაბიჯის გადადგმა საომარი ქმედებების დაწყებამდე სტალინის ნებართვის გარეშე? იცით, რას ნიშნავს **"მზადყოფნა №1"**? ის გახლავთ **"დიდი თავმოყრის"** სიგნალი ფლოტის ბაზებზე, სამხედრო განგაშს ხომალდებზე, შვებულებებიდან თეთრკიტელიანი ოფიცრებისა და რიგითების გამოძახებას! სევასტოპოლში, ოდესაში, ლენინგრადში, რიგაში, ტალინში...

ამ ორომტრიალს კი აკვირდებიან აბვერის აგენტები... თავი გავანებოთ იმას, რომ ამგვარ ავრალს აკვირდებოდნენ რიგითი გერმანელი მოქალაქეები, რომლებიც მივლინებით იმყოფებოდნენ თუნდაც ტალინში. მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, რომ ომი 22 ივნისს არ დაწყებულიყო?

დავუშვათ, რომ ჰიტლერი კიდევ ერთი კვირით გადასდებდა ომის დაწყებას! იქნებ მას განზრახული ჰქონდა შემოდგომის დასასრულამდე მოეღო ბოლო ჩვენთვის და ამიტომაც მისთვის დიდს არაფერს ნიშნავდა კიდევ ერთი კვირით დაყოვნება.

მაშინ, რას მივიღებდით ჩვენ? როგორც მინიმუმი, რეიხის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტას. მაქსიმუმი? მაქსიმუმი კი იქნებოდა მიზეზი თავდასხმისათვის, რისაც ასე ეშინოდა სტალინს.

რაღაც, ერთი მეორესთან ვერ თავსდება!

ამგვარ თვითნებურ **"მზადებას"** შეიძლება დამატებითი თავსატეხი გაეჩინა ჩვენთვის, რაც საკმაოდ ძვირად დაგვიჯდებოდა! ამიტომ, ძნელად სარწმუნოა, რომ ომის დაწყების წინა დღეებში კუზნეცოვი საკუთარი ინიციატივითა და რისკით მოქმედებდა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონდოლიზა რაისს სააკაშვილის დანახვაც აღარ უნდა

ჰილარი კლინტონის ვიზიტი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა – სააკაშვილის მშვიდობიან გადადგომას, კონდოლიზა რაისის ბათუმიდან დემონსტრაციული წასვლა კი ადასტურებს, რომ ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტია, მას არამც თუ ხელს აღარ ართმევენ მსოფლიო ლიდერები, არამედ საქართველოსაც იგნორირებას უკეთებენ.

ათი დღის წინათ სტამბულიდან კრიალა ლაინერი გამოვიდა. მასზე რამდენიმე **„ყოფილი“** პოლიტიკოსი იჯდა, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მსოფლიოს აზანზარებდნენ. მათ შორის კი პირველი, რასაკვირველია, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი იყო. ამ მოგზაურობას გორბაჩოვის ფონდი აფინანსებდა და მათ საქართველოში ლექციები და ბრიფინგები უნდა ჩაეტარებინათ. საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა ბოლო წუთს საქართველოში ჩამოსვლაზე უარი განაცხადა. როგორც ქართული პრესა სარკასტულად წერდა, ალბათ, პუპუზას შეპირებული საპროტესტო მიტინგის შეეშინდაო!

გემი ზუსტად დილის ოთხ საათზე შემოვიდა ბათუმის პორტში. დამხდურთა შორის მხოლოდ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეა, თითქოს ეს მორიგი ტურისტული რეისი იყოს, ასე რომ იწონებს თავს თვითონაც ტურისტი ბატონი პრეზიდენტი. არსად ჩანს სააკაშვილი და ეს იმ დროს, როდესაც წინა დღეს ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა განაცხადა, რომ ეს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ვიზიტია და კიდევ უფრო განამტკიცებს **„სტრატეგიულ** (მითიურ – რ.კ.) **პარტნიორობას“**. აი, აქ კი ხდება ყველასთვის მოულოდნელი რამ – გემბანიდან ჩამოდის ქალბატონი რაისი, ხმის ამოუღებლად ჯდება ამერიკის საელჩოს მანქანაში და პირდაპირ აეროპორტში მიდის, იქიდან კი გოლფის სათამაშოდ ირლანდიაში მიფრინავს. სრული გაუგებრობა და უზარმაზარი სკანდალი!

მაინც სად არის საქართველოს სახელოვანი მხედართმთავარი და პრეზიდენტი? მასმედია დუმს. მაგრამ მე მაინც დავადგინე – იგი ანაკლიაში თავისი საპროგრამო სიტყვით შეშლილი სახით გამოსვლის შემდეგ თავისი საყვარელი თვითმფრინავით პირდაპირ ერთ პატარა იტალიურ ქალაქში გაფრინდა და თავის სიცოცხლეში, ალბათ, პირველად დაესწრო საოპერო წარმოდგენას! თან იქ ახალი ქართველი ვარსკვლავი ქალი გამოდიოდა მთავარ როლში, ჩვენ კი სააკაშვილის სუსტი წერტილები კარგად გვაქვს შესწავლილი.

მაგრამ დავიჯეროთ, რომ ოპერის ვარსკვლავმა, რაოდენ დიდი ტალანტიც იყოს, გადასწონა კონდოლიზას ვიზიტი, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი უნდა ყოფილიყო?! ძალიან საეჭვოა. მაშ, რა შეიძლება მომხდარიყო? – ამას ვერ გავიგებთ, ვიდრე ქალბატონი რაისი თვითონ არ იტყვის. ჩვენ კი შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ.

თუ გავიხსენებთ სააკაშვილის არეულ სახეს ანაკლიაში, როდესაც ის პოსეიდონის, ზღვათა მპყრობელის პოზაში იდგა, რაღაც მინიშნებები არსებობს. შეიძლება მან სწორედ მაშინ გაიგო, რომ კონდოლიზა რაისი მასთან არამც თუ არ აპირებს შეხვედრას, არამედ საერთოდ არ აპირებს საქართველოში გადმოსვლას და ეს კრუიზი სწორედ სიმბოლური უნდა ყოფილიყო მისი მხრიდან. გამოდის, ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტია, მას არამც თუ ხელს აღარ ართმევენ მსოფლიო ლიდერები, არამედ საქართველოსაც იგნორირებას უკეთებენ.

მეტყვიან: – აბა, ივნისის ვიზიტები რას მივაწეროთო? ამაზე მე იმთავითვე დავწერე, მაგრამ ვისაც ეს გამორჩა, კვლავ გავუმეორებ: ივნისში პარიზში შეიკრიბნენ ევროკავშირში ახლადშექმნილი მძლავრი დაჯგუფების წევრები, ანუ საფრანგეთის, გერმანიისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები და მათ **„ვეიმარის სამკუთხედი“** შეარქვეს. შეხვედრის დეტალები არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მისი შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ, საუბარი საქართველოს პრეზიდენტზე იყო. ფაქტია, რომ ამის შემდეგ საფრანგეთისა და პოლონეთის მინისტრები, კუშნერი და სიკორსკი პირდაპირ თბილისში გამოფრინდნენ, ხოლო შემდეგ კუშნერმა საკმაოდ არადიპლომატიური ლექციაც კი წაგვიკითხა ტელევიზიით და პროფესიონალი ანალიტიკოსებისთვის სრულიად გასაგები გახდა ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოსა და მისი პრეზიდენტის მიმართ. აი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი კი ლავროვთან ერთად დასასვენებლად რუსეთში გაემართა და იქ დაელოდა თბილისში სააკაშვილთან ჩატარებული მოლაპარაკებების შედეგებს. ამის შემდეგ თბილისში ექვსსაათიანი ვიზიტით ჩამოდის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, რომელიც მთელი წელიწად-ნახევარი პრინციპულად არიდებდა თავს სააკაშვილთან შეხვედრას, ისევე, როგორც მისი **„ბოსი“** ბარაკ ობამა.

მაინც რა შეიძლება ყოფილიყო ჰილარის მხრიდან პოზიციის 180-გრადუსიანი შეცვლის მიზეზი? – მხოლოდ სააკაშვილი და ის ულტიმატუმი, რაც მას ევროკავშირის წამყვანმა წევრებმა რუსეთთან შეთანხმებით დაუდეს – გადადგომა! ის, რომ მან (ჰილარი კლინტონმა) ზედმიწევნით იცის, თუ რა სიტუაციაა საქართველოში, იქიდანაც გამოჩნდა, რომ მან ოპოზიციის წამყვან ლიდერებთან შესახვედრად ვერ მოიცალა და ამით კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ეს ვიზიტი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა – საქართველოდან სააკაშვილის მშვიდობიან წასვლას. ხოლო სხვა მიზეზი აქ შემოსასეირნებლად მას არ ჰქონდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ქალბატონ კონდოლიზა რაისს.

ეს უაღრესად განათლებული ქალბატონია და მისი სპეციალიზაცია საერთაშორისო ურთიერთობებში არის რუსეთის პოლიტიკა. ამასთანავე, მან ზედმიწევნით იცის რუსული ენა. სწორედ აქედან ჩანს ბუშის ადმინისტრაციის პრიორიტეტი – რუსეთთან დაპირისპირება. სწორედ კონდოლიზას რატომ შესთავაზეს ჯერ ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის პოსტი, შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრობა (სახელმწიფო მდივნობა)? აქ იყო პიროვნული მოტივებიც – ბუში დაჩაგრულად გრძნობდა თავს ნეოკონსერვატორების მხრიდან, რომლებიც მას არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ და მხოლოდ კონდი (როგორც მან შეარქვა) უგებდა მას. აქ კონდის საკუთარი მიზეზებიც ჰქონდა – ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ღიად აცხადებდა პრეტენზიას საგარეო საქმეებზე, რაც მის კომპეტენციაში საერთოდ არ შედიოდა.

საერთოდ, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი იმისთვის არის, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში პრეზიდენტი შეცვალოს, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა; მაგალითად, ეს ბოლოს ჯონ კენედის მკვლელობისა და რიჩარდ ნიქსონის იმპიჩმენტის შიშით გადადგომისას იყო. მაგრამ დიკ ჩეინი წარმოადგენდა იმდროინდელ სენატში მძლავრი და აგრესიული დაჯგუფების – ნეოკონების ინტერესებს, პირველ ყოვლისა კი ძალიან გავლენიანი სენატორების – ჯონ მაკეინისა და ლუგარის სახით (დღეს მაკეინი ოპოზიციაში გამოირჩევა პრეზიდენტ ობამას ლანძღვა-გინებით). გარდა ამისა, დიკ ჩეინმ კონდოლიზა რაისის გასაკონტროლებლად სახელმწიფო დეპარტამენტში დასვა თავისი ქალიშვილი ისეთივე თანამდებობაზე, როგორზეც მეთიუ ბრაიზა იყო, ოღონდ ის თავის პირდაპირ სამსახურებრივ მოვალეობას – თავის რეგიონში (ახლო აღმოსავლეთი) მივლინებებს რატომღაც არ ეტანებოდა.

საერთოდ, კონდოლიზა რაისისთვის იმ ადმინისტრაციაში მხოლოდ პირობითად შეიძლებოდა გვეწოდებინა **„ქორი“**, მაშინ, როდესაც ნეოკონებთან შედარებით ის ნამდვილად **„მტრედი“** იყო.

კონდისა და მიშას შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა 2007 წლის ზაფხულში. როგორც ჩანს, მას უკვე ყელში ამოუვიდა მათ მიერ დასმული კაცის არაპროგნოზირებადობა. ამერიკის დამო უ-კიდებლობის დღეს სააკაშვილი, როგორც ყოველთვის, დაუპატიჟებლად ჩადის ვაშინგტონში (დაუჯერებელი ქცევა პრეზიდენტისთვის, რაც ახლახან კიევში გრანდიოზული კონფუზით დამთავრდა – პრეზიდენტ იანუკოვიჩის დაბადების დღეზე დაუპატიჟებლად ჩასვლის შემდეგ იქაურმა პრეს-სპიკერმა შემდეგი **განაცხადა: „ჩვენ, უკრაინელები, ზრდილობიანი ხალხი ვართ და დაუპატიჟებელ სტუმარს ხომ ვერ გავაგდებდით!..“).**

მაგრამ დავუბრუნდეთ ამერიკას. ჯორჯ ბუშის დაბადების დღე სწორედ 5 ივლისს არის. ჩვენმა ტელევიზიებმა თავის პირველ გამოშვებებში აჩვენეს, თუ როგორ უმღერა სააკაშვილმა ბუშს **„ჰეპი ბერთდეი ტუ იუ“**, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, მიხვდნენ ან უთხრეს და აღარ აჩვენეს. მაგრამ ეს თურმე მხოლოდ დასაწყისი იყო – ბუშმა სააკაშვილი იმ საღამოს თავის ბანკეტზე არ დაპატიჟა!!! სამაგიეროდ, კონდოლიზა რაისმა ის თავისთან დაიბარა და სასტიკად გათათხა (დეტალები უცნობია). ამის შემდეგ სააკაშვილი მთელი ათი დღით სადღაც გადაიკარგა და მისი ადგილ-სამყოფელი მისმა უახლოესმა წრემაც არ იცოდა, რაც საერთოდ სრულიად დაუშვებელი და უპასუხისმგებლო ქცევაა პრეზიდენტისგან (შემდეგში ეს უპასუხისმგებლობა სისტემატური გახდა). მხოლოდ უკან დაბრუნების შემდეგ დაახეთქა ტყუილი – ხორვატიაში ვიყავი საერთაშორისო კონფერენციაზეო. არადა, დღეს ინტერნეტი არსებობს და მე უმალ გადავამოწმე – არც მშვენიერ ხორვატიაში და არც არსად იმ ზაფხულის დღეებში არავითარი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონფერენცია არ გამართულა. თუ დასასვენებლად იყო, ეთქვა, მაგრამ იგი სადღაც სწორედ ნერვების დასაწყნარებლად იყო წასული კონდის ლანძღვის შემდეგ. აქედან ჩვენ ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბუშმა თავის დაბადების დღეზე არ დაპატიჟა და ეს სწორედ კონდოლიზა რაისის რჩევით მოხდა!

ახლა კი მთავარზე გადავიდეთ. ჩვენთვის ავადსახსენებელ 2008 წლის მოვლენებში რა როლი ითამაშა კონდოლიზა რაისმა. გაზაფხულზე სააკაშვილისა და მისი გარემოცვისგან ძალიან აგრესიული მილიტარისტული რიტორიკა წამოვიდა. მაგალითად, ქუთელია გვიმტკიცებდა, რომ რუსებს ჟანგიანი შეიარაღება აქვთო, ხოლო ერთი მასხარა ისტორიკოსი იმასაც ამტკიცებდა, თუ დაგვჭირდა, მოსკოვსაც ავიღებთო. ასე რომ, ჩვენი ტერიტორიების 20%-ის დაკარგვაში მარტო სააკაშვილს არ მიუძღვის ბრალი. ისინი, ვინც ფონს ქმნიდნენ და ხალხს მილიტარისტული ილუზიებით კვებავდნენ, ანალოგიური დამნაშავეები არიან.

ცხადი იყო, რომ სააკაშვილი რუსეთთან აპირებდა ომს, რაც აბსოლუტურად სულელური ავანტიურა იყო და მხოლოდ ქვეყნის დაქუცმაცებას თუ შეუწყობდა ხელს. ვინაიდან 21 მაისს საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა, თავის ავანტიურას ის არჩევნების წინ ვერ დაიწყებდა, ჯერ მისი გაყალბება იყო საჭირო მილიტარისტული პროპაგანდის ფონზე. არადა, აფხაზეთიდან დევნილმა მოსახლეობამ, სამწუხაროდ, დაუჯერა იმ სისულელეს, რომ სააკაშვილს შეეძლო აფხაზეთის ძალის გამოყენებით გათავისუფლება! ხოლო ვინაიდან კავკასიაში ომის საწარმოებლად ყველაზე ხელსაყრელი დრო აგვისტოა, კონდოლიზა რაისი ომის პრევენციისთვის საქართველოში ერთი თვით ადრე, ანუ 9 ივლისს ჩამოვიდა. ის კატეგორიულად მოითხოვდა სააკაშვილისგან, რომ აფხაზეთში შეჭრისგან თავი შეეკავებინა და თუ ამას მაინც გააკეთებდა, ამერიკისა და ნატოს დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

იმავე დღეს რუსეთის ორმა სამხედრო თვითმფრინავმა ღიად გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ცხინვალის თავზე რამდენიმე წრე გააკეთა. კონდოლიზამ მესიჯი კარგად გაიგო და, რასმუსის წიგნის მიხედვით, იმავე საღამოს სადილზე სააკაშვილს მოსთხოვა, აფხაზებთან და ოსებთან ხელი მოეწერა თავდაუსხმელობის პაქტზე, რაზეც სააკაშვილი დღემდე უარს ამბობს (გაუგებარია, მაშ, რისთვის არბენინებენ ბოკერიას ჟენევაში?!). სააკაშვილმა მაშინ ეს ისე გაიგო, როგორც თვითონ უნდოდა, ე.ი. აფხაზეთში შესვლა არ შეიძლება, მაგრამ ცხინვალში – კი.

1 აგვისტოს ცხინვალიდან გაიყვანეს ქალები და ბავშვები, რამაც ნათელყო, თუ რა მოხდებოდა უახლოეს დღეებში. მაგრამ სააკაშვილი მოულოდნელად ორიოდე დღით იტალიაში გაფრინდა. რა უნდოდა იქ, ძნელი სათქმელია. რადგან საქართველოდან ის ტელეფონით ვაშინგტონს ვერ დაელაპარაკებოდა, იმიტომ, რომ რუსები მის ნალაპარაკევს მაშინვე ჩაიწერდნენ, ამ საქმეში ჩემი არაკომპეტენტური აზრით, იტალიიდან სააკაშვილი სწორედ ვაშინგტონს ელაპარაკებოდა!

მაგრამ – ვის? ბუშმა (ე.ი. კონდოლიზა რაისმაც) რომ არაფერი იცოდა მის გეგმებზე, ეს პეკინის ოლომპიადის გახსნისას გამოჩნდა მის გაოგნებულ სახეზე, როდესაც მას სწორედ პუტინმა აცნობა ომის დაწყება. ჯორჯ ბუში რომ შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს პუტინის წინაშე არაინფორმირებულობის გამო, გასაგებია. ამიტომაც მას საქართველოს დასაცავად ორი სიტყვაც არ უთქვამს, გარდა იმისა, რომ **“რუსები გადამეტებულ ძალას ხმარობენო!”.** ხოლო როდესაც ევროკავშირის მაშინდელმა მოქმედმა თავმჯდომარემ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ომის შესაჩერებლად მოსკოვში გაფრენა გადაწყვიტა, მისივე სიტყვებით, ბუშმა მას დაურეკა, სთხოვა არ ჩარეულიყო, **“დაე, რუსებმა თბილისი აიღონო!!!”.**

საბედნიეროდ, სარკოზიმ მას არ მოუსმინა და თავისი გასაკეთებელი საქმე გააკეთა, ხოლო რუსული ტანკები თბილისიდან 35 კილომეტრში შეჩერდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ.

მაინც რატომ თქვა ბუშმა ასეთი ფრაზა? ეს ხომ მარტო სააკაშვილზე დაბოღმილი კაცის პოზიცია არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მას საკმარისი მიზეზი ჰქონდა დასაბოღმად – თუნდაც ამერიკის პრესტიჟის შელახვა და მისი უსუსურობის ჩვენება, როდესაც მის პატარა **“სტრატეგიულ პარტნიორს”** თელავდნენ მოწინააღმდეგის ტანკები?! მაგრამ აქ სხვა პრობლემაც იკვეთება და შეიძლება სწორედ აქ ვიპოვოთ იმ დილემის გასაღები, თუ მის მიერ დაგეგმილ ომამდე ორიოდე დღით ადრე რატომ წავიდა სააკაშვილი იტალიაში და ვისგან მიიღო მან ინსტრუქციები.

გასაგებია, ვის ინტერესებში იყო ეს ომი: რუსები თუ თბილისს აიღებდნენ, პრეზიდენტი სწორედ მაკეინი გახდებოდა, რადგან ობამა სულ მშვიდობაზე ლაპარაკობდა! მაკეინი ომის პარტიის ლიდერი იყო და რუსების აქ შემოსვლით ის უთუოდ იმარჯვებდა საპრეზიდენტო არჩევნებში. სააკაშვილმა კი დაიწყო ეს ავანტიურა, ხოლო მერე შეშინებულმა ორ დღე-ნახევარში, 10 აგვისტოს დილას, კაპიტულაციას მოაწერა ხელი!

გამოდის, რომ მაკეინს სწორედ ჩვენი უბედურების ხარჯზე გაპრეზიდენტება უნდოდა. დასავლეთის პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ სააკაშვილი მარტო ვერ გაბედავდა ასეთი დონის ავანტიურის წამოწყებას, მაშინ, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტი ღიად გამოდიოდა ამის წინააღმდეგი. ეს თქვა კონდოლიზა რაისმა პოსტის დატოვების წინ, ხოლო მეთიუ ბრაიზა ომის დღეებში მოსკოვში გაფრინდა და რადიოსადგურ **“ეხო მოსკვის”** ეთერში ბოდიში მოუხადა რუს ხალხს, თქვა: **“მთელი ოთხი წელი ვაჩერებდი მაგ... (გიუსო).”** (რამდენად სანდო იყო მისი ეს განცხადება, ეს უკვე სხვა თემაა).

სააკაშვილი რომ თავისი პატრონების წინააღმდეგ ვერ წავიდოდა, ცხადია. მაშ, ვინ შეაგულიანა ის? ეს, სავარაუდოდ, მხოლოდ მისი მენტორი მაკეინი იქნებოდა, რომელმაც აღმოაჩინა იგი და კარიერა გაუკეთა, ან ჯონის მეგობარი და თანამზრახველი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი შეიძლება ყოფილიყო, სენატორ ლუგართან ერთად.

ჩვენ გვახსოვს, თუ როგორი გამეხებული სახე ჰქონდა კონდოლიზა რაისს, როდესაც ავლაბრის რეზიდენციის წინ ერთობლივ ბრიფინგს ატარებდა სააკაშვილთან ერთად ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ. მათ ერთმანეთს ერთხელაც არ შეხედეს და არ გაუღიმეს, ხოლო სააკაშვილმა ლამის შესტირა – ჩვენ მთელმა მსოფლიომ მიგვატოვაო. აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ, ჩემი ანალიზით, სწორედ მაშინ წაიჩხუბეს საბოლოოდ.

ჯორჯ ბუშმა გადაწყვიტა სააკაშ-ვილისთვის საბოლოო საჩუქარი გაეკეთებინა (მსოფლიოში ერთადერთი “ბუშის ქუჩა” ხომ სწორედ თბილისშია). და აი, ამერიკის პოლიტიკურ პრაქტიკაში უმაგალითო ამბავი მოხდა – ბუშის გადადგომამდე ათი დღით ადრე, მისი თხოვნით, კონდოლიზა რაისმა სახელმწიფო დეპარტამენტში საიდუმლოების პირობებში (არც ერთი ამერიკელი ჟურნალისტი არ იყო მიწვეული) ხელი მოაწერა ბუტაფორიულ **“სტრატეგიული თანამ-შრომლობის ქარტიას”.** წესით, ასეთ დოკუმენტს პრეზიდენტი უნდა აწერდეს ხელს, მაგრამ, როგორც ჩანს, სააკაშვილის დანახვა კონდოლიზა რაისისთვის უკვე იმდენად ძნელი იქნებოდა, რომ სააკაშვილს, ალბათ, უთხრეს, ვაშინგტონში ფეხი არ დაედგა.

სააკაშვილი ერთ კვირაში ნიუ იორკში მიემგზავრება გაეროს ყოველწლიურ სესიაზე დასასწრებად. შარშან ანალოგიურ სესიაზე ის ერთი კვირით ადრე ჩაფრინდა, ალბათ, აკლიმატიზაცია სჭირდებოდა **“მტრული”** თბილისის შემდეგ. ერთადერთი, ვისაც მაშინ შეხვდა, თურქმენეთის პრეზიდენტი იყო. ახლა მოდი ვნახოთ, რომელი ქვეყნის ლიდერი გაბედავს და **“რუსეთის დამმარცხებელს”** (ეს **“რუსთავი 2”**-ისა და **“იმედის”** მიხედვით) ჩამოართმევს ხელს...

სააგენტო “საქინფორმი”

რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?

შეიძლება ჩაითვალოს საკუთარი ენის სრულყოფილ მცოდნედ მეცნიერი, რომელმაც, მაგალითად, ქართული ენის სინტაქსი სრულყოფილად იცის, მაგრამ ფონეტიკა არა, ან პირიქით, ან კიდევ, მთლიანად ქართული ენის გრამატიკა ბრწყინვალედ იცის, მაგრამ ქართული ლექსიკის ეტიმოლოგია არა? რომელმა უკეთ იცის ქართული ენა, იმან, რომელმაც ქართული ენის გრამატიკაც კარგად იცის და წმინდა ეროვნული ლექსიკის ეტიმოლოგიაც, თუ იმან, რომელმაც ამ ორი საენათმეცნიერო დარგიდან ერთერთი არა?

ასეთი შედარებები იმიტომ დამჭირდა, რომ ზოგ პატივცემულ მეცნიერებათა დოქტორს ჰგონია, რაკი მაღალტიტულოვანი მეცნიერების ხელმძღვანელობით სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა, უკვე უნივერსალია, ხოლო ვისაც ასეთი ტიტულები არა აქვს, ყველა ილუზიებსაა აყოლილი და შეუძლებელია ჭეშმარიტებას ჩაწვდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ისეც, რომ მცირე წარმატების მიღებისა და აღიარების შემთხვევაშიც, ხიბლში ვარდება, მიღწეულით კმაყოფილდება და ვერ აანალიზებს რეალობას. ასე რომ არ იყოს, ერთ პატივცემულ პროფესორს უფრო შეაწუხებდა ქართველი ერის დღევანდელი სოციალური და ზნეობრივი მდგომარეობა, ვიდრე ჩემი აკადემიკოსობა.

სამშობლოსათვის არაფერს ნიშნავს მის მოქალაქეთა მიერ ზნეობრივი ნორმების ზეპირად ცოდნა და მაღალი ინტელექტი, ზნეობრივი და განათლებული ქმედებაა მთავარი და აუცილებელი. ხოლო ვინც ამ კანონზომიერებას არ ემორჩილება, მისთვის აბსოლუტურად შეუცნობელია სამყარო, უზენაესი შემოქმედი, მისი შეუვალი და უცვლელი კანონზომიერებანი, ამიტომ ზნეობაზე და მაღალ იდეალებზე საუბრობს ზეპირად, თორემ პრაქტიკულად ვერ ახერხებს ამ იდეალების საკუთარი ნებით რეალიზებას, რადგან ის სულიერად შებოჭილია, ხოლო მის თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ ვისაც ჰგონია, რომ ხელს ვუშლი დიდი საქმის კეთებაში სამეცნიერო ხარისხის უქონლობის, ან ჩემი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ასეთ კოლეგებთან ჰარმონიული რიტმში მეც ვერ ჩავჯდები. ამიტომ შეუძლია მშვიდად იყოს, პრობლემას არავის შევუქმნი.

მე იმ ჟღერადი აკადემიის წევრად დამფუძნებელმა კრებამ ამირჩია და ამ კრებაზე პრეზიდენტმა მიმიწვია, ხოლო აკადემიის წევრობა იმისათვის მინდოდა, რომ განათლებული აუდიტორისათვის გამეცნო ახალაღმოჩენილი ეროვნული ღირებულებები, თორემ, არც მე მაინტერესებს იმ აკადემიის წევრობა, რომლის წევრობა-არწევრობას ერთი ახირებული პიროვნების ნებასურვილი განსაზღვრავს.

ამას წინათ მქონდა ბედნიერება, დავსწრებოდი ერთი საკმაოდ აღიარებული მეცნიერის საიუბილეო საღამოს, რომლის დამსახურებაზე საუბრისას, ერთმა ორატორმა, სხვა მრავალ ნაშრომებთან ერთად, საგანგებოდ აღნიშნა მეცნიერის მიერ შესწავლილი ერთი მარტივი ქართული სიტყვის ეტიმოლოგია. ამის შემდეგ გავაცანი ერთ უაღრესად პატიოსან მეცნიერებათა დოქტორს ჩემს მიერ შესწავლილი რამდენიმე ძირისეული ფორმისა და სიტყვის ეტიმოლოგია, რის შემდეგ მითხრა: მე ერთი რაღაც რომ აღმოვაჩინო, ეს დიდ რამეს ნიშნავს, შენ კი რამდენ რაღაცეებს წვდები და ... – ვერ დაამთავრა ბოლომდე სათქმელი, ალბათ, უნდა ეთქვა: **„არ გიფასდებაო“**. ვიცი რატომ არ მიფასდება, ვიცი რომ სამეცნიერო ხარისხები და ტიტულები კარგია საკუთარი გამოკვლევების დაინტერესებული საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებისათვის, ამიტომ რამდენიმე წლის წინათ მივმართე არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და ვთხოვე: მიმიღეთ მაძიებლად, სამეცნიერო ხარისხის დაცვა მინდა-მეთქი. მითხრა: დაფინანსება არა გვაქვსო. მე კი საკუთარი ხარჯებით არ შემეძლო დამეკმაყოფილებინა ინსტიტუტის მოთხოვნები და დავრჩი დამოუკიდებელ მკვლევარად, თორემ ვინც იცნობს ჩემს ნაშრომებს, დამეთანხმება, რომ არ გამიჭირდებოდა საკვალიფიკაციო მინიმუმისა და სამეცნიერო ხარისხის დაცვა, მაგრამ დაუშვებდა ამას თანამედროვე მეცნიერები, როცა ჩემი ნაშრომებით ვანგრევ გაბატონებულ ცრუ დოგმებს?

მე გავეცანი ერთი პატივცემული პროფესორის სადისერტაციო ნაშრომს „ლიტერატურის ეთიკური დანიშნულება და მისი გამოვლენის თავისებურებანი აფხაზეთის ქართულ ენოვან პროზაში“. ვიცი, დიდია ლიტერატურისა და ხელოვნების ღირებულება ადამიანის სულიერი ფორმირებისა და ზნეობრივი აღზრდის საქმეში, განუზომელია მისი მნიშვნელობა ეროვნული კულტურის განვითარებაში და აღნიშნულ სადისერტაციო ნაშრომში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და გადმოცემული ექვსი ცნობილი მწერლის ღვაწლი საზოგადოების ზნეობრივი და ესთეტიკურ-ეთიკური სრულყოფისათვის. მაგრამ ეს არის ექვსი მწერლის სადიდებელი, რომელიც დაიწერა ორი მაღალკვალიფიციური მეცნიერის ხელმძღვანელობით და რითია ეს სადისერტაციო ნაშრომი და მსგავსი ნაშრომები უფრო ღირებული, ვიდრე ჩემი, მართალია არასაკმაოდ სისტემატიზირებული, მაგრამ დამოუკიდებლად შესრულებული ნაშრომები: „ქართული მხედრული დამწერლობის წარმოშობა“, „ქართული ასომთავრული ანბანი წმინდა ეროვნული ქმნილებაა“, „იბერიული ენა და საზოგადოების განვითარება-სრულყოფილების პრობლემა“, „ეტიმოლოგიური ძიებანი“, „ბიბლიური დაბადების დედნის ენა“ და სხვა, რომ ჩემი აკადემიის წევრობით პატივცემული პროფესორის ღირსება შელახულიყო? რომელია უფრო ღირებული, ერთი ან, თუნდაც, რამდენიმე ღირსეული პიროვნების სადიდებელი, თუ მთელი ერის სადიდებელი?

მაგრამ ჩემთვის მეცნიერული ტიტულები და სკამი კი არა, ჭეშმარიტების სიღრმეებში წვდომაა მთავარი, განურჩევლად იმისა, ამას ღვთით ბოძებული ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერი, ძალად ნასწავლი მეცნიერი, თუ სპეცსკოლა გაუვლელი, დამოუკიდებელი მკვლევარი შესძლებს, რადგან ჭეშმარიტების სიღრმეებში წვდომით მიღებული ცოდნა ქმნის ნორმალურ ქვეყანაში მეცნიერულ ტიტულებს და სკამსაც და, არა პირიქით. ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჭეშმარიტების დათრგუნვაა დღევანდელ ძლიერთა მთავარი სასიცოცხლო ამოცანა. ზეობის ხანა უდგას სიცრუეს და ფარისევლობას, ზეიმობს ჰუმანისტის ქურქში გახვეული ბოროტება. ამიტომ აღმართეს ჩემს წინაშე ბარიკადები, კერძოდ ამიკრძალეს მოხსენების გაკეთება სასწავლო დაწესებულებებში, და ჩემში იმის ილუზიის შესაქმნელად, რომ, თითქოსდა ზოგიერთებისგან მხარდაჭერა მაქვს, ჩამატარებინეს სოხუმის უნივერსიტეტში ორჯერ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთხელ, მაგრამ სპეციალისტები და სტუდენტები არ დამასწრეს. მოხსენების შემდეგ, თსუ-ში, სიტყვით გამოვიდა ისტორიკოსი ქნი ლეილა მირიანაშვილი და იმის გამო, რომ ე.წ. მეგრული ენით ვხსნიდი ე.წ. ქართული დამწერლობის (მხედრულის და ასომთავრულის) წარმოშობას, ჩემი გამოკვლევა, ყოველგვარი უარმყოფელი არგუმენტის მოხმობის გარეშე, ეროვნული ღირებულებების საწინაღმდეგო ქმედებად ჩამითვალა და თავისი უკმაყოფილება ისტერიული წივილ-კივილით გამოხატა.

აღსანიშნავია, რომ მეგრული წარმოშობის ზოგი ენათმეცნიერიც ვერ ბედავს და გაურბის ე.წ. მეგრული ენის განსაკუთრებული მონაცემების გამოაშკარავებას, არადა, ძნელი დასაჯერებლია არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, როგავა და ბევრი სხვა, ან თუნდაც, თანამედროვე მეცნიერები გ. კვარაცხელია, მ. ჩუხუა, ლ. ეზუგბაია და სხვები ვერ მიხვდნენ იმას, რასაც მე მივაგენი, მაგრამ ასეთის გამოაშკარავების შემთხვევაში, მათ იცოდნენ და იციან, რომ ვერ მოიპოვებდნენ, ან დაკარგავდნენ იმ მეცნიერულ ტიტულებს, რომლებსაც მათ ე.წ. მეგრული ენის ფენომენის მიმართ გარკვეული გულგრილობითაც მიაღწიეს.

იქნებ, მე ვერ ვხვდები, თორემ საკუთარი ერის და ქვეყნის საწინააღმდეგო საქმიანობას ვეწევი?

ეს უნდა გაირკვეს მეცნიერულ, აკადემიურ დონეზე და შედეგი, საჯაროდ, ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომად უნდა იქნეს გამომზეურებული, მაგრამ მანამდე კი გულწრფელად უნდა ვთქვა ჩემი აზრი.

ფაქტია, რომ **ქართველი** – ასეთი ეთნიკური სახელი და სახელმწიფო სახელდებული **საქართველო**-დ გარე სამყაროსათვის არ არსებობდა XIV საუკუნემდე (იხ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, **აფხაზეთის** განმარტება). გარე სამყაროს სინამდვილეში არსებობდა **იბერები** და **იბერია**, იბერიული მოდგმის **კოლხები** და **მესხები**, უხსოვარი დროიდან ახ. წ. აღ-ის მე-6 საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლომდე, შემდეგ კი სამეფოები – **ლაზიკა** და **აფხაზეთი** ახ. წ.აღ-ის XIV საუკუნემდე. ასეა, ცნობილი უძველესი, ჩვენი ისტორიული სინამდვილე გარე სამყაროსათვის და განსაკუთრებით, მეზობელი სახელმწიფოებისათვის. ამიტომ ამ სახელწოდებების (იბერი, იბერია, კოლხეთი, მესხეთი) მაგივრად, რომ ვიძახოთ ქართლი, ქართული დამწერლობა, ქართული ცივილიზაცია, ქართული ენა წარდგნამდელია და ქართლური პროტოქართულთან ყველაზე ახლოსაა და ყველაფერი ქართლური იყოო, მხოლოდ თავს მოვიტყუილებთ და გარე სამყაროს წინაშე შეუსაბამობას და გაუგებრობას გამოვიწვევთ. ამბობენ კიდეც, „ქართველები გაურკვეველი წარმომავლობის ერიაო“.

ასეთ ვითარებაში, საკმარისია თუ არა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „ქართლის ცხოვრების“ აშკარად მიკერძოებული და გაზვიადებული ცნობები, იმის დასამტკიცებლად, რომ ფარნავაზის დროიდან მხოლოდ ქართული ენა იყო სახელმწიფო ენა, თუნდაც, მხოლოდ „ქართლსა შინა“, რომ არაფერი ვთქვათ იბერიის სხვა რეგიონებზე, და „არღა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა“?

როცა აშკარაა, რომ **ქართლური** ენა **იბერიულის** დიალექტია და **ქართლი** იბერიის შემადგენლობაში შედიოდა, „ქართლურის გარდა სხვა ენა (იბერიულიცკი) აღარ იზრახებოდა ქართლსა შინა“-ო, შეუძლებელია, მაგრამ, თუ დედამიწაზე იბერიის ოდესღაც არსებობის წაშლა და ე.წ. მეგრელების პირწმინდად გადაშენება მოხერხდება, შესაძლებელია, ჰიპოთეზის დონეზე ვივარაუდოთ ქართული ენის სახელმწიფო ენად არსებობა ძვ.წ. აღ-ის 331 წლიდან, მიუხედავად იმისა, ამ დროიდან ახ.წ.აღ-ის მე-5 ს-მდე(?), არავითარი თვალსაჩინო ძეგლი ასეთის შესახებ არ არსებულა.

დავუშვათ „ქართლის ჭირისუფლებმა“ მოახერხეს ასეთი ბოროტება, პირწმინდად აღგავეს ყველაფერი, რაც ამ ბოროტების აღსრულებაში ხელს უშლით. იარსებებს კი ქართული სახელმწიფო მშვიდად, როცა „ქართლის ცხოვრებაში“ გარკვევით წერია: ძველი წ. აღ-ით მე-6 საუკუნემდე „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“, „კავკასიის ნახევარი ჰაიკებს ეკუთვნოდაო“ და ე.წ. სომხებს (ჰაიკებს) ესა აქვთ ხელზე დახვეული? უსაძირკვლო შენობა იქნება მუდამ მდგრადი? ეს შეუძლებელია!

დავსვათ საპირისპირო კითხვაც:

უქმნის თუ არა საფრთხეს ე.წ. მეგრული ენის ზემოწარმოდგენილი მონაცემებისათვის **მწვანე გზის მიცემა** ქართველი ერის ღირსებას და საქართველოს არსებობას?

როცა ცხადია, თანამედროვე საერთო სალიტერატურო ე.წ. ქართული ენა წარმოადგენს მოძმე ენების – სვანურის, ქართლურის და, საკუთრივ, იბერიულის (ე.წ. მეგრულის) ისევ კონსოლოდაციის, შერწყმის შედეგს, როცა ამ საერთო ენის ძირი ისევ ე.წ. მეგრულია, ანუ ეს საერთო სალიტერატურო ენა – ახალი იბერიული ენაა, როცა ჭეშმარიტებაა, რომ მე-10 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან დაწყებული საერთო სალიტერატურო ენისა და კულტურის განვითარებაში სამივე ძმა ხალხს უდავოდ დიდი წვლილი აქვს შეტანილი და, როცა თითოეულ ამ მოძმე ხალხს შეგნებული აქვს და დარწმუნებულია, რომ მიწიერი სამოთხე – დედა სამშობლო – საქართველო სამივე მოძმე ხალხისათვის ღვიძლია, ჩვენი აზრით, არც ქართველი ერის ღირსებას, არც საქართველოს არსებობას და არც საერთო სალიტერატურო ქართულ ენას ემუქრება (დაშლის) საფრთხე.

შესაძლებელია, საფრთხე დაემუქროს მხოლოდ სახელწოდების, **- ქართული** და **საქართველო**, - არსებობას. და ესეც მხოლოდ მაშინ, როცა უხერხულობაში და უმაყოფილებაში იგრძნობს თავს ე.წ. ქართველი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა „ქართ“ ძირის შეურაცხმყოფელი მნიშვნელობის გამო. თუ ვერ შეელევა ე.წ. ქართველი ერის უდიდესი უმრავლესობა, მიუხედავად მისი შეურაცხმყოფელი მნიშვნელობისა, ამ სახელწოდებით არსებობას, თუმცა, ჩემი დიდი სურვილია დავუბრუნოთ ჩვენს სამშობლოს ისტორიული სახელწოდებანი **იბერი** და **იბერია,** დარჩება – **ქართველი** და **საქართველო.**

ერთხელ კიდევ მინდა მივაპყრო ქართველი ერის ყურადღება იმ მოსალოდნელ ტრაგიკულ შედეგს, რაც კოლხურ-იბერიულ ფესვებთან ბრძოლას შეუძლია მოუტანოს ქართველი ერის არსებობას, რადგან საკუთარი ფესვების ამოძირკვა იგივეა, რაც იმ ტოტის მოჭრა, რომელზეც ზიხარ. ხოლო რამდენადმე მაინც მოვიშუშოთ საკუთარი ფესვებისათვის, შედეგის გაუაზრებლობით მიყენებული ჭრილობა, აუცილებელია მეცნიერულად, აკადემიურ დონეზე შესწავლილ იქნეს ქარდ-იბერთა ურთიერთ დაპირისპირების მიზეზი, რომელიც უეჭველად არსებობდა. ამაზე, როგორც ვნახეთ, გამოვთქვი ჩემი აზრი, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს საკმარისი არ არის. ამის შემდეგ ვაპატიოთ ერთმანეთს წინაპართა დაშვებული შეცდომები და ქრისტიანული სიბრძნით შევუდგეთ ახალი, ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას.

ბატონო ტარიელ ფუტკარაძევ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს რომ უჩივით მ. ჯანჯღავას „მეგრული ენის ფენომენის“ გამოცემაში დახმარებისათვის, თუ რამე არა სწორს წერს, გაეცით მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხი, მაგრამ ჭეშმარიტების უარყოფა არც ისე ადვილია. ან ჭეშმარიტების უარყოფა ზნეობრივია, მითუმეტეს, მეცნიერისთვის?

ბატონო ტარიელ, თუ თქვენს მეცნიერულ ტიტულებს პატივს აღარ სცემთ და პირად კეთილდღეობას უფრო მაღლა აყენებთ, პატივი იმას მაინც ეცით, ვინც ეს ტიტულები მოგანიჭათ და უზრუნველყოფილი ცხოვრების საფუძველი მოგცათ, ბოლოსდაბოლოს პატივი ეცით იმას, ვინც ამ ტიტულების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორობა გიბოძათ და გაეცანით მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას და ვ. ვახანიას „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობას“, შვიდტომეულს; გაეცანით მ. ჯანჯღავას „მეგრული ენის ფენომენს“ და ჩემს მოკრძალებულ ნაშრომს „ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“, რომელშიც წარმოვადგენ ჩვენი დამწერლობის **მხედრულისა** და **ასომთავრულის** წმინდა იბერიულ ნიადაგზე წარმოშობას და შემდეგ იღვაწეთ თქვენი აბსოლუტურად ცრუ განაცხადის (მეგრული ენა ქართლურის კილოკავიაო), ჭეშმარიტების რანგში, საზოგადოების ფართო მასების ცნობიერებაში დამკვიდრებისათვის. ნუ შეეცდებით იმის ილუზიის შექმნას, ვითომ ამ წერილს არ გაცნობიხართ. გადავცემ სანდო პირს თქვენთვის გადმოსაცემად და თუ მაინც არ ინებებთ გამოხმაურებას, ფოსტით გაგიგზავნით.

ასევე თქვენს მდივანს გადავცემთ, ბატონო თამაზ გამყრელიძეს, ამ სტატიას და თუ მაინც არ გამოეხმაურებით, როგორც ადრინდელ ჩემს წერილებს, თქვენი მისამართით, ფოსტით გამოგიგზავნით, რომ საზოგადოებამ იცოდეს ჭეშმარიტებას გაურბიხართ. გთხოვთ ნუ ისარგებლებთ ჩემს მიერ სამეცნიერო ტიტულების უქონლობით, მე ზემოაღნიშნულ საკითხებში საკმაოდ ჩახედული ვარ და ამიტომ მოვითხოვ ასე დაჟინებით თქვენგან ობიექტურ შეფასებას, რადგან თქვენ ყველაზე კომპენტენტური მეცნიერი ბრძანდებით ამ დარგში. სიმართლე, ჩვენი ერის საამაყო წარსულზე, შთაბერავს თითოეულ ქართველ მამულიშვილს სამშობლოსათვის თავგანწირვის უნარს. ჭეშმარიტების სიღრმეში წვდომა მაძლევს მეც ასეთი შემართებით ბრძოლის უნარს და მზადა ვარ ნებისმიერი აუდიტორიის წინაშე წარვდგე მოხსენებით.

მეცნიერული ტიტულები, რომ მქონოდა, ალბათ, ზოგიერთებივით მეც შემეშინდებოდა ე.წ. მეგრული ენის განსაკუთრებულ ენობრივ მონაცემებზე მსჯელობისა. მეცნიერული ტიტულების არმქონე მკვლევარს ღმერთმა იმიტომ მომმადლა ჭეშმარიტების სიღრმეში წვდომის უნარი, რომ არ შემშინებოდა ტიტულების და სამსახურის დაკარგვისა და ამით ღმერთმა ერთხელ კიდევ მოგვცა შანსი ლეგენდარული და დასაბამიერი ერის გადარჩენისა.

კუკური ფიფია,
ფაზისის მეცნიერებათა
აკადემიის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გთავაზობთ ნაწყვეტებს ნაპო მესხიას წიგნიდან "როგორ გასხვისდა აფხაზეთი".

ომის დროს სოხუმში აფხაზურ მხარესთან აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხის განხილვის (ნადარეიშვილის მიერ ქართულ-აფხაზური დიალოგის ჩაშლის) შემდეგ ჩემს მიერ, **ჯემალ გამახარიას, აკაკი გასვიანის** და **კიმი ჯაჭვლიანის** თანაავტორობით, შემოთავაზებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფო-სამართლებრივი მოწყობის პროექტი (რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ **"Свободная Грузия"**-ს და **"საქართველოს რესპუბლიკის"** 1992 წლის 1 და 2 დეკემბრის ნომრებში) საქართველოს პარლამენტისათვის განსახილველად, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, როგორც ბევრი სხვა წინადადება, უყურადღებოდ დარჩა.

ვერ გავითვალისწინეთ პოსტსაბჭოური რეალიები, აფხაზეთის განწყობა, მათი მისწრაფებები და შევეცადეთ ამ მუხტის **"ჩაცხრობას"** ძალისმიერი მეთოდებით. გადაგვავიწყდა, რომ ვიქტორ ჰიუგოს შეგონებისა არ იყოს, **ხალხის ღირსება და შესაძლებლობები მისი სტატიკური მონაცემებით არ განისაზღვრება ისევე, როგორც ადამიანის სიდიადე მისი სიმაღლით ან წონით!** თუ ჯარებს სხვა მისია ეკისრა და მშვიდობა გვსურდა აფხაზეთში, ადგილზე უნდა ჩამოსულიყო რომელიმე მაღალი რანგის პირი, რათა თავიდან აგვეცილებინა ყოველგვარი მოსალოდნელი გართულება.

დავივიწყეთ ცნობილი ჭეშმარიტება: ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ და გამდინარე წყალს ორჯერ ვერ დალევ, მით უფრო ყანწით!..

მხედველობაში მაქვს ფსოუს წყალი და **"ფსოუწყალდალეულები"**!

ყველაზე მთავარი მაინც, სულ სხვა რამეა. **ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ საქართველოს ყოფნა რთულ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე და მასთან დაკავშირებული პრობლემები.** ბევრის აზრით, ეს, უბრალოდ, ევროპისა და აზიის გზაგასაყარსა და აბრეშუმის გზის გზაჯვარედინზე არსებობას ნიშნავს. მათ ავიწყდებათ, რომ საქართველო ორ რელიგიურ, მაშასადამე, ორ კულტურულ სამყაროს შორის მდებარეობს.

ამით აიხსნება ის, რომ სრულიად უგულვებელვყავით ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების კონფედერატთა მისწრაფებები და შესაძლებლობები, იდევე როგორც ის, რომ ეს ორგანიზაცია ყოფილი საბჭოთა კავშირის **სშპ**-ის მიერ საგანგებოდ იყო შექმნილი კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში დესტრუქციული საქმიანობისათვის.

ყველაზე დიდი სიბეცე კი მაინც ის იყო, რომ სათანადოდ არ შევაფასეთ რუსეთის ფაქტორი, რუსეთის უკიდურესად რეაქციული ძალები, როგორც აფხაზური სეპარატიზმის საყრდენი, მისი ოფიციალური, თუ არაოფიციალური წრეების ინტერესების გამომხატველი და მისი სტრატეგიული ინტერსესები საქართველოისთან მიმართებაში. დღემდე არ ვითვალისწინებთ იმას, რომ არ იყო და არც არასოდეს იქნება რუსეთი პროგრესული და დემოკრატიული, როცა საქმე კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მის ინტერესებს შეეხება. იგნორირებული იქნა რუსეთთან აფხაზეთის უშუალო მეზობლობის ფაქტორი, ის მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა, რომელსაც, ათეული წლების განმავლობაში ასე შესანიშნავად იყენებდა ორივე მხარე – როგორც აფხაზეთის ანტიქართული წრეები, ასევე რუსეთი, რითაც აფხაზეთი, როგორც ორი ძიძის პატრონი, ასე განებივრებული იყო, რადგან ჰქონდა ესოდენ დიდი, აშკარა თუ შენიღბული, მხარდაჭერა და წაქეზება რუსეთის მხრიდან. სწორედ ამიტომ გამოსდიოდათ მათ თითქმის ყველაფერი, რადგან მათი ინტერესები ურთიერთან შესაბამისობაში მოდიოდა. ისინი ყოველთვის იყენებდნენ ერთმანეთს იმისდა მიხედვით, თუ რა ამოცანები წარმოჩნდებოდა მათ წინაშე. აფხაზებმა გამოიყენეს კიდეც რუსეთი, როცა მათ ეს დასჭირდათ! რუსეთმა კი ეს თავისი ინტერესების უზრუნველსაყოფად დიდი სიამოვნებით გააკეთა და თავად ისარგებლა აფხაზეთის **"პრობლემებით"** იმპერიისაკენ საქართველოს შემოსაბრუნებლად, **დსთ**-ში შესაყვანად, რაც ქვესკნელში ჩვენი ჩათრევით დასრულდა. ეს უდავოა! რადა თქმა უნდა, არსებობდა და იარსებებს კიდევ **"აფხაზური კარტი"** რუსების ხელში, მაგრამ, ამ შემთხვევაში, იგი გათამაშდა, სამწუხაროდ, ჩვენივე შემწეობით!

სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს, სწორედ ასე მოხდა.

აქ ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ გავიხსენებ **თამაზ ნადარეიშვილის, ზურაბ ერქვანიას, ვახტანგ ყოლბაიას, რამაზ სიჭინავას** და ჩემი მონაწილეობით კრემლში რუსეთის ვიცე-პრემიერ **ნ. ბოლშაკოვთან,** რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში **გ. ბატურინთან** და სხვებთან, 1993 წლის შეხვედრებს. განსაკუთრებით საგულისხმო იყო ბატონ ბატურინთან ჩვენი დიალოგი. მან გულდასმით მოგვისმინა ყველას, ცალ-ცალკე და ქართველი ხალხისადმი განსაკუთრებული სიმპატიებითა და მეგობრული გრძნობით ნათქვამი სიტყვების შემდეგ, ლაკონურად მიგვანიშნა: **"Дорогие грузины, Вы то с Германией, то с францией, то с Турцией, то с Америкой, а теперь вспомнили, что есть такая страна, как Россия! Кстати, Ваш северный сосед! Определитесь, с кем Вы, а потом будем говорить и, думаю, можно будет договориться и благополучно решить все Ваши проблемы!"**

უფრო გასაგებად ვერ იტყვის კაცი!

სამწუხარო ფაქტია ის, რომ საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ კურსში აქცენტები შევცვალეთ ისე, რომ უგულვებელვყავით რუსეთის ინტერესები კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში და ბედის მოძიებას სხვაგან შევეცადეთ: ხან სად, ხან სად არ ჩავუშვით ღუზა. რუსეთმა ეს არ გვაპატია და ასე იქნება მანამ, სანამ სტრატეგიულ მიმართულებებში ერთ-ერთ პრიორიტეტად რუსეთს არ მივიჩნევთ, სანამ რუსეთთან არ გამოვნახავთ საერთო ენას. ამ კურსიდან გადახვევა მუდამ გარკვეულ კატაკლიზმებთან იქნება დაკავშირებული. თუ სხვა გზას ავირჩევთ, უნდა შევცვალოთ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობაც, სხვა სიტყვებით, საქართველო თავის მიწაწყლიანად უნდა გადავიტანოთ სხვაგან, იმ სივრცეში, იმ სამყაროსთან ახლოს, სადაც ჩვენ უფრო გვაძლევს ხელს და მოგვწონს. მაგრამ ეს შეუძლებელია, ამიტომ უნდა ვიყოთ და ვიცხოვროთ იმ სივრცეში, რომელიც ღვთისგანაა ბოძებული და იმ მეზობლების ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ, რომელთა გარემოცვაშიც ვიმყოფებით. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა მოვიქცეთ მანამ, სანამ არ მოვმაგრდებით, თავდაჯერებულად არ წამოვდგებით ფეხზე და მყარად არ ვიგრძნობთ თავს პროგრესულ ერთა ოჯახში. სხვა შემთხვევაში დამოუკიდებელ პოლიტიკაზე საუბარი უადგილოა!

ეს, მარტივად რომ ავხსნათ, უბრალო მოკვდავის გადასახედიდანაც კარგად მოსჩანს, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ყოველივე ეს გადაავიწყდათ იმათ, ვისაც მუდამ უნდა ახსოვდეს და იცოდეს. სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკოსებს, როგორც ადგილობრივს, ასევე ცენტრალურს, დაავიწყდათ, რომ რუსეთი საქართველოს ასე ადვილად არ დათმობდა. შემდგომშიც, ჩვენს ქვეყანაში მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ის ყოველთვის გამოიყენებს ყოველგვარ პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ხრიკს, რაც უნდა გვცოდნოდა!

ეს უნდა გვახსოვდეს!

ჯავახეთიდან გამოგზავნილი წერილი

ჩვენს ქართველები გართ!

საუკუნეებია ჩვენს მცირერიცხოვნობას მივტირით და ერთმანეთს მაინც არ ვუფრთხილებით. რა გვჭირს ხალხნო, განა მტერი ცოტა გვყავს, რომ ერთმანეთს არ ვუხეთქოთ გულები?!

პატივცემულო რედაქციავ, რა ვქნათ, იქნებ თქვენ მაინც თქვათ ჩვენს გულისტკივილზე, რომ ყველამ ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვროს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ, ადიგენის რაიონის მცხოვრებნი, ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში და ვისმენთ ტელევიზიით – უდელები სომხური წარმოშობისანი არიან და ამიტომაც მიიღეს კათოლიკური სარწმუნოებაო. ამაზე, უმეტესად, ოპოზიციურად განწყობილი პარტიების წარმომადგენლები ლაპარაკობენ. ის კი არ იციან, რომ ჩვენი წინაპარი მიწის დაკარგვის შიშმა გააკათოლიკა. სამაგიეროდ, მესხეთ-ჯავახეთი ქართველობისგან რომ იცლებოდა, მტერი ვერ გვეხებოდა და აქ საქართველოს ბურჯად ვიდექით. ახლა კი ნელ-ნელა რწმენას ვიბრუნებთ. ამის დასტურად გვინდა საისტორიო წყაროები მოვიყვანოთ. ეგებ ამან იქონიოს გავლენა ჩვენდამი სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებზე.

ასურული, ბერძნული და რომაული წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველები უძველესი დროიდან მრავალ ტომებად დანაწილებულნი ყოფილან (ივ. ჯავახიშვილი, **"ქართველი ერის ისტორია"**).

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI საუკუნიდან მოყოლებული მუსკები, ტაბალები და კასკები მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველი ტომები იყვნენ (ივ. ჯავახიშვილი, **"ქართველი ერის ისტორია"**). ე.ი. მესხები ქართველები ვართ!

ზოგიერთი პიროვნების აზრით, გენიალური შოთა რუსთაველი არ არის წარმოშობით მესხეთის რუსთავიდან, თვით პოეტი კი გვამცნობს: **"ვწერ ვინმე მესხი მელექსე"** (შოთა რუსთაველი, **"ვეფხისტყაოსანი"**, 1957 წლის გამოცემა), ესე იგი შოთა რუსთაველი მესხია, ქართველია და პოემაც ქართულად აქვს დაწერილი. **"ვეფხისტყაოსანთან"** დაკავშირებული სხვა ვერსია არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ისტორიული ფაქტი გახლავთ ის, რომ 1908 წელს ეთიოპიაში ექიმად მიიწვიეს დოქტორი პეტრე მერაბიშვილი, სოფელ უდეს მკვიდრი. მან იქ დააარსა აფთიაქი. მოგვიანებით, 60-იან წლებში პოეტმა იოსებ ნონეშვილმა, აფრიკის კონტინენტზე მოგზაურობისას მოინახულა ეს აფთიაქი, რომელსაც აბრაზე ქართულად ეწერა **"საქართველო"**. სომხური წარმოშობის არცერთი პიროვნება ქართულად ასეთ წარწერას არ გააკეთებდა.

ისტორიას არ ახსოვს ვინმეს როდისმე ეთქვას, რომ მესხები ქართველები არ არიანო. კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ სულმნათ ივანე ჯავახიშვილს, რომელიც **"ქართველ ერის ისტორიაში"** ხაზგასმით აღნიშნავს: **"რაკი ამ სამეფოს დედაქალაქს მცხეთა ერქვა, უეჭველია უძველეს დროს, მაშინ, როცა ქართველი ტომები კავკასიაში შეხიზნულან, უმთავრესი პოლიტიკური მნიშვნელობა მესხების ტომს უნდა ჰქონოდა, იმიტომ, რომ საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქის სახლი მცხეთი ანუ, მცხეთა მესხეთს ანუ მესხების ბინასა ნიშნავს, მესხების სახელის ამგვარი ფორმა "მცხე" იმ ქვეყნის სახელწოდებაშია შერჩენილი, სადაც მესხების მცირედი ნაწილი ცხოვრობდა, "სამცხე"-ში (სა-მცხე): აქაც, როგორც სიტყვა "მცხეთა"-ში "მცხე" მესხებსა ნიშნავს. შემდეგ მესხებს პოლიტიკური მნიშვნელობა დაუკარგავთ და იმერელნი ანუ იბერიელნი გაბატონებულან და მთელ სამეფოსათვის თავიანთი სახელი მიუნიჭებიათ."**

განა მესხების ქართველობის სხვა დამამტკიცებელი საბუთის მოყვანა საჭიროა ქართული ისტორიის მამის ამ სიტყვების შემდეგ?

ნუთუ პოლიტიკურმა შურმა ისე უნდა დააბრმავოს და დააყრუოს ადამიანები, რომ ზოგიერთი პიროვნებისადმი სიძულვილის გამო არაქართველებად მოიხსენიონ ის ღირსეული, რაინდი მესხები, რომლებიც თავდადებულად იცავდნენ საკუთარ ეთნოსს და მედგრად იდგნენ ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების სათავეებთან?

ვფიქრობთ, ეს მცირე ამონარიდებიც კმარა იმაში დასარწმუნებლად, რომ უდელები ძირძველი ქართველები ვართ.

დღეს, სოციალური და ეკონომიკური სიდუხჭირე აიძულებს ქართველ გლეხს მამისეული სახლ-კარი მიატოვოს და ქალაქში ეძებოს თავისა და ოჯახის გამოკვების საშუალება. იცლება სოფელი, იშლება წინაპართა ნაფუძვარი, იკარგება ტრადიციები...

კარგი დღე არც უდელებს გვადგას, მაგრამ მაინც არ ვტოვებთ ქართველებისაგან ისედაც გამეჩხერებულ ჯავახეთს.

სულ მცირე, უზნეოებად მაინც უნდა მოინათლონ ის ადამიანები, რომლებიც ყოველივე ამის შემდეგ არაქართველებად მოიხსენიებენ ზოგადად მესხებს, კონკრეტულად კი უდელებს!

პატივისცემით, უდელები, დაბა ადიგენი.

„ზუგდიდელი" ქართველებსა და აფხაზებს შორის ნათესაური, მეგობრული ტრადიციების აღდგენას ცდილობს

17 წელი გავიდა აფხაზეთის დაკარგვიდან. როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი? ან შესაძლებელია კი საერთოდ აფხაზეთი დაუბრუნდეს საქართველოს?

არასამთავრობო საზოგადოება **„ზუგდიდელი"** ქართველ და აფხაზ ხალხს შორის სახალხო დიპლომატიის როლის შესრულებას ცდილობს. მათი მთავარი მიზანი ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდისა და მრავალსაუკუნოვანი ნათესაური, ძმური და მეგობრული ტრადიციების აღდგენაა.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს საზოგადოება **„ზუგდიდელის"** ვიცე-პრეზიდენტი ბატონი მურმან ნაჭყებია: **„სამეგრელოს და აფხაზეთს, ანუ მეგრელ და აფხაზ ეთნოსს შორის იყო ისტორიულად ჩამოყალიბებული, დამკვიდრებული, მათთვის დამახასიათებელი ძმური, ნათესაური და უღალატო მეზობლობის ურთიერთობის მტკიცე ხიდი. სამწუხაროდ, ორივე მხრიდან მოუქნელმა, ხისტმა და, მე ვიტყოდი, ახლომხედველურმა პოლიტიკამ ეს ხიდი ჩატეხა. ჩემი ღრმა რწმენით ეს დროებითი მოვლენაა და რაც შეიძლება მალე წარსულს უნდა ჩავაბაროთ. ამიტომაც, პირველ რიგში, უნდა ავამუშაოთ სახალხო დიპლომატია, კონკრეტული მიმართულების გზების მოძებნა დიალოგის დასაწყებად".**

რაც შეეხება ამ ურთიერთობის აღდგენის პროცესში რუსეთის როლს, **„რეალობას ვერ გავექცევით. ჩვენ, ქართველებს, გვინდა თუ არა, აუცილებლად უნდა აღდგეს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა. რაც შეეხება დიალოგის დაწყებას აფხაზებთან, ეს უნდა მოხდეს შუამავლის გარეშე."** რეალობიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციები ყოველმხრივ ცდილობენ, გაიხანგრძლივონ თავიანთი ყოფნა კონფლიქტის ზონაში, იმიტომ, რომ მათ წარმომადგენლებს აქვთ მაღალანაზღაურებადი თანამდებობები.

ქართველებისა და აფხაზების შეხვედრა შამგონაში

არასამთავრობო ორგანიზაციის **„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები"** (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი) ძალისხმევით ზუგდიდის რაიონის ენგურისპირა სოფელ შამგონაში შედგა ქართველი და აფხაზი ნათესავების შეხვედრა. მას ესწრებოდნენ აფხაზეთიდან არალეგალურად გადმოსული ადამიანები და სამეგრელოში მცხოვრები მათი ნათესავები.

ორივე მხარემ ხაზი გაუსვა იმ როლის მნიშვნელობას, რომელიც უნდა შეასრულოს ამ კონფლიქტის მოგვარებაში ნათესაურმა ურთიერთობებმა. აღინიშნა, რომ ქართველი და აფხაზი ხალხების შემდგომი ურთიერთობისათვის უმთავრესი არის რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება, რისთვისაც აუცილებელია რუსეთთან დიალოგის დაწყება. შეხვედრის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აუცილებელია სახალხო დიპლომატიის ამოქმედება და ქართველი და აფხაზი უხუცესების შეხვედრის აღდგენა, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ არ გამართულა. ითქვა, ასევე, ქართველი და აფხაზი არასამთავრობო ორგანიზაციების, ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების შეხვედრების შესახებაც. ქართველი და აფხაზი ხალხების დასაახლოებელ პირველ ეტაპად შეხვედრის მონაწილეებმა მიიჩნიეს ვაჭრობის ლეგალიზება, ანუ გალისა და ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვართან სავაჭრო ობიექტების, ბაზრობების გახსნა, რითაც მოსახლეობას მიეცემა შესაძლებლობა ზუგდიდში, გალსა თუ წალენჯიხაში წაუსვლელად შეიძინონ მათთვის საჭირო საქონელი.

საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმი"

მხოლოდ სააკაშვილსა და მის ზედამხედველებს სჭირდებათ ქართველი ბიჭების ავღანურ სასაკლაოზე გაშვება

მინდა, გაცნობოთ შეტად არასასიამოვნო ამბავი ჩვენთან ჩამოდის რევიზორი! ალბათ, ასე, XIX საუკუნის დიდი უკრაინელი მწერლის სიტყვებით, მიმართა სააკაშვილმა თავის საგერონიკოს, რომ თბილისში რევიზიისა და ინსპექციისთვის ჩამოდიოდა ნატოს მდივანთუხუცესი. არადა, სააკაშვილის ტელევიზიებმა ნატოს ეს ინსპექტორი ლამის მსოფლიო ლიდერად წარმოგვიჩინეს.

სინამდვილეში, ისევე, როგორც ყველა მდივნის, რასმუსენის პირდაპირი მოვალეობა არის ნატოს ასამბლეისა თუ სამიტისთვის დოკუმენტების მომზადება და მისი ქსეროასლების დარიგება.

რას იზამ, მასზე უფრო მაღალი თანამდებობის პირები სააკაშვილს აღარ კადრულობენ და მისმა ტელეარხებმა ვიღაც ხომ უნდა გააპიარონ! მაღალი თანამდებობის ხალხი ივნისში გვესტუმრნენ და სააკაშვილს მშვიდობიანი წასვლა შესთავაზეს, მან კი ანჩხლი და უზნეო ბავშვივით თავისი გრძელი ფეხები გაფარჩხა და იკივლა არ წავალ!!!.

ხუმრობა იქით იყოს და მაინც რატომ გვესტუმრა ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი? საქმე ისაა, რომ სწორედ მისი მოვალეობაა, მოამზადოს ვარშავაში 12 ნოემბერს დაგეგმილი ნატოს 56-ე ასამბლეისა და 19 ნოემბერს ლისაბონში უმაღლესი დონის სამიტის მასალები. ვარშავის ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილია ალიანსის გაფართოება-არგაფართოების პერსპექტივები და რასმუსენიც სწორედ იმიტომ ჩამოვიდა თბილისში, რომ დაასაბუთოს საქართველოს საკითხის უვადოდ გადადების აუცილებლობა. ლისაბონში უმაღლესი დონის სამიტზე კი პრეზიდენტი მედვედევეცაა მიწვეული და იგი იქ სიტყვით გამოსვლას გეგმავს. არადა, დასავლეთ ევროპაში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნა ნატოში რუსეთის გაწევრების შესახებ, რასაც ამერიკა და ყოფილი კომუნისტური ქვეყნები ეწინააღმდეგებიან. მედვედევი თანახმაა, ხოლო პუტინის პოზიცია ჯერჯჯერობით უცნობია. ამ ფონზე სააკაშვილის მოთხოვნა, რომ ნატოს ამ სამიტზე განიხილონ აგვისტოს სამდღიანი ომის შედეგები, მურმანის ეკალივითაა.

ამერიკაში ბოლო ვიზიტის დროს ბაქრაძე აქტიურად ლობირებდა სააკაშვილის აკვიატებულ სურვილს, რომ ნატოს სამიტის დოკუმენტებში ტერმინი ოკუპაცია ეხსენებინათ. მიუხედავად კუშნერის დამცინავი კომენტარისა. მაგრამ, ცხადია, რომ, როდესაც ნატოს სამიტი ასე ცდილობს რუსეთის მოთათვლვას და ნატოში შეტყუებას, ასეთ რამეს იქ არ გააკეთებენ. რაც მთავარია, ნატოს ამ სამიტმა უნდა გადაწყვიტოს ამ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის სტრატეგია შემდეგი ათწლეულის განმავლობაში.

და აქ დგება საკითხი ბუქარესტის სამიტზე მიღებულ განცხადებას, რომ უკრაინასა და საქართველოს ოდესმე ნატოში მიიღებდნენ, რა უყონ? ევროპაში სიდიდით მეორე ქვეყანამ, უკრაინამ, უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ ნატოში გაწევრების არავითარი სურვილი არ გააჩნია, თუმცა ევროკავშირში გაწევრებაზე განაცხადი უკვე შეიტანა. ისევე, როგორც ეს გააკეთეს ევროპის ყველაზე წარმატებულმა ქვეყნებმა, ფინეთმა და ავსტრიამ, რომლებიც ევროკავშირის წევრებია, მაგრამ ნატოზე უარი თქვეს.

ნატოს საერთო სტრატეგიას თანდათან გამოეთიშა თურქეთიც. ის განაწყენებულია ევროკავშირის წევრობაზე მიღებული მტკიცე უარით. მას რეგიონში ყველაზე მძლავრი და ნატოს სტანდარტებით აღჭურვილი არმია ჰყავს და ნატოს კოლექტიური სამხედრო ქოლგა ნამდვილად აღარ სჭირდება. თურქეთი თანდათანობით აძლიერებს ზეგავლენას ოსმალეთის იმპერიის ყოფილ წევრებსა და რუსეთის იმპერიის თურქულენოვან ქვეყნებზე და ამიტომ უკვე დაიმსახურეს ტერმინი ნეოოსმალები. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სწორედ მხოლოდ თურქეთი იყო ნატოს გენერალურ მდივნად რასმუსენის დანიშვნის წინააღმდეგი.

ნატოს საბჭოს ბოლო სხდომაზე, როგორც ამას გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, ერთმანეთს ორი ხედვა დაუპირისპირდა აქვს თუ არა ნატოს უფლება ევროპის გარეთ ჩაებას კონფლიქტებში? ნატოს წესდებაში პირდაპირ წერია, რომ ამ ალიანსის წევრებს მხოლოდ ორ შემთხვევაში აქვთ იარაღის გამოყენების უფლება თავდაცვის მიზნით ან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით. სწორედ ასეთი რეზოლუციის შედეგად შევიდნენ ნატოს ჯარები ავღანეთში. თუმცა დასავლეთ ევროპის ქვეყნები ამის წინააღმდეგი იყვნენ და, როდესაც ორი წლის შემდეგ ამერიკამ ერაყში შესვლა გადაწყვიტა, ანალოგიური რეზოლუცია გაერომ აღარ მიიღო და შედეგად დასავლეთ ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა უარი თქვეს ერაყში ჯარების გაგზავნაზე.

სიმბოლური იყო, თბილისში რასმუსენის ერთდღიან ვიზიტსა და ნატოს წარმომადგენლობის გახსნას რომ დაემთხვა ავღანეთში ნატოს ოპერაციაში ქართველი სამხედროების დაღუპვა. ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ასეთ მოვლენას ხალხის საპროტესტო ტალღა მოჰყვებოდა, ავღანეთიდან ჯარების გაყვანის მოთხოვნით. ჩვენთან კი, მცირე გამონაკლისის გარდა, ოპოზიციური პარტიები ხმას არ იღებენ. არადა, რაში გვჭირდება ისეთი ოპოზიცია, რომელიც ასეთ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხში (არა მარტო ამაში) ხელისუფლებას უჭერს მხარს. საერთოდ, მინდა, მათ შევახსენო ანბანური ჭეშმარიტება, რომ ოპოზიცია მხოლოდ მაშინ გქვია, თუ განსხვავებული პოზიცია გაქვს. მაგრამ, როგორც ჩანს, ძალიან ბევრს მოვითხოვ ოპოზიციისგან. მაშინ, როდესაც მათ მხოლოდ საკრებულოსა და პარლამენტში ორიოდე სავარძელზე აქვთ პრეტენზია...

გვჭირდება კი ჩვენ ამ ომში მონაწილეობა და რას წარმოადგენს ეს ომი? სააკაშვილს რომ ეს პოსტის შესანარჩუნებლად სჭირდება, ცხადია! გავიხსენოთ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ერთი წლის წინათ, 14 ოქტომბერს, რადიო ეხო მოსკვის ეთერში გამოსვლა რუსეთში ოფიციალური ვიზიტისას. იქ მან დააზუსტა, თუ რისთვის უჭერს ამერიკა მხარს ჩვენს ქვეყანას: საქართველო ჯარისკაცებს გვაძლევს ავღანეთში საომრად. არც აქ და არც მოსკოვის უნივერსიტეტში ანალოგიურ გამოსვლაში მას ერთხელაც არ უხსენებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა: არც ერთი სიტყვა არ თქმულა 6-პუნქტიანი შეთანხმების შეუსრულებლობაზე ან ეთნიკურ წმენდასა და უამრავ ახალ დევნილზე. სამაგიეროდ, თქვა, რომ საქართველო, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თავს უნდა იკავებდნენ პროვოკაციებისაგან.

აი, აქედან ცხადი ხდება, რომ მხოლოდ სააკაშვილსა და მასთან დაახლოებულ ერთ-ორ პირს სჭირდება ქართველი ბიჭების სასაკლაოზე გაშვება, მაშინ, როდესაც ამ ომის გაგრძელებას ამერიკაში სულ ბოლოს გამოკითხულთა მხოლოდ 27% უჭერს მხარს.

მე აქ მინდა დავასახელო ნატოს წევრი ის ქვეყნები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის აქტიური მოწინააღმდეგეები არიან და არც მალავს ამას: გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. სწორედ ეს შვიდი წარმატებული დასავლეთ ევროპული ქვეყანა არ უშვებს საქართველოს ნატოში და მომავალშიც ასე იქნება. სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ ეს კარგად იციან, მაგრამ ეს პოლიტიკური ბანკროტები მხოლოდ თავიანთი ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობენ და მათი ერთადერთი გამოსავალი საქართველოს მოსახლეობის მოტყუებაა, რაც თავიანთი ლაქია ტელევიზიებით არცთუ ცუდად გამოსდით.

საინტერესოა, აქვს თუ არა თვითონ ამ ალიანსს მომავალი? აი, აქ კი აზრები იყოფა: ევროპაში ბევრს მიაჩნია, რომ, თუ ნატოს ოჯახს შევადარებთ, ასეთი ოჯახი, ყველასთვის აშკარაა, რომ დაშლის პირას არის. სხვებს კი მიაჩნიათ, რომ ნატომ შეცდომა დაუშვა, როცა ავღანეთის ოპერაციაში ჩაება და ევროპის გარეთ ყოველგვარ ოპერაციებზე ერთხელ და სამუდამოდ უნდა თქვას უარი. ზოგიერთები კი უფრო შორს მიდიან და ნატოდან ამერიკის გასვლას მოითხოვენ. საინტერესოა, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მეტამორფოზა: თუ ორიოდე წლის წინათ იგი პრეზიდენტი გახდა, როგორც პროამერიკელი პოლიტიკოსი, დღეს ევროპაში ამერიკის პოზიციას პირველი სწორედ თავად აკრიტიკებს.

ახლა განვიხილოთ, თუ რა იდეებია წამოყენებული ნატოს სამიტზე და რამდენად რეალურია მათი განხორციელება. როგორც ჩანს, ნატოს გაფართოება მაინც გაგრძელდება და ამის კანდიდატებად დასახელებულია სამი ბალკანური სახელმწიფო, რომლებსაც, დიდი ხანია, მინიჭებული აქვთ მაპი, ანუ გაწევრების პროგრამა. მაგრამ ყველაზე მოულოდნელი მაინც იყო გერმანიის წინადადება ნატოში რუსეთის მიღების შესახებ, რასაც საფრანგეთმა და იტალიამაც დაუჭირეს მხარი.

მათი არგუმენტები შემდეგია:

მშვიდობის შესანარჩუნებლად ძალიან მნიშვნელოვანია ძველი მტრების ახალ წესრიგში ჩართვა, ანუ ერთადერთი ლოგიკური გადაწყვეტილება პანევროპული წყობისა არის რუსეთის ამ ალიანსში გაერთიანება;

რუსეთის ნატოში თანდათანობითი ინტეგრაცია გააცოცხლებდა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს, გახდიდა რა ევროპას ამერიკის უფრო ძლიერ გეოპოლიტიკურ პარტნიორად;

რუსეთის ნატოში ინტეგრაცია ევროატლანტიკურ თანამეგობრობას გაუთართოებდა გავლენის არეალს;

რუსეთის ნატოში ინტეგრირება აუცილებელია ახალი სუპერსახელმწიფოს ჩინეთის სულ უფრო ფანტასტური ეკონომიკური და სამხედრო ზრდის ფონზე;

რუსეთის ნატოში ინტეგრაცია საშუალებას მისცემდა საქართველოს, უკრაინასა და დსთ-ს წევრებს, ისე გაჰხდარიყვნენ ამ ალიანსის წევრები, რომ რუსეთი არ გაეღიზიანებინათ.

სააკაშვილი მოინდომებდა კი ასეთ ნატოში შესვლას?

მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია და ცოტა ძნელად შესასრულებელი ჩანს, მიუხედავად პრეზიდენტ მედვედევის თანხმობისა. უფრო რეალური ჩანს, ზოგიერთი ევროპელი და ამერიკელი კომენტატორების აზრით, რომ გაისად ნატოს ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, იქ სრული დამარცხება ევროპამ და ამერიკამ ერთმანეთს გადააბრალონ და საბოლოოდ წაიჩხუბონ. აქამდე შიგნით არსებულ დაპირისპირებას ხელს უშლიდა ის, რომ მათ საერთო მტერი ჰყავდათ საბჭოთა კავშირის სახით, და თუ საერთო მტრის სტატუსი ვინმეს არ მიანიჭეს, ამ ორგანიზაციას არსებობის გამართლება აღარ ექნება. ასე რომ, ლისაბონის სამიტი შეიძლება ამ ალიანსის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

სააკაშვილმა პირველად თქვა, რომ ნატოში გაწევრება მისი აკვიატებული აზრი არ არის. ამით მან პირველად აღიარა ქართული საზოგადოების წინაშე, რომ მისი საგარეოპოლიტიკური კურსის მთავარმა კომპონენტმა სრული კრახი განიცადა. როგორც ვნახეთ, საქართველოს ნატოში გაწევრების ერთადერთი შანსი, თუკი ასეთი სურვილი იქნებოდა ჩვენი მხრიდან, მხოლოდ რუსეთის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ ექნებოდა. ასე რომ, ჩვენს ევროატლანტიკურ სამინისტროსა და მათ ჯგიბის ექსპერტებს შევახსენებ: ევროკავშირში თურქეთის გაწევრების შემდეგ თუ მიგვიღებენ (ე.ი. არასოდეს), ნატოში რუსეთის შემდეგ! ნამდვილად ბრწყინვალე პერსპექტივა აქვს სააკაშვილის საგარეო-პოლიტიკურ კურსს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია

ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია

აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.

ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.

ასეთივე უძლური და უსახსრო ღმერთი შემოქმედი ქართლურ და სვანურ თქმულებებშიც: ღმერთი იქ ხამი ადამიანსავით იქცევა, ჩავარდება – სიცივისაგან არ იცის რა ქნას, წყალში სძირავს და ანგელოზები რომ არ მიეშველნენ, დაიხრჩობოდა წყალშიც. დადის და არ იცის ხოლმე რა განსაცდელი მოელის მას: მიჰყვება ვიღაცის ფეხის კვალს, მივა ლურჯ ქვასთან, ასწევს მას და იქიდან სამოელ ეშმაკი გამოხტება, ღმერთს ყანყრატოში ხელსა სტაცებს და დახრჩობას უპირებს. დაღონდება ღმერთი და ანგელოზებს შეეხვეწება როგორმე მიშველეთო. მაგრამ ვერ იმათ გააწყეს რამე და ღმერთი ვერ გაანთავისუფლეს. სხვა გზა აღარ იყო და ღმერთმა სამოელ ეშმაკს ხვეწნა დაუწყო: **"ოღონდ-კი გამიშვი და რაც გინდოდეს ის მომთხოვეო"**. სამოელმა უპასუხა: **"დავჰმობილდეთ, სხვა არ მინდა რა შენგანაო"**. ღმერთი დასთანხმდა. სამოელმა გაუშვა და თავის გზაზე წავიდა. მერე ღმერთი და მთავარანგელოზები მიქელ და გაბრიელი ქვეყნის შესაქმეს შეუდგნენ; ბევრს ეწვალნენ, მაგრამ ვერა გააწყვეს რა. დაღონდნენ, არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. მერე მიქელ მთავარანგელოზმა უთხრა ღმერთს: **"შენ ძმა სამოელთან წავალ, იქნებ საქმე იმან გვასწავლოსო"**. ღმერთი დაეთანხმა. ანგელოზი გაემგზავრა და სამოელმაც მართლა ასწავლა, როგორ მოქცეულიყვნენ (ამ თქმულების რუსული თარგმანი დაბეჭდილი იყო **"Сборник мат. для опис. мест. и плем. Кавказа, წიგნი X,** გვ LXXV-LXXX"). მეორე ქართლურსავე თქმულებაში ღმერთმა განიზრახა ერთ რგვალ ქვის გატეხა, რომელიც იმის წინ მოგორავდა, მაგრამ ანგელოზები უშლიდნენ: **"მაგას ნუ იზამ, თორემ მერე ვინანებთო"**. ღმერთმა ყური არ ათხოვა, ქვას ფეხი ჰკრა და გატეხა. უცებ ქვიდან სამოელი ამოხტა, ღმერთს ყელში სწვდა და დახრჩობას უპირებდა. ერთი სიტყვით ამ ორივე თქმულებაში ღმერთი გამოუცდელ, უცოდინარ, ჯიუტ არსებად არის დასურათებული, ყოველგვარ განსაცდელში მას ანგელოზები ეხმარებიან და ჭკვას ასწავლიან; სამოელ ეშმაკი ხომ მას ყველაფერში სჯობნის და ქვეყნის შექმნაშიც-კი შველის. ამნაირსავე უგუნურ ჯიუტობას იჩენს ღმერთი სვანურ თქმულებაშიაც. დასასრულ ერთ კახურ თქმულებაში ღმერთი ისეთ გულქვავ და მრისხანე არსებად არის წარმოდგენილი, რომ მიქელ და გაბრიელ მთავარ-ანგელოზებს, ჩემის ბრძანებისაებრ რატომ ვაჭრის შვილს ქორწილის ღამეს სული არ ამოართვით და პურმარილობის გულისათვის სასიკვდილოდ რად შეგეცოდათო, გაბრაზებულმა ყვირილი დაუწყო, სტაცა ხელები და ორივეს შიგნეულიდან ჯიგრები ამოჰგლიჯა, რომ ამიერითგან უჯიგროდ, დაუნდობლად და შეუბრალებლივ ამოართონ ხოლმე სული ცოცხალ ადამიანს (ამავე თქმულების რუსული თარგმანი დაბეჭდილია **"Сборник мат. для опис. мест. и плем. Кавказа, წიგნი XXXV,** გვ. 106-111).

წმინდა გიორგის აღმატებული ძლიერება და ყოვლადშემძლეობა, ხოლო ელიას სრული უსაზრობა და უღონობა გიორგისთან შედარებით საუცხოოდ არის დახატული შემდეგ იმერულ თქმულებაში; ერთხელ ორმა ძმამ მფარველები აირჩიეს, ერთმა წმინდა გიორგი, მეორემ კიდევ ელია წინასწარმეტყველი. ორივემ ნათლიებად თავიანთი დიდი მფარველები გაიხადეს. ერთ დღეს რძლები როგორღაც შელაპარაკდნენ და ორივემ თავიანთ მფარველების ქება დაიწყეს და ერთიმეორის ნათლიებს კი აძაგებდნენ. დაღონებულმა უფროსმა რძალმა თავის ქმრის მფარველს ელიას შესჩივლა, ჩემმა რძალმა ასე და ასე დაგცინა: **"აბა, წმინდა გიორგის როგორ შეედრებაო!"** ბარე სამჯერ ეცადა ელია, რომ თავის შეურაცხყოფის გულისათვის უფროსი ძმა და მისი ცოლი დაესაჯა, ხან ყანა უნდა ჩაეწვა გვალვითა, ხან დაესეტყვა, მაგრამ ამაოდ; წმინდა გიორგი ისე ექომაგებოდა და იფარავდა უფროს ძმას – თავის სვინას. რომ მას ბეწვის ოდენაც არა დაჰკლებია და, რა განსაცდელსაც მას ელია უმზადებდა, წმინდა გიორგის წყალობით ისევ სულ ელიას სვინას, უმცროს ძმას, დაატყდებოდა ხოლმე თავზე. როცა ელიამ დაინახა, რომ ვერა გააწყო რა, მაშინ-კი მიხვდა, უმცროს ძმას ვიღაც უნდა ექომაგებოდესო. ბოლოს თითონ წმინდა გიორგი გამოუტყდა (იხ. **А. Хаханов, Очерки по истории грузю слов.** გვ. 252-254). იმერული თქმულება მაშასადამე წმინდა გიორგის უპირატესობას და ძლიერებას ელია წინასწარმეტყველს თავისსავე პირით აღიარებინებს, თვითვე ათქმევინებს, რომ მას წმინდა გიორგის მეტოქეობა და გაჯიბრება არ შეუძლიან.

სვანების ხალხურ თქმულებებშიაც წმინდა გიორგი ამნაირადვეა დასურათებული, როგორც ქართლურ თქმულებაში; მის მფარველობის წინააღმდეგ თვით ღმერთსაც არა შეუძლიან რა. წმინდა გიორგი (ჯგრაგ), რომელიც მიქელ მთავარანგელოზსავით (ბ. ივ. ნიჟარაძე სვანურს "მქემთარინზელ"-ს, რომელიც ეთანასწორება ქართულს **"მიქელ მთავარანგელოზს"**, შეცდომით **"Спаситель"**-ად სთარგმნის (იხ. **Сборник мат. для опис. мест. и плем. Кавказа, წიგნი X,** გვ. 177) (მქემთარინზელ) ღმერთს გვერდით უზის, მუდმივ ადამიანზე ზრუნავს და სულ იმის ცდაშია კაცს როგორმე სიკეთე უყოს. ერთხელ ღმერთმა ერთ კაცს, რომელმაც სანთელი უკმია და სადილად ბატკანი უძღვნა, საჩუქრად ძროხა უწყალობა. როცა გიორგიმ და მიქელ მთავარანგელოზმა ღვთის საჩუქარი მიუტანეს, გიორგიმ ამ კაცს ჩააგონა, ცოლი სთხოვე ღმერთსაო. ისიც ასე მოიქცა, როგორც გიორგიმ დაარიგა; მაშინ ღმერთმა გიორგის უთხრა: **"სულ შენა ზრუნავ, გიორგი, იმ კაცზე, თორემ ეგ თითონ სად მოაგონდებოდაო"**? მეტი რაღა გაეწყობოდა, ღმერთს უარი არ უთქვამს; გიორგი და მიქელ მთავარანგელოზი გაემგზავრნენ, ცოლი უშოვნეს და რაც-კი საჭირო იყო მისთვის ყველაფერი უწყალობეს. მერე როცა წმინდა გიორგიმ იმ კაცის თხოვნა შეატყობინა ღმერთს, რამდენი შვილი მეყოლებაო, ღმერთმა უპასუხა: **"გიორგი, ეგ სულ შენი საქმეა, თორემ იმ კაცს სად მოაგონდებოდაო: ეხლა რომ იმას შვილი მივცეთ, ქვეყანაზე ადამიანები გამრავლდებიან და ვიწროობა იქნებაო"!** მაინც ღმერთმა გიორგის დაუთმო: **"ორი შვილი მივცეთ, მაგრამ სიცოცხლის ნახევარ გზას რომ მოიჭამენ, მერე დაიხოცნენო"**, სთქვა მან. გიორგიმ უპასუხა: **"ეჰ, თუ მიცემაა, საბოლოოდ მივცეთ, თორემ ტყუილად რისთვის ვიწვალოთო"**? ღმერთმა აქაც დაუთმო. შემდეგაც, როცა ღმერთმა ბრძანა: **"ისეთ სეტყვას დავუშენთ დედამიწასა, რომ ჩვენ მიერ დასახლებულ კაცის ყანა მიწასთან გავასწოროთ"**-ო, გიორგი მაშინვე დაეშვა დედამიწაზე და კაცს უთხრა: **"დღესვე მამითადი შეჰყარე, რაც გაქვს სულ მომკე, თორემ ისეთი სეტყვა მოვა, რომ ერთი დღისაც არ შეგრჩებაო"**. კაცმა მომკა ყანა და პური დააბინავა. ღმერთმა ნახა მერე, რომ იმ კაცს პური შინა ჰქონდა, სხვას-კი ერთი დღის საგზალიც აღარ შერჩა. მაშინ ღმერთმა გიორგის უთხრა: **"გიორგი, ეგ სულ შენი საქმეა, თორემ იმ კაცს სად მოაგონდებოდაო"**. მერე გულში თქვა ღმერთმა: **"მაშ თუ ეგრეა, იმ დასახლებულ კაცს გადავწამოთო"!** დაეშვა გიორგი ისევ დედამიწაზე, დაარიგა ის კაცი და უბედურება თავიდან ააცდინა. ბოლოს ღმერთმა, თქვა **"ეგ სულ გიორგის საქმეა, თორემ ის ხომ ამას ვერ მოიგონებოდაო. მეტად მოწადინებულია, რომ ეს კაცი დაასახლოს და რადგან ასეა დავუთმოთო!"** (ეს თქმულება დაბეჭდილია. **Сборник мат. для опис. мест. и плем. Кавказа, წიგნი X,** გვ. 176-187). ამ სვანურ თქმულებაშიაც ღმერთს, რომელიც სვანურად იწოდება ღერმეთ, ანუ ღერბეთ, ადამიანისათვის ყველაფერი ჰშურს: ადამიანს რომ გიორგი არ ეშველებოდეს არც ერთ სიკეთეს არ უზამს, პირიქით, იგი იმდენად გულქვავია, რომ მშობლებს შვილებს აძლევს და ჭაბუკად რომ მოღერდებიან, სწორედ მაშინ უნდა როგორმე დაუხოცოს; მისთვის ადამიანის ჭირნახულის განადგურება, სახლის გადაწვა, სულის ამორთმევა ჩვეულებრივ საქმეს შეადგენს. მაგრამ გიორგის წინააღმდეგ ვერას გააწყობს ხოლმე. გიორგი რასაც უნდა იმას აასრულებს და ღმერთი იძულებულია დაუთმოს; თუ გიორგი წინააღმდეგობას გაუწევს, ღმერთი ვერც ერთ თავის სასჯელს ვერ განახორციელებს ხოლმე. გიორგის მზრუნველობას და ადამიანის მფარველობას საზღვარი არა აქვს: განიზრახავს თუ არა ღმერთი ადამიანის საწინააღმდეგოს, გიორგი მაშინვე დაეშვება დედამიწაზე და ასწავლის, კაცმა თავიდან განსაცდელი როგორ აიცდინოს. ერთი სიტყვით წმინდა გიორგი, ყოვლად-კეთილი და ძლიერი ღვთაებაა, უმთავრესი ადგილი უკავია და თვით ღმერთსაც კი აღემატება.

ყველა ზემომოყვანილ ქართულ თქმულებების შესწავლამ დაგვარწმუნა მაშასადამე, რომ წმინდა გიორგის პირველი ადგილი უკავია და ყველაზე უფროსად ითვლება, ძლიერებით ყველას, თვით ღმერთსაც-კი სჯობნის.

მეორე ადგილი შემოქმედ ღმერთს ეკუთვნის: იგი არც ყოვლად ძლიერად ითვლება, არც ყოვლის-მეცნიერად, მკაცრი, თითქოს მრისხანე ბუნება აქვს კიდეც და შურის მაძიებელია.

მესამე ადგილი ელია წინასწარმეტყველს უკავია, იგი წმინდა გიორგისთან შედარებით უძლურია და შემოქმედის ბრძანებას ასრულებს ხოლმე.

მაგრამ მარტო თქმულებაში ხომ არ ეკუთვნის წმინდა გიორგის განსაკუთრებული პატივისცემა; თვით ცხოვრებაშიაც ქართველი ერი მას ყველაზე მეტ თაყვანსა სცემს. არც ღმერთისა და არც იესო ქრისტეს, არც ერთ წმინდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი საყდარი საქართველოში, რამდენიც წმინდა გიორგის სახელობაზეა აშენებული. ჯერ კიდევ 1217 წელს მოგზაური თიტმარი (Thietmar) სწერდა, რომ ქართველები წმინდა გიორგის მეტისმეტად თაყვანსა სცემენო. ხოლო ვახუშტი აღნიშნავს, რომ საქართველოში **"არ არიან არიან ბორცუნი და მაღალი გორანი, რომლის ზედა არა იყოს შენი აჯლესიანი წმინდა გიორგისანიო"**. ამას გარდა ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა უმთავრესი და ძლიერი საყდრები და დღეობები საქართველოში წმინდა გიორგის სახელობაზეა: ხევსურეთში, მაგალითად, ხახმატის ჯვარი, გუდანის ჯვარი და სანების ჯვარი ყველანი წმინდა გიორგის საყდრებად ითვლებიან. ორი, მთელ აღმოსავლეთ საქართველოში განთქმული, ხატი კახეთისა – თეთრი გიორგი სოფელ აწყურსა და ალავერდშიაც ხომ წმინდა გიორგის სახელობაზეა; ფშაველებში ცნობილი ძლიერი ლაშარის ჯვარი და მთიულების დიდებული ლომისის ჯვარიც წმინდა გიორგის ხატია; ამას გარდა კახეთში და ქიზიყში შემდეგ სოფელში იცის წმინდა გიორგის განთქმული დღეობა: თელავში, ახმეტაში, კონდოლში, შილდაში, გრემში, ყვარელში, ველისციხეში, ვეჯინში, გურჯაანში, კარდანახში, სიღნაღში, ბოდბეში, მაღაროში, მელაანში, ზიარში, ფხოველში, მანავში, ნინოწმინდაში, საგარეჯოში, მარტყოფში, პატარძეულში, ხაშმში, ყარაბულაღში, კურმუხის წმინდა გიორგის საყდარში სოფელ კახის მახლობლად ქართლშიაც ყველა განთქმული დღეობები: გერისთაობა სოფ. არბოში, უსანეთობა, გორის-ჯვარობა, დანახვისში, ატოცისა სოფელ ბრეძის მახლობლად – წმინდა გიორგის დღესასწაულად ითვლება. ჩამოთვლილ სოფლებს გარდა ქართლში კიდევ შემდეგ ადგილებში იციან წმინდა გიორგის დღეობა: ახალჯვარში კაკანათბერის ციხის ჩრდილოეთით, ერედვას ციხეში დაბა ცხინვალის აღმოსავლეთით, ძლიერი ნიში წმინდა გიორგისას ქ. დუშეთის მახლობლად, სპარსის წმინდა გიორგი გერის მთის მახლობელ მთაზე, თელეთების ეკლესია, სოფელ ჩხიკვთის სამხრეთით მდებარე **სამება წმინდა გიორგის ეკლესია**, სოფ. ყორნთას ატოცის წმინდა გიორგის ჯვარის სასვენი ეკლესია და სხვა კიდევ მრავალი. დასავლეთ საქართველოში შემდეგ ადგილას იცის განთქმული წმინდა გიორგის დღეობები: სოფ. ჩხარში სადაც მდებარეობს მთავარ მოწამის ბეჭი, სოფელ წევას სასწაულ-მოქმედიანი ხატი, მრავალძალის წმინდა გიორგი სასწაულ-მოქმედიანი ჯვარითურთ, სოფელ ველეთის მთის წვერზე სასწაულ-მოქმედიანი ხატია, ნაქერალაში გაჭრილი წმინდა გიორგისა, ძლიერი წმინდა გიორგის ეკლესია ილორში; სოფელ ხინოში, სოფელ აჭვის მახლობლად, სანისლობა, მთაზე, ბუნების კარში, ლომის კარში და სოფ. ცისაში, გამოჩინებულის მთაზე, სოფ. ჯიხანჯირის წმინდა გიორგი, სოფ. ნიგოითში, და სხვაგან კიდევ მრავალ ადგილას. ხალხში გავრცელებულია კიდევ რწმენა, რომ საქარეთველოში იმდენი წმინდა გიორგის ეკლესიაა და იმდენი წმინდა გიორგია, რამდენიც წელიწადში დღეებია; ერთი სიტყვით ვახუშტი ბატონიშვილის ზემომოყვანილი ცნობა, რომ მთა არ მოიპოვება საქართველოში, სადაც მის მწვერვალზე წმინდა გიორგის ეკლესია არ იყოსო, ძალიან გაზვიადებული არ არის და ჭეშმარიტებას უახლოვდება.

ერთი სიტყვით, როგორც სახალხო თქმულებების შესწავლა, ისე დღეობებისა და ხატობის დაკვირვება ცხადად ამტკიცებს, რომ ქართველ ერის სარწმუნოებრივ წარმოდგენაში უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი წმინდა გიორგის უკავია, მეორე ადგილი – ღმერთს-შემოქმედს, მესამე კი ელია წინასწარმეტყველს.

ხევსურებისა და ფშაველების ხევისბერები ლოცვის დროს წმინდა გიორგის პირდაპირ ღმერთად იხსენიებენ: **"ღმერთო იხინჭის წმინდა გიორგივ"**, ასე დაიწყობენ ხოლმე ლოცვას ისინი ქადების კურთხების დროს; სვანებიც გიორგის ღმერთის მსგავსად თაყვანსა სცემენ და ღმერთზე ძლიერადაც მიაჩნიათ.

ცხადია, რომ ამ შეხედულებას და წმინდა გიორგის განსაკუთრებულ, შემოქმედზე უმეტესს, პატივისცემას ქრისტიანობასა და საეკლესიო მოძღვრებასთან საერთო არაფერი აქვს; პირიქით, იგი პირდაპირ არღვევს მას. უეჭველია, მაშასადამე, რომ ჩვენი ხალხის წარმოდგენაში წმინდა გიორგი ძველ, წარმართობის-დროინდელ, მთავარ ღვთაების ადგილი უნდა ეკავოს. რა ღვთაება უნდა ყოფილიყო მერე ის ღვთაება, რომლის ადგილიც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ჩვენ ხალხის წარმოდგენაში წმინდა გიორგიმ დაიჭირა? ამ საკითხის გამორკვევას უკვე აკადემიკოსი ალ. ვესელოვსკი ამ ოცდაექვსი წლის წინად შეუდგა, მხოლოდ სულ სხვა აზრით: მას უნდოდა გამოერკვია, თუ სად დაიბადა ის წმინდა გიორგის თქმულება, რომელშიაც იგი ვეშაპის დამთრგუნველ გმირად არის გამოყვანილი; ამგვარად ბატ. ა. ვესელოვსკის ძველ ქართულ წარმართობის გამორკვევა-კი არა ჰქონია ფიქრად, იგი სრულებით დარწმუნებული იყო მაშინ, რომ ეს საკითხი უკვე გამორკვეულია, – არამედ უნდოდა გაეგო, თუ რომელ წარმართობის დროინდელი თქმულებების გავლენის მიხედვით უნდა შეთხზულიყო წმინდა გიორგისა და ვეშაპის თქმულება. რასაკვირველია ავტორს ამავე დროს უნდა უნებლიედ გამოერკვია ის საკითხიც, თუ რომელ ღვთაების ადგილი დაიჭირა წმინდა გიორგიმ ქართულ სახალხო თქმულებებში? რამდენადაც ბატ. ა. ვესელოვსკის ცოტა არ იყოს ბუნდოვან სიტყვებიდანა სჩანს, იგი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში წმინდა გიორგის თქმულება ძველ წარმართობის-დროინდელ თქმულებიდან უნდა წარმომდგარიყოს, სახელდობრ იმ თქმულებიდან, რომელიც ერანის სარწმუნოების გავლენის გამო ქართველებს შორის გავრცელებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბატ. ა. ვესელოვსკი ძალიანა სცდება. წმინდა გიორგის თაყვანისცემას საქართველოში არავითარი კავშირი არა აქვს ერანულ წარმართობასთან.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სიცოცხლე ყოველთვის იმარჯვებს სიკვდილზე!

ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, პირმშვენიერი ქალბატონი სვეტლანა კვიკვინია გაზეთ "ილორის" აქტიური ავტორია, რომლის საინტერესო ნაწარმოებებში ძირითადი ადგილი უკავია აფხაზეთის თემას. იგი "ოდაბადედან" დევნილი გახლავთ, რომელიც აგერ უკვე მეთვრამეტე წელია ენგურის გაღმიდან ეფერება თავის მშობლიურ აფხაზეთს, არ ეთმობა მისი ბავშვობა, ყმაწვილქალობა, დიდ ცხოვრებაში გადადგმული პირველი ნაბიჯები...

– ჩვენდა სამწუხაროდ, ბატონო როლანდ, ალბათ შეამჩნევდით, რომ ქართული პრესა სულ უფრო და უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობს აფხაზეთის თემას. არ ვიცი, ნებსით თუ უნებლიედ, მივიწყებას ეძლევა საქართველოს ტკივილი, მაგრამ ეს ხომ ის მძიმე განცდაა, რომელიც არასდროს მიეცემა დავიწყებას. შეიძლება ითქვას, რომ დღეს "ილორი" ერთადერთი გაზეთია, რომელიც ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ჩვენთვის, აფხაზეთში დაბადებულებისა და აღზრდილთათვის, და რაც მთავარია, აფხაზეთის ომის შემდეგ ჩვენი "ოდაბადეს" მიღმა შობილი მომავალი თაობებისათვის აფხაზეთი მუდამ დარჩეს მშობლიურ ადგილად... – დიდი გულისტკივილით მითხრა ამას წინათ ქალბატონმა სვეტლანამ.

მთავარია გულწრფელად გიყვარდეს და გახსოვდეს, თორემ ნებისმიერი ცხოვრებისული მოვლენის დაკავშირება შეიძლება იმ ლამაზ აფხაზეთთან, რომელიც ღია ჭრილობად დარჩება საქართველოს სხეულზე, ვიდრე საქართველოს სულიერება და ტერიტორიული მთლიანობა უხეშად არის ხელყოფილი ჩვენი მოძალადე და მოღალატე ხელისუფლებისა და ჩვენდამი მტრულად განწყობილი უცხო ძალების მიერ...

ამიტომაც ხედავს ქალბატონი სვეტლანა თავის სათაყვანებელ სოხუმს ხან საავადმყოფოს თეთრად შეფეთქილ დერეფანში და ხანაც ბაზალეთის ტბის პირას...

მხოლოდ ფანატური სიყვარული თუ შეაკავშირებს ერთმანეთთან იმ ფენომენებს, რომელთა სინთეზირებას ზოგჯერ შეიძლება გენიალური მწერლის ფანტაზიაც კი არ ეყოს!

სწორედ მისი "ოდაბადე" აფხაზეთისადმი დიდი სითბოთი და სიყვარულითაა განმსჭვალული ქალბატონი სვეტლანას სევდისმომგვრელი წერილები, რომელიც ქვეყნდება რუბრიკით ***"დევნილი ჟურნალისტის "ჩანაწერები:***

კლინიკის დერეფანში... სოხუმი, საოპერაციოში კი ბ-ნი გურამ ქარაზანაშვილი იდგა...

... ადრე სხვანაირად იყო.

სოხუმიდან გამოყოლილ პირად ნივთებს ბინის სხვადასხვა კუთხეში გამოვფენდი: სახლის გასაღები – კედელზე მეკიდა, ნანგრევებიდან ამოღებული პლასტმასის წითელი საშაქრე – კარადის ღია ვიტრინაში, ყავის მინი-საფქვავი – სამზარეულოში ტრიალებდა და სამხრეთულად მოსადუღებელ ყავას ფქვავდა. ეს ნივთები, თითქოს, სოხუმის ნამსხვრევები იყო და იმ მიკროსამყაროს ქმნიდა, რომელიც მისგან შორს, მასთან მაახლოებდა.

წლებმა მანძილი გაზარდა. გაშორეულდა ჩემი ქალაქი. ტკივილი უფრო სქელ ფენად აეკრა ხსოვნის კედლებს. პირადმა ნივთებმაც შეიცვალეს ადგილი.

ახლა საკუთარ თავს ვუმალავ საკუთარი სახლის გასაღებს, დროის მცირე მონაკვეთით მინდა ამ ნივთების გარეშე ვიცხოვრო.

ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა.

წართმეული აფხაზეთი, ლამის აღთქმულ ქვეყნად იქცა. მისი მკვიდრნი კი – წმინდა მიწის ნაწილებად. სოხუმი ახლა თავად მოდის ჩემთან, ზოგჯერ ისეთ ადგილებში ვგრძნობ ზღვის ტალღების იდუმალ შრიალს, სულაც რომ არ ველი. მოდის ჩემი საფიცარი ქალაქი ჩემთან ისეთი სიძლიერით, ლამის გულისფიცარი შემინგრიოს...

...მწვავე დაავადებებით, თბილისის ერთერთ კლინიკაში (ლეჩკომბინატი, მაღალტექნოლოგიური უროლოგიური) ვხვდები. საოპერაციო მაგიდასთან პროფესორი გურამ ქარაზანაშვილი დგას. არ მძინავს. მზერა მარჯვნივ ფანჯრისაკენ მაქვს მიპყრობილი, სადაც ენკენისთვის დაღლილი მზე მწვანე ტოტებში გახლართულა... ფანჯრიდან დანახული პეიზაჟი ნაცნობ და ტკივილიან ფრაგმენტებს მახსენებს... კლინიკის დერეფანი თითქმის მისი გაგრძელებაა – იქ **"ჩვენებურები"**, ჩემი თანამდგომი სოხუმელები დგანან...

ერთ საათში ოპერაცია მთავრდება და პალატაში გადავყავართ. იქ, თეთრ სამოსელში (სამედიცინო ხალათგადაცმულები) შემოდიან ჩემები ჩემთან. თითოეულ მათგანს ჩემი დაკარგული ქალაქის ნაწილი შემოაქვს: ნანას – აფხაზეთის ქართულ გაზეთში ჩავლილი დღეები, ნონას – კარლ მარქსის ქუჩა, ვენერას – ულამაზესი გაგრა, ირმას – სოხუმის ქართული თეატრი, ლია და ჯუმბერს – ჭავჭავაძის ქუჩა, მაყვალას – ზღვის პირა **"მაიაკი"**, მერაბს – ჩემი ბავშვობა, ვალერის – ეროვნული მოძრაობის ამაღელვებელი დღეები... ნამსხვრევებისგან შეკოწიწებული მთლიანნი კი ერთი ნათელი სოხუმური დღეა, იქ ჩავლილი დღეების გაგრძელება...

...საქვეყნოდ ცნობილი ქირურგ-უროლოგისათვის, პროფესორ გურამ ქარაზანაშვილისათვის, ალბათ, რიგითი პაციენტი ვიყავი. ჩემთვის კი... დევნილობის უფერულ ცხოვრების მონაკვეთში, აფხაზეთის მზით გამთბარი უბედნიერესი დღის ავტორი და შემოქმედი გახლდათ!

...მზე მაჩუქეს იმ დღეს კლინიკაში ექიმებმა: ირაკლი ჯანხოთელმა, პაატა რევიშვილმა, პაატა გიორგაძემ, დავით მოსაშვილმა, გიორგი კალანდიამ, ნათია კეშელავამ... ჩემი სოხუმის ბრდღვიალა მზე!..

ქარიშახალი... ბაზალეთში

ორდღიან სემინარებზე, ბაზალეთში (რომელიც ლტოლვილთა დანიის საბჭომ და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მოაწყო) სიამოვნებით გავეშურე. ჯგუფი დევნილთა თემაზე მომუშავე ჟურნალისტებისაგან შედგებოდა. ქალაქის ცხელ დღეებს გარიდებულთათვის ტურისტული კომპლექსი **"ბაზალეთი"** ოაზისივით იყო, სადაც პრაქტიკულ სამუშაო პირობებთან ერთად დასვენებისა და გართობის საშუალებაც გვეძლეოდა. ვიცოდი ისიც, რომ ბაზალეთის ტბა, შავ ზღვასთან, ანუ **"ჩემს ოკეანესთან"** გაჯიბრებას არ მოინდომებდა და ფიქრებს ვერ ამიშლიდა. მოკლედ, ყველაფერი იყო კარგად, მანამ... სანამ ჩემი დაკარგული ქალაქი მოულოდნელად წინ არ დამიდგა და სულში ქარიშხალი არ დამიტრიალა...

ბაზალეთის ტბის ნაპირას... სოხუმი!

ურთიერთგაცნობისა და სამუშაო გრაფიკის წარდგენის შემდეგ საკონფერენციო დარბაზიდან ყავის დარბაზში გადავინაცვლეთ. მომსახურე პერსონალმა ყავა ჩამოგვისხა და და ლანგარზე დალაგებულ ნამცხვარსა და ხილეულის წვენებზე მიგვითითა – მიირთვითო. ჩალისფერთმიან ბარმენს ერთხელაც შევხედე... ხმა მეცნაურა... სამკერდე ნიშანმა – **"მანანა"** იქაურობას მომწყვიტა... თავი შევახსენე...

სოხუმელი მანან კლეეჩუკი (მე-14 საშუალო სკოლის ჩემი ყოფილი მოსწავლე) იდგა ჩემს წინ და ომგამოვლილი თაობის სევდაჩაღვრილი თვალებით მიმზერდა... სოხუმური სილაღე აღარ ჰქონდა მანანას... რაღაც, ძალზე ძვირფასი დაჰკარგოდა...

თითქოს წლებმა წასაღები წაიღო, დასაღვრელი ცრემლიც დაიღვარა, იმისათვის რომ უსამშობლობის სინდრომი გაქრეს, ყველანაირად ვცდილობთ დევნილები ახალ რეალობას შევეგუოთ, მაგრამ...

... ტიროდა მანანა ჭირისუფლის მდუღარე ცრემლებით დაკარგული (თუ სამუდამოდ დასაკარგად განწირული) აფხაზეთის გამო და არ არსებობდა სიტყვა, რომელიც იმ წუთებში ნუგეშს მოგვგრიდა იმ მიწის შვილთ... სკოლა და კლასი შევახსენე მანანას, ქართული ენის გაკვეთილებიც... დაფანტულები ინტერნეტით ვეძებთ ერთმანეთსო...

აფხაზეთში, ომის დროს ნაპოვნ სიყვარულზეც მიამბო მანანამ, ომში საომრად ჩასულ ზურაბ ბაბულაშვილზე, რომელსაც ბედი დაუკავშირა. მაშინ მან არაფერი იცოდა მთიულეთიდან აფხაზეთისკენ დაძრულ ლაშქარზე, გმირობისა და თავდადების მაგალითი რომ მისცეს შთამომავლობას და **"ახალი არაგველების"** სახელით ჩაეწერნენ უახლესი ომების ისტორიაში. მთის შვილთა საგმირო საქმეებით ამაყობს მთიულეთი, მათ შორის ნაომარი მამის, ზურაბ ბაბულაშვილის 14 წლის ლევანიც. მან და მისმა თანატოლმა ბიჭებმა იციან, თუ როგორ იბადებიან გმირები, როგორ იწერება ისტორია.

მანანა კი... მის თანატოლთა მსგავსად, სიყრმეგამოტოვებული და ადრე დაბრძენებული მეჩვენა. მის თაობას, განგებამ, გზადაგზა ყველაფერი შემოაცალა, რაც მათთვის ძვირფასი იყო და რაც ამ თაობის ღირებულებად უნდა ქცეულიყო. ეს ჩვენი ნატკენი შვილებია, ომმა ბუნდოვანი მომავალი რომ გამოაყოლა აფხაზეთიდან. მათთვის სამშობლოს ცნება ომით ჩამოწერილი ღირებულებაა.

...ჩვენი მოულოდნელი შეხვედრის ფრაგმენტები ბაზალეთის ტბის ტალღებმა საიდუმლოდ შეინახა.

ბაზალეთის სემინარები ევროპული უშუალობითაც დამამახსოვრდა. ნებისმიერ დროს და ადგილას შეეძლო გამოგვსაუბრებოდა ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენელი, ქალბატონი ლაურა და ეკითხა: გვეძინა თუ არა კარგად, იყო თუ არა ტრენინგები ჩვენთვის საინტერესო და ა.შ. ბოლოს ჩვენი საწერი თემითაც დაინტერესდა. მახსოვს, ასეთი კითხვა დამისვა: ტკივილი წლების შემდეგ ყუჩდება თუ? – ამ ქვეყნიდან წასული დედის მონატრებას შევადარე უსამშობლოობის განცდა, წლების სიმრავლესთან ერთად რომ მატულობს და რამდენიმე ჩანაწერი ვუსახსოვრე.

მეგონა ტკივილმზომი ხელსაწყო ეჭირა უცხოელ ქალბატონს და მოუშუშებელი იარების განკურნებას ლამობდა... ბაზალეთი ამ ქალბატონის ფაქიზად დასმული კითხვით ჩამრჩა ხსოვნაში, საინტერესო სემინარებითა და იქ გაცნობილი კოლეგა-ჟურნალისტებითაც. სულისშემძვრელი კი ტბის პირას ნაპოვნი ჩემი დაკარგული ქალაქი იყო...

მანანა!..

ჩემი მიწის მთა-წყალი

კიდევ ერთ, უაფხაზეთო ცხელ დღეზე გიამბობ, პატივცემულო მკითხველო, ჩემი მიწის მთა-წყალი რომ აგრილებდა.

...პლასტმასის ბოთლში ჩასხმულ ჩვენებურ ტყემლის წვენს აფხაზეთის მზის სითბო გადმოჰყვა გაღმა ქვეყნიდან. ოთახში საოცარი სურნელი დატრიალდა... როდესაც ბოთლი დაიცალა, მასში წყალი ჩავასხი და მაგიდაზე შემოვდგი. უნებლიეთ, რომელიღაც კუთხიდან შევხედე ლურჯეტიკეტიან მოცისფრო ჭურჭელს. თითქოს პირველად ვხედავდი...

ჩემს წინ კავკასიონის მთის ფერდობზე მობუებუყე მინერალური წყალი **"ავადხარა"** წარმოდინდა... ეტიკეტის ძუნწმა წარწერამ იქაური ამბებიც მოიყოლა. ყველა სიტყვა ტკივილად ჩამოიმარცვლა, რადგან გაშორიშორებულ ქალაქის სიახლეზე ყვებოდა უჩუმრად.

თბილისში **"სტუმრად"** ჩამოსულმა **"ავადხარამ"** დევნილად მცხოვრები ჯუმბერ დარცმელია მაძებნინა, სოხუმის ლუდისა და ხილეული წყლების ქარხნის მთავარი ინჟინერი. ისეთი სიზუსტით მომიყვა მისი ისტორია, მეგონა, ორახელაშვილის ქუჩაზე მდებარე მინერალური წყლის ჩამომსხმელი საამქროს წინ ვიდექით და საწარმოს ხელმძღვანელის მიერ ნაკარნახევ ინფორმაციას ვიწერდი: **"ავადხარა"** გასული საუკუნის დასაწყისში ქართველი გეოლოგების მიერ აფხაზეთის მთებში აღმოჩენილი წყალია, მისი სერიული გამოშვება 70-იან წლებში დაიწყო. რიწის ტბის მიდამოებში ნაპოვნი სამკურნალო წყალი რთული შემადგენლობის იყო. იგი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გაჰქონდათ.

"ავადხარას" მოცისფრო ბოთლში მცირე აიაზმა ჩავასხი და ხატების კუთხეში, სიწმინდეებთან ერთად მოვათავსე. ლურჯეტიკეტიანი ჭურჭელი, ვისთვის უბრალო პლასტმასის ბოთლია, ვისთვის... დაკარგული სამშობლოს ნაწილი.

სვეტლანა კვიკვინია

რუსეთი დამნაშავე სააკაშვილთან არ ისაუბრებს

რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ყოფილი ელჩი საქართველოში, ამჟამად კი რუსეთის ელჩი სომხეთში ვიაჩესლავ კოვალენკო აცხადებს, რომ რუსეთის ხელისუფლება არ აპირებს საქართველოსთან საბოლოოდ ურთიერთობების გაწყვეტას, მაგრამ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში არც ურთიერთობის აღდგენას გეგმავს.

"სააკაშვილი არის ადამიანი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა. მან დაიწყო ომი სამხრეთ ოსეთში, რომლის დროსაც დაიღუპა 15 რუსი სამშვიდობო. ხოლო ელაპარაკო ადამიანს, რომელმაც რუსეთის მოქალაქეების წინაშე დანაშაული ჩაიდინა, მიმაჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლებას ხელს არ აძლევს", – განაცხადა კოვალენკომ.

მისი თქმით, რუსეთის ხელისუფლება სააკაშვილსა და ქართველ ხალხს ერთმანეთთან არ აიგივებს. **"ეს ორი მართლმადიდებლური სახელმწიფოა, მართლმადიდებლური საერთო ფესვებით. რუსეთს სურს საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზება, მაგრამ ისეთთან არა, რომლის სათავეში დამნაშავე დგას",** – აცხადებს კოვალენკო.

P.S. *საქართველოში რუსეთის ყოფილი ელჩი რომ ჭეშმარიტებას ღაღადებს, ამას მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიც ადასტურებენ.*

ახლახან გახდა ცნობილი, რომ რუსეთის დელეგაციამ ჟენევის მოლაპარაკებებზე განაცხადა – ჩვენი სამხედრო ფორმირებები უახლოეს დროში დასტოვებენ სოფელ პერევსო. ამას მოჰყვა ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ყაყანი – რუსეთმა ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო წრეების დაწოლით მიიღო, მაგრამ არავინ ახსენებს რუსეთის ხელისუფლების კეთილ ნებას, რომელსაც მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს საკუთარი ნების წინააღმდეგ წასვლას. როგორც გახსოვთ, საქართველოს პატრიარქის რუსეთში შარშანდელი ვიზიტის დროსაც მიღებული იქნა პერევიდან რუსული სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანის გადაწყვეტილება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მაშინ იმდენი ბრიყვული განცხადება გააჟღერა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა იძულებული შეიქმნა შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება. საშიშია, რომ ჩვენი ხელისუფლების უაზროდ ამბიციური პოზიცია კვლავ არ იქცეს პერევიდან რუსი სამხედროების გაყვანაზე მიღებული გადაწყვეტილების კიდევ ერთხელ გაუქმების მიზეზი.

დალოცვილებო, თუ რუსეთის ამ კეთილ ნებაზე მადლობის თქმის უნარი არ გაგაჩნიათ, იმდენი მაინც მოახერხეთ, რომ ენას კბილი დააჭიროთ, რათა ამჯერადაც "არ განარისხოთ ზევსი"!

გაზეთი "ილორი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააგენტო საქინფორმის გვერდი სააგენტო საქინფორმის გვერდი სააგენტო საქინფორმის გვერდი სააგენტო საქინფორმის გვერდი

კავკასიის სახლის იდეა თუ გარსკვლავთბიჯუნა მიშას მორიგი ზღაპარი

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა თუ რამით იყო მნიშვნელოვანი, უპირველესად, საკუთარი **„წარმატებების“** გასაპიარებლად დამსწრე საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრით. სხვა შეფასების მიცემა უხერხულია, როდესაც დამშეული, გაღატაკებული, გამათხოვრებული ქვეყნის პრეზიდენტი თავდაჯერებულად ყოყოჩობს ეკონომიკურ წარმატებებზე, კორუფციის დამარცხებაზე და რაც მთავარია სიღარიბის დაძლევაზე. საქართველოს საზოგადოება დიდი ხანია მიეჩვია პრეზიდენტის ტყუილებს და ნაკლებ ყურადღებას აქცევს მათ, მაგრამ რაც შეეხება გაეროს 190–ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელთა უდიდესი უმრავლესობისათვის ქართული **„ჯორჯია“**, ამერიკულ ჯორჯიად აღიქმება, სააკაშვილის ზღაპრები რეალურის ამსახველია და აქედან გამომდინარე შურის აღმძვრელიც ვარსკვლავბიჭუნას მიმართ.

მათთვის ერთი რამ გაუგებარია – რატომ უნდა იცრუო ქვეყნის კეთილდღეობაზე, თუ ამას სინამდვილეში არ აქვს ადგილი. პირიქით, ისინი იმ პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელთა გადაჭრაში სხვა ქვეყნების მიზიდვას მიიჩნევენ მიზანშეწონილად.

საკუთარი თავის ქების გარდა პრეზიდენტის გამოსვლაში ისეთი მომენტიც იყო, რომ ღირს მასზე ყურადღების შეჩერება, რამეთუ ე.წ. **„ინტეგრაციის“** თემა ხან კავკასიის კონფედერაციის შექმნაში გამოიხატა, ხან კავკასიური სახლის დაარსებაში. ორივეს ავტორი სააკაშვილია. როგორც ჩანს **„ხოხვისათვის დაბადებული ვერ გაფრინდება“.** ასეთ დროს **„გაფრენა“** მხოლოდ მენტალურად არის შესაძლებელი და ისიც მოხერხებულად იყენებს ამ მეთოდს, რათა სხვებმაც **„გაფრინონ“**. სხვას ვერაფერს იტყვი ქვეყნის ლიდერზე, რომლის სამწყემსო 20 წელია დამოუკიდებელია და ნაცვლად იმისა, რომ განავითაროს ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ნანატრი დამოუკიდებლობა, ფეხზე დააყენოს ქვეყანა, ისევ რაღაც კავშირში შეტენას უპირებს მას – ხან თურქეთ–აზერბაიჯანთან კონფედერაციაში, ხან დიდ კავკასიურ სახლში.

დამოუკიდებლობის 20 წლის თავზე, არა მარტო სააკაშვილის, არამედ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის თავშიც მწიფდება იდეა სხვასთან ყოფნისა, რაც თავისთავად საკუთარი უსუსურობის გამოვლინება უფროა, ვიდრე ეკონომიკური მოსაზრებით გამოწვეული პრაგმატიზმი. პოლიტიკოსი მენტალურად ჯანსაღი ვერ უნდა იყოს, რომ გამოვიდეს გაცილებით ძლერი კავშირიდან – **დსთ**–დან და შევიდეს სეპარატიზმით გაჟღენთილთა კავშირში – კავკასიის სახლად რომ მოიაზრება.

ერთიანი კავკასიური სახლის იდეა არახალია. ყოფილ პრეზიდენტებს გამსახურდიას და შევარდნაძეს აწუხებდათ რაღაც აბსტრაქტული კავკასიური ერთობა. გარკვეულ მიზეზთა გამო, პირველს არ დასცალდა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, მეორემ თითქოს სერიოზულადაც განიხილა თემა, დავალებებიც მისცა ხელქვეითებს, ეს იყო და ეს. ორივე მათგანის მოსაზრებაში უფრო სხვა რამ გამოსჭვიოდა – ერთიანი კავკასიური სახლი რუსეთის საპირწონედ, უფრო ზუსტად საწინააღმდეგოდ. ანალოგიური ოცნებითაა შეპყრობილი მესამეც. მან ყველა მოლოდინს გადააჭარბა, ისევე, როგორც წინამორბედებს. მათი მოსაზრება ხომ საქართველოს ფარგლებს არ გასცილებია. ამან კი **„გენიალური“** იდეა მსოფლიო სამსჯავროზე გამოიტანა – საკუთარ ხალხთან და რაც მთავარია მომავალ პარტნიორ ქვეყნებთან შეუთანხმებლად.

სააკაშვილისეული კავკასიური სახლის პერსპექტიულ მობინადრეებს, ვეჭვობ კომფორტულად მოეჩვენოთ ერთ ბინაში ცხოვრება. ყველა მათგანს საკუთარი ჭერი აქვს თავზე. მათთვის ერთ ჭერქვეშ ყოფნა ძველის დაბრუნების მომასწავებელი იქნება. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს, ისინი დიდ ოჯახში ცხოვრობენ და თუ დამოუკიდებლობის რაღაც სურვილი გააჩნიათ, თავს არ შეჰყოფენ ახალ კავშირში. ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვითარება, პირიქით, ერთმანეთისგან დაშორების და არა ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრების მომასწავლებელია. სხვაა ეკონომიკური კავშირები ან კულტურული ურთიერთობები, რასაც ისედაც აქვს ადგილი.

თვალი შევავლოთ ჩრდილო კავკასიელთა საქართველოსთან ისტორიულ ურთიერთობებს. აქ ტკივილი აჭარბებს სიამოვნებას. საქართველოს რუსეთთან ჩახუტების სტიმული არა მარტო ირან–ოსმალეთით იყო გამოწვეული, არამედ ჩრდილო კავკასიელთა შემოსევებითაც. დავუშვათ, ამგვარ რამეს ადგილი აღარ ექნება, თუმცა სხვა კუთხით, სხვა კონტექსტში არაფერია გამორიცხული. განა იოლად მოხდება ჩრდილოელთა ადათ–წესებთან, რელიგიურ მრწამსთან, ყოფა–ცხოვრების ელემენტებთან ჩვენთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის ჰარმონიზაცია? აღარა ვართ ქართველები ევროპელები? (ზ.ჟვანიას გამოთქმიდან: – **„მე ქართველი ვარ ანუ ევროპელი ვარ“**).

კავკასიურ ცეკვებში საერთო ილეთების არსებობა ან გარეგნული იერ–სახე სულაც არ ნიშნავს ისტორიულ ნათესაობას. ნიშანი, რომელიც გვაახლოებს, გაცილებით მცირეა ნიშანთან, რომელიც გვაშორებს. იმიერ და ამიერ კავკასიას შორის საგრძნობი მსოფმხედველობითი სხვაობაა, რომელთა დაძლევა, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, შეუძლებელია.

რაც შეეხება ამიერკავკასიას – აქ არსებული პრობლემები ლამის მსოფლიოს ლიდერთა ყოველი სამიტის განხილვის საგნად იქცეს. მიუხედავად მათი ძალისხმევისა, პრობლემები არ გვარდება. ასეთ ვითარებაში ძნელად წარმოსადგენია საქართველო–სომხეთ–აზერბაიჯანის შეხმატკბილებული ცხოვრება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იდეის ავტორის ფანტაზია არა მეცნიერულ, არამედ ფსიქიატრულ შესწავლას მოითხოვს. თუმცა ეს ერთის შეხედვით. მიშიკოს მშვიდობის მტრედობის უკან შორსმიმავალი ამერიკული პროექტი იმალება. მისი მიზანი კავკასიიდან რუსეთის განდევნაა. მიზნის მიღწევა ძნელად განხორციელებადია, თუ არა შეუძლებელი. არის ერთი გზა – თვით რუსეთმა თქვას უარი კავკასიაზე, რაც ასევე არარეალურია, განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზების შექმნის შემდეგ. რუსეთი ამიერკავკასიის მთავარ მოთამაშედ თვლის თავს და შეეცდება ასეთად დარჩეს. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას – იქ რუსეთი არათუ მოთამაშეა, არამედ მეპატრონე. დათმობს რუსეთი ქართულ–თურქულ–აზერ-ბაიჯანული გეგმით (კონფედერაცია) ან კავკასიური საერთო სახლის შექმნით პოზიციებს?

პეტრე პირველიდან დაწყებული რუსეთმა მილიონობით რუსის სისხლი და ოფლი ღვარა ამ რეგიონში შემოსაღწევად. რუსეთის ხელისუფლებმა იციან, რომ კავკასიიდან გასვლას საკუთარი ხალხი არ აპატიებს. იცის თუ არა ეს აშშ–მ, რეგიონში შემოსულმა ახალმა მოთამაშემ? ცხადია იცის, მაგრამ **„დედოფალი პწკენა–პწკენაში დაორსულდა–ს“** პოლიტიკას მისდევს. დღეს თუ არა ხვალ, ფიქრობს ის, – და თბილისში ქმნის ანტირუსულ რადიოს – ჩრდილო კავკასიელთა გამოსაღვიძებლად ანუ რუსეთში ძირგამომთხრელი მუშაობის წარსამართვად. ამ საქმეში მას რუსეთისადმი ანტაგონიზმით გაჟღენთილი სააკაშვილი ეხმარება. სააკაშვილი ამერიკელთა ხელის ბიჭის როლს ასრულებს და ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოც.

ყველა სახლს ჰყავს **„უფროსი“**. უნიკალური ევროკავშირიც რომ ევროკავშირია, მიუხედავად დეკლა-რირებული თანაფარდობისა, რეალურ უფროს–უმცროსობას ანგარიშს უწევს. სხვაგვარად წარმოუდგენელია, ვინაიდან ეკონომიკური ლოკომოტივობა თავისთავად პოლიტიკური გადაწყვეტილებების სტიმულატორია. ეკონომიკური ლოკო-მოტივის როლს გერმანია ასრულებს, მასთან ერთად ინგლისი, საფრანგეთი და ა.შ. საინტერესოა ვის მოიაზრებს ინფანტილური მიშიკო კავკასიური სახლის მამასახლისად? საქართველოს ხომ, გარდა ამბიციებისა, არაფერი აბადია?! ის, რომ: **„საქართველოს და ქართველ ერს დიდი მისია აკისრია და ქართველმა ერმა ზნედაცემული მსოფლიო ხელახლა უნდა გააკეთილშობილოს და რომ ეს მოსაზრება ჰეგელს ეკუთვნის“** (ე. ჯაველიძე), სრულიად არ იძლევა ახალ სახლში **„ნაჩალნიკობის“** შესაძლებლობას. ლიდერობის შანსს მხოლოდ სტაბილური პოლიტიკური სტრუქტურა, ეკონომიკური სიძლიერე, გონივრული სოციალური სისტემა, დემოკრატიული საზოგადოება იძლევა და არა თვითრეკლამა – ღმერთის წილხვედრი ქვეყნის ან მსოფლიოს გადამრჩენის შესახებ. მიშიკოს დაავიწყდა, რომ საქართველომ ობიექტური მიზეზების გამო დაკარგა ამიერკავკასიის ლიდერის ფუნქცია. დღეს ლიდერი აზერბაიჯანია – ამერიკა–რუსეთთან დაბალანსებული ურთიერთობით, ეკონომიკური აღმასვლით გამორჩეული.

კავკასიურ სახლში უეჭველად ექნებათ თავიანთი ამბიციები თურქეთსა და ირანს. ორივეს, განსაკუთრებით თურქეთს, სურვილი აქვს არეგულიროს მიმდინარე პროცესები – ენერგეტიკიდან დაწყებული პოლიტიკით დამთავრებული. თურქეთის ინტერესი სისხლით მონათესავე აზერბაიჯანის და შუა აზიის ქვეყნების მიმართ გაცხოველებულია, რაც თავისთავად მიანიშნებს კავკასიურ სახლში მის ლიდერობაზე. არც ირანის როლის დაკნინებაა შესაძლებელი. ისტორიულად მას თურქეთზე მეტი პრეტენზია უნდა ჰქონდეს. გასული საუკუნის ბოლოს და ახლის დასაწყისში კავკასიის მიმართ მისი პასიური დამოუკიდებლობა აქტიურით იცვლება. გააქტიურებას აქვს ადგილი საქართველოს მიმართაც, რასაც უდავოდ ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმება. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ოფიციალური თეირანის მიერ ინიცირებული საკითხი ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებაში გადაიზრდება.

ქართულ საზოგადოებაში ირანისადმი დამოკიდებულება ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული. ისევ არსებობს ირანის მიმართ მალული შიში, რაც უპირველესად ამერიკული პროპაგანდის შედეგია. ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი და ექსპერტი ირანს ამერიკა–ევროპასთან დაახლოების გზაზე გადაულახავ ბარიერად მიიჩნევს. ამას წინათ პოლიტოლოგი გ. ხუციშვილი წერდა: **„სარისკო ნაბიჯი იყო, როდესაც ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ჩახუტებას ვაპირებთ ირანთან, რამაც საშინელი პანიკა გამოიწვია ევროპაში. ეს ზუსტად ვიცი, ევროპელი დიპლომატები პირდაპირ გვეკითხებოდნენ – რას აპირებთ ნარკოტრეფიკი თქვენი გავლით გავიდეს? ამის საშიშროება რეალურად არსებობს, უვიზო რეჟიმსაც თუ გავითვალისწინებთ“**. ერთი რამ უნდა ითქვას, ქართული პრესის მიხედვით, თუ ვინმეა ჩართული ნარკოტრეფიკში ეს აშშ–ი და საქართველოს ხელისუფლებაა. რაც შეეხება ირანს – ამ ქვეყანაში ნარკოტრეფიკერი ან ნარკომომხმარებელი უსასტიკესად ისჯება. მაგრამ აქ სხვაშია საქმე – ირანისათვის კავკასიის კარის ჩაკეტვა. რამდენად შესაძლებელია ეს მაშინ, როდესაც ირანს მჭიდრო კავშირები აქვს სომხეთ–აზერბაიჯანთან?

კავკასიური სახლის იდეის მიხედვით, მასში არც რუსეთი და არც ირანი არ უნდა მოიაზრებოდეს. იდეის **„გამჟღერებელი“** მიშიკოა, ავტორი კი – სხვა. მისი მიხედვით, კავკასიური ერთობა უდავოდ მოითხოვს მთავარი მარეგულირებელის ხელს. ასეთად კი თავი აშშ–ს წარმოუდგენია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ინფანტილური მიშიკოს გაეროს სიტყვა მისი ამერიკელი მრჩევლების ნახელავია, უმალ მივალთ იდეის ავტორთან. ამ ავტორმა რამდენიმე წლის წინათ დსთ–ს საპირწონედ სუამი გამოიგონა (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა), თუმცა იუშჩენკოს მარცხის შემდეგ მან რუსეთის მეტოქის ფუნქცია დაკარგა. ახალი იდეა, უფრო სწორად ძველის რეანიმაცია, იდეის დონეზეც კი საფრთხის მომტანია, ვიდრე მშვიდობის, მაგრამ რა გაეწყობა, გამჩენი არ ასვენებს არც აშშ–ს და არც მის კრეატურას – მიშიკოს.

სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერება უკვე გახდა მმართველ გუნდში დაპირისპირების მიზეზი

ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი ცდილობს პოზიციების გამყარებას, უკვე გახდა პოლიტიკურ წრეებს შორის დაპირისპირების მიზეზი. აშკარაა, რომ სააკაშვილის თანაგუნდელებს არ მოსწონთ პრეზიდენტის გეგმები და ცდილობენ, პოზიციები გაიმყარონ. ბოლო დროს ყველაზე გააქტიურებული ვანო მერაბიშვილია.

მერაბიშვილი ცდილობს, შეასუსტოს სააკაშვილის გარემოცვა. ეს უკვე აისახა ადამიანების დაკავებაში, რომელიც, ბოლო რამდენიმე დღეა, აქტიურად მიმდინარეობს. მერაბიშვილი ახალაიების გავლენას ასუსტებს და მათი რამდენიმე მეგობარიც მოათავსა გისოსებს მიღმა. გავრცელებული ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილი უახლოეს დღეებში თავისუფლების ინსტიტუტსაც გადასწვდება და არ არის გამორიცხული, ბოკერიასა და უგულავას მეგობრებმა ანალოგიური ბედი გაიზიარონ. ოპოზიციური სპექტრი კი გახშირებულ დაკავებებს მათ გააქტიურებას უკავშირებს. მათი განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს ეშინია მოსალოდნელი აქციებისა, რომელსაც ისინი გეგმავენ. "ხელისუფლება დღეს ყველას და ყველაფერს აკონტროლებს ქვეყანაში, შესაბამისად, თუ ვინმე ჩვენზე კარგს იტყვის ან შეეცდება მაინც ჩვენთან რაიმე ფორმით დაკავშირებას, ყველას ციხეებისკენ მიაქანებენ", - აცხადებენ ოპოზიციონერი ლიდერები.

გაზეთი “ილორი” უძღვება რუბრიკას “მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები”

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები **“მარაკანა”, “აცტეკა”, “ნოუ კამპი”, “სანტიაგო ბერნაბეუ”, “ლუჟნიკები”, “ოლიმპიაშტადიონი”, “ჰემპდენ პარკი”** და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ **“მონსტრებს”** ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის **“გრანდები”**, რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

დუნგა (კარლოს ალბერტო ვერი)

დაიბადა 1963 წლის 31 ოქტომბერს, ბრაზილიაში.

თამაშობდა კლუბებში **“ვასკუ და გამა”** (ბრაზილია), **“პიზა”, “ფიორენტინა”, “პესკარა”** (იტალია), **“შტუტგარტი”** (გერმანია), **“ჯუბილო ივატა”** (იაპონია), **“ინტერნაციონალე”** (ბრაზილია).

შეიძლება ითქვას, რომ დუნგა ერთ-ერთი წინააღმდეგობებით აღსავსე სპორტსმენია ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში. მან ოპონენტთა გაუთავებელ ყაყანს იმით მოუღო ბოლო, რომ 1994 წელს იტალიაში გამართულ ტურნირში გახდა მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში. იგი დაცვით სტილში მოთამაშე ნახევარმცველი გახლდათ, რომელსაც მეტად მკაცრად აკრიტიკებდნენ მოუქნელობის, სიზანტისა და ბურთის ფლობის ტექნიკაში არსებული სერიოზული ხარვეზების გამო. მიუხედავად ამისა, იგი მოხერხებულად აცლიდა ხოლმე მოწინააღმდეგეს ბურთს ფეხებიდან ე.წ. **“პოდკატით”** და შესანიშნავად ასრულებდა საჯარიმო დარტყმებს ორივე ფეხით. მან ყველას დაამახსოვრა თავი, როგორც ხალისიანმა ფეხბურთელმა, რომელიც მუდამ ეშმაკურად იღიმოდა და ყურადღებას არ აქცევდა მოწინააღმდეგის უხეშობას.

მაგრამ, ბრაზილიის გუნდის მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პერეირამ დუნგა ბრაზილიის ნაკრებში აიყვანა მისი დისციპლინირებისა და სავარჯიშო რეჟიმის მკაცრად დაცვის გამო. 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა ფინალში ფრანგებმა შთამბეჭდავი ანგარიშით დაამარცხეს ბრაზილიელები, დუნგა ნაკრების კაპიტანი გახლდათ. მიუხედავად დამარცხებისა, დუნგა ერთხმად იქნა შეყვანილი მსოფლიოს სიმბოლური საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში, რის შემდეგაც მან განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ სტოვებდა დიდ ფეხბურთს.

ამჟამად დუნგა ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელია.

დრაგან ჯაიჩი

დაიბადა 1946 წლის 30 მაისს.

თამაშობდა კლუბებში **“ცრვენა ზვეზდა”** ბელგრადი (იუგოსლავია), **“ბასტია”** (საფრანგეთი), **“ცრვენა ზვეზდა”** (იუგოსლავია).

დიდმა ბრიტანელებმა ჯაიჩს **“ჯადოქარი დრაგანი”** დაარქვეს მას შემდეგ, რაც იუგოსლაველებმა 1968 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გზა გადაუკეტეს ინგლისელებს შემდეგ ტურში მონაწილეობისათვის. ეს იყო უაღრესად დაძაბული მატჩი, რომლის შედეგი დრაგან ჯაიჩის შესანიშნავმა თამაშმა განაპირობა. იუგოსლავიის ნაკრები იმ დროისათვის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლებოდა და მათი გამარჯვება დიდად არავის გაკვირვებია. დრიბლინგის დროს მაღალი სიჩქარე, განუმეორებელი საფეხბურთო ტექნიკა და ბურთის ფლობისა და გოლის გატანის საოცარი ალღო გახლდათ ის პარამეტრები, რისი წყალობითა დრაგან ჯაიჩი მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს მიერ აღიარებული იქნა მეორე მსოფლიო ომისშემდგომი იუგოსლავიის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად.

დრაგანი ხუთჯერ გახდა იუგოსლავიის ჩემპიონი და ოთხჯერ დაეუფლა ქვეყნის თასს, რომლის მსგავსი შედეგი იუგოსლავიის ფეხბურთში მანამდე არავის ჰქონია. დრაგან ჯაიჩმა 85-ჯერ ითამაშა იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში და 23 გოლი გაიტანა. იმ პერიოდში, როცა ევროპა იტალიურ **“კატენაჩიოს”** სისტემით (დაცვითი ფეხბურთი) თამაშობდა, რაც ხელ-ფეხს უკრავდა თავდამსხმელებს და გოლი დიდ დეფიციტად ითვლებოდა, ასეთი **“მოკრძალებული”** შედეგი არ გახლავთ მთლად ურიგო.

დრაგან ჯაიჩმა აქტიურ ფეხბურთს თავი გაანება 1978 წელს და შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა მშობლიური **“ცრვენა ზვეზდას”** ტექნიკურ დირექტორად.

დანკან ედვარდსი

დაიბადა 1936 წლის 1 ოქტომბერს, ინგლისში.

თამაშობდა კლუბ **“მანჩესტერ იუნაიტედში”**.

დანკან ედვარდსი ნამდვილი ფეხბურთის გიგანტი იყო და მისი თამაშის ხილვის საშუალებას მოკლებულ ფეხბურთელებს მოუთხრობენ თუ როგორი იყო და ავალებენ, რომ მის მსგავსად იმოქმედონ ფეხბურთის მოედანზე. მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი ფეხბურთელი იყო, ხანმოკლე საფეხბურთო კარიერის გამო მან ბევრი რამის გაკეთება ვერ მოასწრო, მაგრამ მაინც ნათელი კვალი დასტოვა მსოფლიო ფეხბურთში. მისი სიძლიერე თავზარს სცემდა მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებს, ხოლო ყველა პოზიციაში ერთნაირად წარმატებული თამაში შანსს არ უტოვებდა მეტოქეს. ეს გახლდათ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სპორტსმენი, რომლის ინიციატივებს დასასრული არ უჩანდა. იგი **“მანჩესტერ იუნაიტედის”** მწვრთნელის მეტი ბასების ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ. ზოგჯერ ადამიანს მოეჩვენებოდა, რომ მას მარტოდმარტოს შეეძლო გამკლავებოდა მოწინააღმდეგის გუნდს, როგორც ეს მოხდა 1957 წელს ლონდონის **“უემბლის”** სტადიონზე. მაშინ მანჩესტერელთა გუნდის 10 ფეხბურთელი უშედეგოდ ებრძოდა **“ასტონ ვილას”** და მხოლოდ დანკან ედვარდსმა მოახერხა, რომ ინდივიდუალური გარღვევით გაეტანა ორი **“ოქროს”** გოლი. მას მხოლოდ 18 მატჩი ჰქონდა ჩატარებული დიდი ბრიტანეთის ნაკრების შემადგენლობაში, მაგრამ ინგლისელთა ლიდერად ითვლებოდა და გულშემატკივრებს მისი დიდი იმედი ჰქონდათ 1958 წლის შვეიცის მსოფლიო ჩემპიონატზე. მაგრამ 1958 წელს მიუნჰენში მომხდარ ავიაკატასტროფაში დანკან ედვარდსი ტრაგიკულად დაიღუპა.

ეს დიდი ფეხბურთელი მაშინ მხოლოდ 22 წლისა იყო.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

ერთხელ მეფე მინდორში გლეხს შეხვდა და გაოცდა, ისე გავდნენ ერთმანეთს... მივიდა და ეკითხება:

– მისმინე, გლეხო... შემთხვევით დედაშენი სასახლეში ხომ არ მსახურობდა?

– დედაჩემი არა, მამაჩემი მსახურობდა.

* * *

– გილოცავთ, თქვენში ახალი სიცოცხლე ჩაისახა.

– კი მაგრამ, მე ხომ მამაკაცი ვარ.

– მერე, ეგ ჭიებს სულ ფეხებზე ჰკიდიათ...

* * *

– დედიკო, – ურეკავს დედას ახალგათხოვილი შვილი, – ეს რა მხეცის ხელში ჩავვარდი!

– რა მოხდა?

– ნამცხვარი გამოვუცხვე და იმან კი თავში მირტყა, ქვასავით მაგარი იყო!..

* * *

– ექიმო, როდესაც ვიხრები, ხელებს ქვემოთ ვწევ, მერე ერთ ფეხს ავწევ-დავუშვებ, მერე მეორეს ავწევ-დავუშვებ, მერე ვსწორდები და ხელები წელთან მიმაქვს, თან ოდნავ შევხტები... აი, მაშინ წელი მტკივდება.

– ეცადეთ, ასეთი რთული მოძრაობები არ გააკეთოთ.

– აბა, როგორ ჩავიცვა შარვალი?

* * *

ასანთის კოლოფების ყველაზე დიდი კოლექცია შეაგროვა პენსიონერმა აშხენ კოკოსიანმა, რომელიც 48 წლის მანძილზე მუშაობდა ადგილობრივი პოლიკლინიკის ბიო-ქიმიური ანალიზების ლაბორატორიაში.

უაღრესად საშური საქმე...

ქართულ-აფხაზურ ენაზე გამოიცა საქართველოს კონსტიტუცია, რომლის ინიციატორიც გახლავთ აფხაზეთში სამართლებრივი დახმარების პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ბატონი **მალხაზ ბაძაღუა.**

“საქართველოს კანონმდებლობის თარგმნა აფხაზურ ენაზე კონსტიტუციით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენს” – აღნიშნავს წიგნის შესავალში ბატონი მალხაზი.

ქართულიდან აფხაზურ ენაზე ქვეყნის ძირითადი კანონის აღნიშნული თარგმანი არის მეორე ცდა. პირველი თარგმანი განხორციელდა 1999 წელს – აფხაზური ენის სახელმწიფო სტატუსის დამკვიდრების პროექტის ფარგლებში.

წინამდებარე გამოცემა შესრულებულია საქართველოს კონსტიტუციაში, აფხაზურ ენასა და დამწერლობაში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით. თარგმანი განხორციელდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ინსტიტუტში.

საქართველოს კონსტიტუცია

Қыртҭаыла Аконституциа

ეჭვსგარეშეა, რომ აღნიშნული წიგნი, რომლის გამომცემელი გახლავთ დანაშაულობათა კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი, ხოლო დამფინანსებელია ფონდი **“ღია საზოგადოება – საქართველო”**, დიდ როლს ითამაშებს ქართულ-აფხაზური ტრადიციული კეთილნათესაური ურთიერთობების აღდგენის საქმეში.

სპპ. ინფორმაცია

“ქართულ-აფხაზური შეკრული ოჯახების “ინიციატივა

არასამთავრობო ორგანიზაციის “ქართულ-აფხაზური შეკრული ოჯახები” ხელმძღვანელის რეზო ბენდელიანის განმარტებით, ქართველი და აფხაზი ნათესავების ურთიერდაახლოებისთვის აუცილებელია მათ შორის მჭიდრო კონტაქტები.

“განზრახული გვაქვს გალის რაიონის ტერიტორიაზე ჩავატაროთ კვლევები ეკონომიკურ საკითხებთან და ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებით, ანუ ზუგდიდი-გალის ეგრეთ წოდებულ საზღვარზე მოვაწყოთ ბაზრობა და ავაგოთ სავაჭრო ობიექტები, რათა პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად ამ ზონის მოსახლეობას არ მოუხდეს გალში, ზუგდიდსა თუ წალენჯიხაში წასვლა,” - აღნიშნა რეზო ბენდელიანმა.

გავრცელებული ვერსიით, გალი-ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვარზე ოფიციალურად ხსნიან რამდენიმე საკონტროლო გამშვებ პუნქტს. გარკვეული თანხის გადახდის შემთხვევაში, მოსახლეობას თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა ექნება და აღარ მოუწევს პარტიზანულად მიმოსვლა.

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ინვესტორებს ამაოდ ელის

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ამოქმედების თარიღი უცნობია. მისი პრეზენტაცია არაერთხელ გადაიდო. ამის გამომწვევ რეალურ მიზეზს ხელისუფლებასა და კომპანიაში არ ასახელებენ, თუმცა საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ამის ერთადერთი მიზეზი ინდუსტრიის მშენებელი კომპანიების დეფიციტია, რომლის ბუმსაც მთავრობა, უკვე მესამე წელია, ელის.

მთავრობას არ სურს, აღიაროს, რომ ინდუსტრიული ზონით დაინტერესებული რეალური ინვესტორები ვერ მოიძებნა. არადა, ხელისუფლებაში დღემდე აცხადებენ, რომ ინდუსტრიული ზონით ბევრი ინვესტორი ინტერესდება. როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ინვესტორების მოსაძებნად მსოფლიოს გარშემო მოგზაურობენ, ბუნებრივია, მათ შეთავაზებებზე პასუხი ყოველთვის დიპლომატიური იქნება, რომ ისინი საქართველოთი დაინტერესდებიან.

საქართველო იმ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, სადაც “არასრული კვების საშუალო დონეა”

ამის შესახებ სასურსათო პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებშია საუბარია. “ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებში შიმშილობის ყველაზე დაბალი დონეა, რაც ნიშნავს, რომ ამ მხრივ ამ რესპუბლიკებში ვითარება შედარებით კარგია. თუმცა უზბეკეთში, თურქმენეთში, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არასრული კვების საშუალო დონე ფიქსირდება”,- აღნიშნულია დოკუმენტში.

ამასთან, კვლევის ავტორთა მონაცემებით, დღევანდელ მსოფლიოში ერთი მილიარდი ადამიანი შიმშილობს.

შიმშილობის მაღალი მონაცემები ბავშვთა საკვების უკმარისობას უკავშირდება. შიმშილის მაღალი დონე დაფიქსირებულია საჰარის სამხრეთით არსებულ აფრიკის ქვეყნებში, აგრეთვე, სამხრეთ აზიაში. მოხსენების ავტორები არასახარბიელო მაჩვენებლების შესამცირებლად ქვეყნების ხელისუფალთ მოუწოდებენ, ებრძოლონ ბავშთა სურსათის უკმარისობას. გაერო მიიჩნევს, რომ ადამიანმა ჯანმრთელი და აქტიური ცხოვრებისათვის ყოველდღიურად, სულ მცირე, 1.800 კილოკალორია უნდა მიიღოს. 1990 წლიდან 2006 წლის ჩათვლით, მოშიმშილეთა რაოდენობა მსოფლიოში შემცირდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ეს მაჩვენებელი გაიზარდა. 2009 წელს კი, შიმშილობის პრობლემა ერთ მილიარდ ადამიანს ჰქონდა.

ISSN 1987-8966 “ილორი”
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
38-41-97
893-51-01-71
899-34-37-27